


K 59155
2

საქართველო
მთავრობის
მინისტრი

დავით ვაჩერაძე



ძართული ეროვნული ძირიგი და


რუსული ბოლშევიზმი



დავით ვაჩერაძე

ქართული ეროვნული პირაჲი და
**რუსული
პოლიტიკისაზე**

გამოქვემდებრეა არტაცევი
თაგილი 2004




ქართველი პოლიტემიკრანტის, ცნობილი მოღვაწის დაეკით ვაჩაძის 1957 წელს მიუწენდი ქართულად დასტამბული წიგნი „ქართული ეროვნული მირები და რუსული ბოლშევიზმი (მოულე მიმოხილვა)“ XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაჩინო დოკუმენტს წარმოადგენს. ამავდროულად იფი კარგი საისტორიო წყაროების საქართველოს ისტორიის შესაბამისი პერიოდის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, იფი უთუოდ დააინტერესებს, როგორც ისტორიულს მეცნიერებს, ისე მუითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი გერამ ქორანაშვილი

საებ-2000
გეგო ჭავჭავაძის

K59155

ISBN 99940-11-97-9



ღირსახსოვარი პიროვნება

დავით (დათა) ვაჩინაძის შესახებ დღევანდელმა ქართველმა მკითხველმა ძალშე ცოტა რამ იცის. მასზე 1993 წელს მცველევარმა ჯურამ შარაძემ გამოაქვეყნა მცირე მოცულობის ნარკვევი (იხ. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ნიგნი მეორე). თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის ეკიდით გამოცემულ კრებულში „ილია ემიგრანტთა თვალით“ (ტ. I., 1996) მოთავსებულია სამი გვერდი დავით ვაჩინაძის იმ ნაშრომისა, რომელსაც ჩვენ ამჟერად მთლიანი სახით მკითხველებს ვთავაზობთ. სულ ესაა და ეს, მეტი ცოდნა ამ პიროვნებზე, მცირეოდენ მცველევართა გამოყლებით, ვერვერობით არ გაგვაჩინია. არადა, მისი გარდაცვალების ნლისთავზე პოლიტემიკრანტი სევერიან ჭირაქაძე საქსებით სწორედ აღნიშნავდა: „განთავისუფლებული საქართველო არ დაივინყებს მისი უფლებებისა და არსებობისათვის მედგარ მებრძოლს და დ. ვაჩინაძეს ღირსეულ ადგილს მიუჩინს მისი თავისუფლებისათვის თავდადებულთა ეროვნულ პანთეონში“ (ურნალი „ივერია“, პარიზი, 1963, № 10, გვ. 46). დადგა დრო თავისუფალი საქართველოს მოქალაქეებმა მადლიერების გრძნობა გამოვატოთ და სათანადოდ მიგუშილოთ ვალმოხდილ მამულიშვილს. დავით ვაჩინაძის ნაზრევის მთავარი ძეგლის დაბეჭდვა ასეთი მცდელობის დასაწყისად გვესახება. მით უფრო რომ ამას ადგილი აქვს მისი დაბადების 120 წლისთავზე.

დავით ვაჩინაძე დაიბადა 1884 წელს სოფელ დიდ ლილოში. მამამისი – ვლადიმერ დავითის ძე რუსთის არტილერიის პოლკოვნიკი გახლდათ, დედა კი – ელენე მაჩაბელი. აღნიშნული სოფელი დავითის დედულებითი იყო. ძირითადი განათლება დავითის სამხედრო დარგში ჰქონდა მიღებული – ჯერ სწავლობდა თბილისის კადეტთა

კორპუსში (1894-1902 წლებში), შემდგომ კი პეტერბურგის პავლე პირველის სახელობის სამხედრო სასწავლებელში (1902-1904 წწ.). აქედან გამოიღინარე, სამსახურიც ჯერ სამხედრო სფეროში დაიწყო, მსახურობდა ვარმავაში, თბილისში, თემირხან-შერაში (დალესტანში). შემდეგ სამოქალაქო სარბიელს მიმართა და წლების განმავლობაში მუშაობდა ილიას მიერ დაარსებულ თბილისის საადგილმამულო ბანკში. დავით ვაჩინაძე იყო ერთ-ერთი დამაარსებელი „კავკასიის ოფიცერთა“ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა „რევოლუციის გზით იმპერიის“ დესპოტური რეჟიმის შეცვლა ლიბერალურ დემოკრატიად, ჩანს, კონსტიტუციურ მონარქიად. მის პატრიოტულ მინამშე დიდი ზეგავლენა მოუხდენია შემდეგ გარემოებას. 1907 წლის 7 სექტემბერს დავითი დასწრებია ილიას ნეშტის ჩამოსვენებას საჯურამოდან თბილისში. მიხედვე სიტყვები რომ დავითმიშრით, „ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება ჩემზე დასტოვა მიხეილ ნერეთლის გაბედულმა სიტყვამ. მ. ნერეთელს პირველად გავეცანი მოკლული ილია ქავჭავაძის კუპოსთან. ამან საბოლოოდ განმიმტკიცა ჩემი ბრძოლის წადილი საქართველოს განთავისუფლებისა ჩაგვრისავან და შემდეგ წლებში მუდროდ დაცავშირება მ. ნერეთელთან“ (ილია ემიგრანტთა თვალით, II, თბილისი, 1996, გვ. 243). სხვათა შორის, დავით ვაჩინაძე მტკიცებ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ილია მოკლული იქნა „რუს(!) ქაბში ამხარაშეულ, გადაგვარებულ ქართველ ფანატიკოსთა წრის წაქმნებით ავტიაუთა ხელით“. კერძოდ, ხელს ადებდა „ცნობილ დევენერატ ფ. მახარაძეს, რომლის ხელებზედ ჯერ ილია ქავჭავაძის სისხლი არ გამშრალა“ (ამას ნერდა უკრნალ „კლდეში“ 1913 წელს).

ბანკში მუშაობისას დავით ვაჩინაძე კარგად გაერკევა ავრარულ ურთიერთობათა საკითხებში, ეხმარებოდა ქართველ გლეხეაკობას მამულის შეძენაში. მისი პრაქტიკული სახის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია კოოპერაციაში გაწეული ღვაწლი. მშობლეურ სოფელში დაარსდა მერიქვეთა ამხანავობა „ლილო“, ორი საკურადოტო ბანკი აქვე და ოძისში (ქსნის ხეობაში).

დავით ვაჩინაძე თავდაპირველად სოციალისტ-ფედერალისტებთან თანამშრომლობდა. მალე თავი გამოიჩინა პუბლიკისტიკუაშიც და ხშირად ბეჭდავდა სტატიებს ამ პოლიტიკური მიმართულების „სახალხო გაზეთში“ („დავით ვახელის“, „ეკალის“ ფსევდონიმებით). შემდეგ კი იგი ეროვნულ-დემოკრატთა რიგებში ჩადგა. დავით ვაჩინაძე გახდა აღნიშნული მიმართულების უურნალ „ელდის“ „დაარსების ინიციატორი, ორგანიზატორი და ძირითადი დამფუნანსებელი“ (გელა საითიძე). ამასთანავე, გახდა უურნალის ერთ-ერთი თვალსაჩინო პუბლიკისტიც. მსგავსი საქმიანობა უურნალის დახურვის შემდგომ მან ვანაგრძო ახალ ვაზეთ „საქართველოში“, რომელიც 1917 წლიდან ახლად დაარსებული ეროვნულ-დემოკრატიკული პარტიის ორგანოს ნარმოადეგენდა.

დავით ვაჩინაძე უშუალო მონანილე იყო საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლების მოპოვებისა. იგი გახლდათ აქტიური წევრი საქართველოს ეროვნული საბჭოსი, მერე პარლამენტად რომ გარდაიქმნა. იყო დეპუტატი საქართველოს დამუშავებელი კრებისა. ცხადია, ამ ორგანოში იგი სხვა ეროვნულ-დემოკრატებთან (ასევე ფედერალისტებთან) ერთად ოპოზიციაში ედგა სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა უმრავლესობას.

1921 წლის თებერვალ-მარტში ისტორიამ მონინავე ქართველობას ასეთი არჩევანი შესთავაზა: ან შეგუებოდნენ ახალ სასტიკ რეალობას, ეთანამშრომლათ ახალ ხელისუფლებასთან (კოლაბორაციონისტები გამხდარიყვნენ) ან შებრძოლებოდნენ მას. დავით ვაჩინაძე უყოყმანოდ ჩადგა იმათ რიგებში, ვინც მეორე არჩევანი გააკეთეს. ჯერ კიდევთ თებერვალში მან შეადგინა 400-კაციანი რაზმი თბილისისა და მისი შემოგარენის დასაცავად. 1922-23 წლებში კი იგი დაუკავშირდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს. დავითის აქტიური ძალისხმევით ქართლ-კახეთის მნარმოებელ კოოპერატივთა კავშირმა („ნარმოკავშირმა“) 10 მილიონი მანეთი გამოჰყო სვანეთის შეიარაღებული გამოსვლის შესაძიადებლად.

1922 წლის 19 თებერვალს დავით ვაჩინაძე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მეუღლის აქტიურობით იგი აპრილში გათავისუფლებულ იქნა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლავ განავრზობდა კავშირურთიერთობას ქაქუცა ჩოლოცაშვილის რჩიმთან. დავით ვაჩინაძე ისინარებდა გეგმას, რომლის მიხედვითაც საქართველოში ფართოდ უნდა გამლილიყო პარტიზანული მოძრაობა რუს ბოლშევკი იუპანტითა და ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლების წინააღმდეგ. მანვე შეიმუშავა გეგმა „საქართველოს პარტიზანთა შტაბის“ შესაქმნელად. „სამხედრო საიდუმლო შტაბის“ ჩავარდნის გამო 1923 წლიდან დავითი გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში. ამავე წლის აგვისტოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მას დაავალა თურქეთში ნასულიყონ და მისი მთავრობისათვის ეთხოვა სამხედრო და სხვა სახის მატერიალური დახმარება. სამწესაროდ, თურქეთში გასვლა გამნელდა და ეს მან მხოლოდ მომდევნო წელს მოახერხა. თურქეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, ცხადია, თურქი პოლიტიკოსების თვალში საქართველოსათვის დახმარების განევა უშერძობა იყო. ამასობაში მოხდა და დამარცხდა 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყება. ამის შემდეგ დავით ვაჩინაძე საქართველოში აღარ დაბრუნებულა. ორი წლის მანძილზე ცხოვრობდა თურქეთში, 1926 წლიდან 1937 წლამდე კი – საფრანგეთში. ამ წნის განმავლობაში იგი სხვადასხვა პოლიტიკური მისიით იმყოფებოდა აგრეთვე ვარშავაში, ბერლინში, რომში, პრაღაში. ბეჭდა საბოლოოდ გერმანიაში (ბავარიაში) ცხოვრება არყონა, სადაც აღესრულა 1962 წლის იანვარში.

ახლა შევჩერდებით დავით ვაჩინაძის ნაშრომზე „ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი (მოყლე მიმოხილვა)“. იგი უპირველესად საინტერესოა როგორც გარსებული პერიოდის ქართული საზოგადოებრივი მნიშვნების დოკუმენტი. რასაცირკელია, ნიგბის განხილული საკითხი ფრიად როგორიცაა და მისი ჩაღრმავებული კვლევა-ძიება პუბლიცისტისაგან მოსალოდნელი არაა. დიდად

სამწუხაროდ, ეს ამოცანა დღემდე ვერც რომელიმე ქართველმა ფილოსოფობმა, სოციოლოგმა და სტორიკობმა გადაწყვიტა. მაგრამ მოქმედვად ამისა, ავტორის მცდელობა ამ მიმართებით უთუოდ საინტერესოა.

რაյი სიტყვაშ მოიტანა, ალვნიშნავთ, რომ დღეს ძალიან აქტუალური გახდა საქართველოს ევროპისადმი (დასავლეთ) კუთხისილობის პრობლემა. მაგრამ მასზე მსჯელობისას უფრო მეტად ემოციები სჭარბობს, მთავარ არგუმენტად მოაქვთ ის, რომ საქართველო გეოგრაფიულად ურთობის ქვეყნას ნარმოადგენს. მაგრამ განა ამ მოსაზრებით ევროპაში მდებარე ყველა ქვეყნა ევროპულ ხასიათს, მის ისტორიულ გზას განასახირებდა? კურძოდ რესეთი ამ მხრივ სულ სხვანაირი ისტორიული მემკვიდრეობისა იყო და ემსგაესხოდა აღმოსავლურ ქვეყნებს. დავით ვაჩინაძე აღნიშნავდა უკანასკნელის მთავარ ისტორიულ მახასიათებელს: „პრიმიტიულ სათემო მინის მფლობელობას რუს გლეხობისა ჩვენ დრომდე მოულწევია. გამოჩენილი რუსი რეფორმატორი პ. სტოლიპინი, რომელმაც სცადა რუს გლეხობის სათემო ნუმბილების შეცვლა ევროპელ გლეხთა მესაკუთრეთა ნებზე, მოკლულ იქნა“. აღნიშნული გარემოებით ბევრი რამ აიხსნება რესეთის ისტორიაში. ავტორი იმონმებს რუსი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის გ. ფედოტოვის მშენებელ პერს, ძირისძირობად რომ სწორი საკითხის არსა: „იდეოლოგები და ბოლშევიკური პარტიის შემწმელები უმთავრესად რუსობა იყო. ბოლშევიკები ადვილად დატვიდრდნენ პეტერბურგში და მოსკოვში. ველიუროსის ტრადიციებში აღბათ იმყოფება რაღაც თვისებები, რომელიც ასაზრდოებდა ბოლშევიზმს: ბატონ-მონობა, სათემო მინათმფლობელობა, თვითმშეცირობელობა“.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ქართული ისტორიული პროცესის არსი სხვაგვარი გახლდათ, რაზედაც ჩვენი ავტორი საგანგებოდ ჩერდება. ერთი სიტყვით, პრობლემის კვლევა-ძიებისას დავით ვაჩინაძე ბევრ დღევანდელ ქართველ ისტორიკოსზე უკეთ იყენებს ისტორიულ-შედარებით მეთოდს.

ავტორი სასტიკი წინააღმდეგა კლასთა პრძოლის გაღვივება-
გაჩაღებისა, რასაც ქართველი სოციალ-დემოკრატები (ორივე
მიმართულებისა) თავგამოდებით იცავდნენ. ყოველ შემთხვევაში,
ავტორი სწორია იმაში, რომ საქართველოს ნარსულში „ამ
დამყარებულ ქართულ საზოგადოებრივ თანხმობა-კავშირს ამაგრებდა
მუდმივი გარეშე საფრთხეც, დაფუძნებულნი(!) მცირერიცხოვანი
ქართული მოდგმის სრული ამოგდებით“. ქართველი ესდევების
შესაბამისი აზრი და ქმედებანი აისხნება მათული დოგმატური
მსოფლიშედველობით, ავთენტური მარქსიზმი (ასევე კარლ კაუცკი
და გორგო პლეხანოვი) ამ საკითხზე, კერძოდ იმ პირობებში, როდე-
საც საქმე ეხება ხალხის, ერის დაპყრობილობა-დამონებულობას
უცხო ძალის მიერ, სხვანაირი შეხედულებისა გახლავთ. ამიტომაც
არ ღირს, გუმართლებულია ქართველი ესდევების ცოდვები მთლი-
ანად მარქსიზმსაც ავეიდოთ.

დავით გაჩინაძე უცილობლად მართალია, როცა კლასობრივი
პრძოლის ფაქტორის ფანატიკური მომხრე ქართველ ესდევებს
თვლის რესული იმპერიალიზმის (ფარისტულისაც და ბოლშევიცურ-
კომუნისტურისაც) მოკავშირეებად. ესენი ხომ მართლაც თავიანთი

პიროვნებითა და პირტიცელი ქმედებებით დიდად უწყობდნენ ხელს რუსეთის იმპერიის მესვეურთა divide et impera-ს პოლიტიკას კურძოდ საქართველოს მიმართ.

ჩვენ ისტორიულსები არ ვიქნებით თუ უკრიტიკოდ, ხელალებით ყველაფერში ვერწმუნებით ნიგნის ავტორს, რომელსაც თავი ვერ დაუუღნესა პარტიული (ამ შემთხვევაში ეროვნულ-დემოკრატიული) სუბიექტივისაგან. კურძოდ, თუ რატომ, რა მიზნით დაგვიანდა პატირიოტული, ეროვნული მიმართულების პარტიის ჩამოყალიბება საქართველოში (რომელიც, როგორც ცნობილია, დაფუძნდა 1917 წლის ივნისში), დავით ვაჩინაძე ამას ხსნის ორი გარემოებით: 1) საქართველოში ეროვნული პოლიტიკური მოძრაობის გაშლა-განვითარება დიდად შეაფერხა რუსეთის ხელისუფლებამ და 2) ეს მოხდა ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლის გამო. თითქოს „ამ ორმა მიზნებმა შეაწერა არასოციალისტური მიმდინარეობის პოლიტიკურ თრუანიზაციაში დარჩება. იგი მოლოდ რუსეთის იმპერიის დაშლის პროცესში, 1917 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით ჩამოყალიბდა, მაგრამ იგი თავისი წყობით ვერ ნორჩი და სუსტი იყო“. მაგრამ ასეთი მცდელობა მხოლოდ თავის მართლებას, სიმართლისაგან თავის არიდებას ჰქონა. თუ არა მიმავალი ეროვნულ-დემოკრატიების პასურობა, განა შესაბამისი პარტიის დაფუძნება არ შეიძლებოდა ილიას სიცოცხლეში, 1905-07 წლებში? მითუმეტეს რომ იყო მცდელობა გეგანტი პიროვნების – ილიას ევფდით მისი დაფუძნებისა.

არც ისაა სწორი, თითქოს ჩვენი ისტორიის შესაბამისი პერიოდის „უკულმართად ნარმართვაში, მათ შორის 1921 წლის თებერვალ-მარტის ისტორიულ კატასტროფაში, ოდენ ქართველი „მენშევიკები“ იყვნენ დამნაშავენი. აქაც ვაწყდებით ისტორიული პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და საერთოდ, მოვლენების ზედაპირულ გაგებას. სხვას რომ თავი დავანებოთ, რატომ გახდა შესაძლებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დანაწევრება სამნანილად, მისი უსუსურობა გაერთიანების შემთხვევაშიც (1921 წლის

იანვარში) კი, კვლავ ცალკე ჯგუფებად დაშლა ემიგრაციაში? საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებული აფრარული რეფორმაც არ იყო ისეთი უადგილო, უსარგებლო რამ, როგორც ეს ეჩვენებოდა ავტორს.

ასე რომ, ნიგნში რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს მოვლენათა, ხდომილებათა ობიექტური ანალიზის ნაცვლად მხოლოდ სხვებისათვის გადაბრალების მცდელობას. შეგახსენებთ რომ ამ მხრივ ჩვენი შედარებით ახლო ხანის ნინაპრები დიდად სცოდავდნენ და კვლავაც სცოდავენ უცხოეთში. ამით ძალიერ უძნელდებათ ისტორიის ობიექტური გაგება-გამზრება.

დავით ვაჩაძის ნიგნის მეორე ნაწილი, მოგონებები საისტორიო ნუაროს ნარმოადგებს და იყი ისტორიულისებს გამოადგებათ სათანადო ხანის ისტორიული პროცესის აღსადგენად.

დაბოლოს, შევჯამების სახით დავსძინთ, რომ ჩვენი უახლოესი პერიოდის საინტერესო, ღვანლმოსილი ნინაპრის დავით ვაჩაძის ნიგნი „ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი“ საქმაოდ მაღალი ფასულობისაა და მას ინტერესით გაეცნობა ქართველი საზოგადოებრიობა. ვიმედოვნებთ, რომ მოვა დრო და გამოქვეყნდება ავტორის მოგონებებისა და პუბლიცისტური ნაწერების კრებულიც.

ნიგნი იბეჭდება მცირეოდენი სტილისტური გასწორებებით.

გურამ ყორანავაილი

დავით განევაძე

კუნთური ეროვნული
ბიბლიოთი

၅၁

რცხული ჰორაჟისტი

(მოკლე მიმოხილვა)

80356050
1957

შესაგალის მაზიარე

ერთი უცნაური დახვენის გამო

კაცობრიობის გაჩენიდან დღემდე შის ყველა მოდგმას, დიდ-
 სა თუ პატარის, გარდა საერთო აღამიანური თვისებებისა, თაა
 სდევს ერთმანეთისაგან განსაკუთრებული განსხვავებაც: ჯი-
 შის, ეხის, ზნე-ჩვეულების, ხასიათის, კულტურის, შეძოქე-
 დებისა და სხვა შხრივ.

ისტორიის გრძელ მანძილზე ამტკდარი კატაკლიზმებისაგან
 ზოგი ერები მთლიანად ჰქონდოდება, დიდი ომების შემდეგ
 ზოგი ერთმანეთში ითქვითებოდება, მაგრამ ბევრმა გადინარ-
 ჩუხა თავისი მოდგმა, სახეობა, საზოგადოებრიობა და საკუთა-
 რი აღილიც დედამიწის ზურგზე.

ამ უკანასკნელთა რიგში ითვლება ქართველი ერიც.

მოსკოველი პროფესორი ქ. ბაზილევიჩი 1947 წელს გაზ.
 „პრავდა“-ში სწერდა:

„ქართველმა ერმა თავისი ისტორია სისხლით დაწერა. უძვე-
 ლეს დროიდან საქართველოს მიწა-წყალი, ბუნებით ყოველ-
 მხრივ შემკული, გადაიქცა სისხლისმღვრელი ომების ასპარე-
 ზად. ევროპა-აზიის ჯვარედინზე მოქცეული, საქართველო გა-
 მუდმებით განიცდიდა მტერთა შეტევებს აღმოსავლეთიდან და
 დასავლეთიდან. იწვებოდა, ნადგურდებოდა, ითელებოდა მისი
 მშენებერი გაფურჩქვნილი ველ-მინდორ-ბალები, მდიდარი ქა-
 ლაქები, სოფლები, — საესენი საუკეთესო ხელოვნების ძეგლე-
 ბით. მაგრამ დალვრიოლმა სისხლმა არ ჩაუარა ქართველ ხალხს
 ტურქ-უბრალოდ. მან შევქმნა ერთი უძველესთაგანი კულტუ-
 რა ევროპაში და შესძლო შეენახა თავისი ძეირფასი ისტორიუ-
 ლი მექანიზმება თვით არსების დაცვის ბრძოლის უმძიმეს
 პირობებში.“

ეს მოწმობა რუს პროფესორისა მართალია და უდავო. მხოლოდ ქართველი ერის წარსულის შემქებელი ამ თავის წერილს მეტად უცნაური დასკვნით ამთავრებს, რომ: „ამჟამად ასარულდა ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების ნატვრა. იგი გახდა ნამდვილი პატრიონი თავისი მიწა-წყლისა. ქართველი გლეხი განთავისუფლდა ეროვნული და ქლასობრივი მონობისაგან. ყველა ეს მოუტანა საქართველოს დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა ძალა-უფლებამ“¹⁾.

უცნაურია, ჩადგანაც ახლანდელ მოსკოველ პროფესორ-საც კარგად მოეხსენება, რომ რუს ხალხის რევოლუციის ნაშობმა „საბჭოთა ძალა-უფლებამ“ მის მიერ დაბყრობილ ქვეყნებში შექმნა ისეთი პოლიტიკურ-სოციალური წყობილება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს თასი წლობით დამკვიდრებულ კროპაში ხალხთა ეროვნულ-საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმებთან და მის დიდ კულტურასთან და ცივილიზაციასთან. პირიქით, თვალნათლივ აღმოჩნდა რუსული ბოლშევიზმის ნააზრევ - ნამოქმედარის სრული და მტრული დაპირისპირება მთელ განათლებულ დასაცლეთ მსოფლიოსთან, რომლის შუაგულში შემოქრილი მახვილის საშუალებით იგი ანადგურებს და სთელავს მისი ეროვნული კულტურის უძვირფასეს განძეულობას — ადამიანთა პიროვნულ და საზოგადოებრივ თავისუფლებას, სარწმუნოებას, ზნეობას, ქონებრივ საფუძვლებს. დღეს ხომ ეს საყოველთაოდ ჭეშმარიტი და ცნობილი ამბავია! როგორც ისა, რომ პირველი მსხვერპლთაგანი რუსული ბოლშევიზმისა გახდა ქართველი ერიც, „შემქნელი ერთი უძველესთაგანი კულტურისა ეკროპაში თავისი ძვირფასი ისტორიული მემკვიდრეობით“!

1) Проф. К. Базилевич. „Выдающийся труд по истории Грузии“, „Правда“, 2. 7. 47, № 168. მისი რეცეპტისა წიგნზე: „Н. Бердзенишвили, И. Джавахишвили, С. Джанашти, „История Грузии, I, с древнейших времен до начала XIX века. Тбилиси, 1946“.

სჩანს, მოსკოველი პროფესორი, საერთოდ, ვერ განთავისუბოთია
სუფლებულა რუსეთის იმპერიალიზმის ძველიდან დაჩემებულ
„მესიანიზმისაგან“ და ახლანდელ მის გადასხვაფერებულ ნა-
კადს ბოლშევიკურ-კომუნისტურ მესიანისტურ ფრაზეოლო-
გიას აყოლებული, ცდილობს როგორმე შეარიგოს რუსული
„პრავდა“ ქართულ სიმართლეს.

მაგრამ ეს უიმედო ცდაა, რადგან ქართველი ერის შეური-
გებლობა რუსულ ბოლშევიზმთან გამომდინარეობს ქართველი
მოდგმის ბუნების ღრმა და მაგარი ძირიდან, რომელმაც მას მა-
რთლადაც შეაქმნევინა უძველესი კულტურა ევროპაში „კავკა-
სიურ ცივილიზაციად“ წოდებული (Arthur Byhan. „La civili-
sation Caucasiennne“, Hamburg, 1936).

თავისი შემოსულისათანავე კავკასიაში სწორედ მის მოსპო-
ბას ჯერ იმპერატორთა რუსეთი შეუდგა, და დღეს — მისი მე-
მკვიდრე საბჭოთა რუსეთი გააფთორებული განაგრძობს ჩეხებს
ქართველი ხალხის ეროვნული და საზოგადოებრივი კულტუ-
რის ყველა ნაშთებისა.

გავყვეთ ახლა კვალდაკვალ ძველი დროიდან დღევანდლაშ-
დე თვით ამის უტყუარ საბუთებს!

I

შრისტიანობის დამპვიდრების ხასიათი საჩართველოში

ქართველ ხალხს მარტო გმირობითა და სისხლის გალებით არ გაუტანია თავისი თავი მრავალ საუკუნეთა მანძილზე. აგრეთვე კეთილშობილ აღამიანთა ზნითა, ღრმა კულტურითა და შემოქმედებით, რომლითაც დღემდე ფასდება ერის ხარისხისა და გამძლეობის დონე.

თვალსაჩინო ძველი ამბები ამოწმებენ, რომ ქართველი კაცის ბუნებას არ ეყარებოდა მხეცური სიძულვილის გრძნობები და ფანატიკური სულისკვეთებანი. ამის შეალობით თავის შინა ცხოვრებაში, გრძელი ისტორიის განვლილ გზაზე, ქართველ ხალხს არ განუცდია არც სარწმუნოებრივი, არც სოციალური ომები და რევოლუციები. ყველაზე უფრო ამის დამახასიათებელ საბუთს იძლევა ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრების ხანა საქართველოში.

ქრისტიანული მოძღვრება საქართველოში გაჩნდა პირველივე საუკუნეში, ნელ-ნელა ვრცელდებოდა მეორე-მესამე საუკუნეებში და მეოთხე საუკუნის დასაწყისში (337 წ.), ისტორიული გადმოცემით, ქალის შვეიცარიმიანი ქადაგებით გადაიქცა მთელი ქართველი ხალხის სარწმუნოებად. მას თან არ მოჰყოლია არც თავის დასაწყისში, არც დამკვიდრების ხანაში, არც შემდეგი საუკუნეების ხანებში ის საშინელი რელიგიური დევნა-ომები, აღამიანთა ზღვა- სისხლში ამოვლებელი, რომლითაც ასე მდიღარია დასავლეთი ქვეყნების სარწმუნოებრივი ისტორია.

ქრისტეს მცნების მაღალშა იდეალებშა („გიყვარდეს მოყვა- სი შენი, ვითარცა თავი შენი“ და სხვა), იესოს წამებულმა ჯვარცმამ აღამიანთა მიწიერი ცოდვების ღმერთის წინაშე გამოსყიდვისათვის, ქართველი ხალხის მგრძნობიარე გული ადვი-



ლად დაიპურო. მნათობთა თაყვანისცემის ხანიდან ქართველები ბის თვალ წინ ჯერ კიდევ დაჭქროდა ლანდი თეთრი გიორგისა, მათი საყვარელი რაინდ - მფარველისა მრისხანე ზეცის ღმერთებისაგან. ქართულმა ქრისტიანულმა ხანამ „თეთრი გიორგი“ მონათლა „წმინდა გიორგი“-თ და თავის ქრისტიანულ პანთეონში ქრისტეს თანამშრომლის საპატიო როლი მიაკუთვნა. იმ დროიდან ქრისტეს ჯვარი და ძველ ქართველთა რაინდი, გიორგი, ქართველი ხალხის ეროვნული ღროშის ემბლემად გადაიქცა. ასე უმტკიფნეულოდ მოხდა შემოსვლა და დამკვიდრება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოებისა. ამავე გზით მიიმართებოდა ქართული მართმადიდებელი ქრისტიანული ეკლესის ცხოვრებაც საუკუნეების განშავლობაში. შას არ სჩევ-ვია სარწმუნოებრივი შინა არევ-დარევა სქიზმებითა და სხვა მწვალებლობათა უკიდურესობანითა, რითაც, მაგალითად, სავსეა რუს ხალხის სარწმუნოებრივი ისტორია, რომელიც ამ ჩვენს დროს დაბოლოვდა მრავალრიცხოვან „ულმერთოთა“ წრეების გაჩენით და მათი წყალობით რუს ხალხის სასულიერო ცხოვრების დაქცევა-მოშლით.

ჩართველი ურის იდეალები

და ზნოობრივი კანონები

ქართველი ხალხის ზნეობრივ-სულიერი სიმტკიცე იყო შეკრული არა მხოლოდ ეკლესიური მაგარი წყობილებით და ქრისტიანულ დოგმებით, არამედ საერთო ადამიანური ძველი მაღალი იდეალებითაც. ამიტომ მას ვერ მოერია ვერც ცეცხლი საბარსთა მაზრებიანელებისა, ვერც ურიცხვ მაჰმადიანთა მრისხანე მახვილი, ვერც რუსული „უწმინდესი სინოდის“ შოვინისტური ძალადობა.

ეს მოძალადენი ქართულ ეკლესიებს ასობით ანგრევდნენ, სარწმუნოებრივ წიგნებს ათასობით სწვავდნენ, უძველეს ქართულ ქრისტიანული ხელოვნების ნახატებს (ფრესკებს) ეკლე-

სიის კედლებზე ეირით ლესავდნენ, მაგრამ ქართული მოღვაწის წიაღში ჩანერგილს ღრმა კულტურის სულის სიმაგრეს ვერც მისწვდნენ, ვერც მოერივნენ.

იგი უკვე მეთორმეტე საუკუნეში შოთა რუსთაველის განიამ გამოამზეურა თავის „ვეფხის ტყაოსანში“. ბრწყინვალე პოეტური სამოსელით მან შემოსა ნაკადი ქართული სულისა, აზროვნებისა, იდეალებისა და დაუტოვა შთამომავლობას კეთილშობილ ადამიანთა რჯულის უკვდავი ეროვნული სახარება. „ვეფხის ტყაოსანში“ რუსთაველი აღფრთვევანებული ჰიმნით ეგებება ადამიანს, სიცოცხლეს, იდეალურ სიყვარულს, მეგობრობას, ძმობას, გმირობას, თავდადებას; შეასხამს ხოტბას სილამაზეს, გონიერებას, სამართლიანობას, თანასწორობას, სოციალურ ჰარმონიას, მამულიშვილობას, ერთა შორის დამეგობრებას.

საშუალო საუკუნეებიდან მოყოლებული რუსთაველის პოეზიის გავლენა ქართველ ხალხში იყო არა ნაკლები საეკლესიო ლიტერატურისა. მისმა წიგნმა გაიკაფა საკუთარი გზა ქართველთა გულისაკენ. მოწინავე ქართულ წრეებში იგი სამოქალაქო სახარებად გადაიქცა. ქართველი ბავშვი „ვეფხის ტყაოსანიდან“ იწყებდა სწავლას. ბევრს გაზეპირებული ჰქონდა მთელი პოემა. მისი ბრძნული აზრები, ნათქვამ-შაირები მოედო ხალხის ფართე ფენებს და მასზე აშენდა მდიდარი ციკლი აღმზრდელი ხალხური თქმულება ანდაზებისა ჩვენს დრომდე შემონახულთა.

მეთორმეტე საუკუნის ქართველთა სახელმწიფოს, რომლის ბრწყინვალე გაშლა-გაფურჩქვნა თამარ დედოფლის მეფობით დაგვირგვინდა, საფუძვლად ედო ის მაღალზნეობრივ-სოციალური იდეალები, რომლითაც ქართველი ხალხის ბუნება სულდგმულობდა და რუსთაველმა გენიალური ოსტატობით ჩამოასხა თავის ოქროს ნაკვეთებში:

„უხეად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“.

„რასაცა გასცემ, — შენია, რასც არა, — დაკარგულია“.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია“.

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების“.

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი არას მქონები“.

„ხამს მოყვარე მოყვარისთვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. „რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,

შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!“

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს ღიაცსა ქსლისა მბეჭველსა? სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა!“

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერე სულსა!“.

„ჭიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა!“.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“.

და სხვა და სხვა.

ამ აზრების მატარებელმა საქართველოს „ოქროს ხანაშ“ დაუტოვა ქართველ ხალხს მდიდარი მემკვიდრეობა: პოლიტიკურში — წოდებრივი პრივილეგიების შეზღუდვა; მოწყობა სახელმწიფო პატრიონობისა ქვეყნის ღარიბთა ნაწილისათვის; ზნეობრივში — ადამიანის წამების და სიკვდილით დასჯის გაუქმება; აღმოფხვრა ქურდობა-ავაზაკობისა; სარწმუნოებრივ-ში — სხვა რეზულისაღმი ტოლერანტული მოყრობა; კულტურულში — მეცნიერების, ისტორიის, ხელოვნების და ლიტერატურის აღორძინების საუკეთესო ძეგლები. ქრისტიანულ და საზოგადოებრივ-კულტურულმა იდეალებმა და ადათებმა მე-12-ე საუკუნისა შეაღუდს ქართველი ხალხი ერთ მთლიან ერად, რომელმაც შემდეგ საუკუნეებში, ბედის ჩარხის შემოტრიალებით, განიცადა საშინელი დარტყმები ჯერ მონლოლთა და მერე თურქ-სპარსთა გამანადგურებელი შემოსევების სახითა, დათავებული მე-19-ე საუკუნის დამლევს რუსეთის მიერ მძვინვარე გამარტინებელი პოლიტიკის გამეფებით კავკასიაში. და თუ ქართველმა ერმა გაუძლო მათ და არ ჩაქანდა სრული არარაობის უფსკრულში, ეს იყო შედეგი ქრითველთა შო-

დღმაში გამდგარი ამ ძირმაგარ კულტურულ ზექულება-
 ძალათებისა.

„ჩეკულება რჯულზე უმტკიცესია“-ო, სოცლის ქართველი
 ხალხი თავის მთავარ საზოგადოებრივ-ზნეობრივ კანონად და
 მოითხოვს მის სასტიკ დაცვას:

„გვარის ამოწყვეტია სჯობია ადათის ამოწყვეტიასა“; „სახე-
 ლის გატეხს თავის გატეხა სჯობია“-ო.

მრავალფეროვან და მდიდარ ქართულ ადათთა კოდექსის
 სულის ჩამდგმელად ხალხური თქმულება-ანდაზები ითვლება.
 რას მოითხოვს ქართველი ადამიანისაგან ხალხური ადათობა?
 თავში — ადამიანის ღირსეულ შეფასებას: „ადამიანი ადამია-
 ნისათვის წამალია“-ო (შეაღარეთ ლაპინურს — „ადამიანი
 ადამიანისათვის მგელია“); „სისხლი სისხლით არ მოიბანებაო“
 (გაიხსნეთ სისხლის აღების წესები სხვა ხალხებში); „ათასად
 გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ
 ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

კაცის მოქმედება: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და
 გამოჰქონდეს, განა კ აცი ეწო არის, სულ თავისკენ მიითლი-
 დეს?“; „ვინც თავი დაიმდაბლა, იგი ამაღლდა“; „ისეთი ხიდი
 გასდე, რომ შენმა შვილებმაც გაიარონო“; „ნუ დაჰკარგავ
 ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“; „დავრდომილს წიხ-
 ლი კი არა, შველა უნდა“; „შურს ბაძვა სჯობია“. ქალის პა-
 ტივისცემა — „დედაკაცს ძალლიც კი არ დაჰყეფსო“. ზნეობა—
 „ბოროტია იგი, ვინც თავის თავისათვის მხოლოდ არის კარ-
 გი“; „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ერთიაო“: „თავის ქება
 კიტრად ღირს“; „მტყუანს ტყუილის კარამდე უნდა მიჰყე“.

გაჰკირვების ატანა: „არ უნდა ჭირში გატეხა, თუ კაცი გო-
 ნიერია: წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია“. მე-
 ზობლობა: „თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგად ხარ“.
 სახელუფლება: „სახელი სჯობს ქონებასა და უფლება მონე-
 ბასა“

და სხვა მრავალი ამგვარი.



ქართველი ხალხის ოჯახურ-საზოგადოებრივი ცხოვნისაუკის შენებულ ზნეობრივ კანონთა ფარგლებში მიმღინარეობდა. სისხლის აღების წესი, რომელიც უძველეს დროიდან კავკა-სიაში მობინადრე (და სხვაგანაც) ხალხებს სჩვევიათ, ქართვე-ლებში უხსოვარ ხანიდან იყო გამჭრალი. პირიქით, თვითნე-ბური მკვლელობა საქართველოში მუდამ ისჯებოდა და ხალ-ხისაგან დევნილი მკვლელიც ჰქონდა ექსორიაში.

ქალისადმი პატივისცემა ქართველ ხალხში ხომ კულტად იყო აყვანილი. ქრისტიანული ციეილიზაციის დამკეიდრებაში ქართველთა მოდგმაში უმთავრესი ღვაწლი სამ ქალს მიუძღვდა: წმინდა ნინოს, თამარ მეფეს და ქრისტეს რჯულისათვის წამებულს კახეთის დედოფალ ქეთევანს. ქართველი ოჯახის მაღალ ზნე-წესების თავდადებულ მცველად ქართველი ქალი, დედა, ითვლებოდა. ხალხური გამოთქმაც ქართულ ენას „დე-და-ენას“ უწოდებს. მისივე თქმით, ქართული ოჯახის-სახლის სიმაგრე „დედაბოძს“, „დედაკაცს“, ემყარება. ქართველი მა-მაკაცი და დედაკაცი სრულ თანასწორ უფლებიან პიროვნე-ბებს წარმოადგენდნენ. ქალის ცემა, მით უფრო მკვლელობა საქართველოში გაუგონარ ამბად იყო მიჩნეული. რუსების შე-მოსკოვლამდე საქართველოში დედის შემგინებელს შეგინებუ-ლისაგან სიკვდილი არ ასცდებოდა. ქართული სოფლის ცხოვ-რებას მეძავე ქალი ვერ გაეკარებოდა. ქართველი ქალის ზნეო-ბის სისპერიკე ცნობილი იყო ყველა მეზობელ ხალხებში. ქართველი ქალის გავლენა მამაკაცზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ხანჯალზე გამოწეულ მოსისხლე მოპირდაპირ მამაკაც-თა ჩხუბს, მათ შორის ქალის მიერ ჩაგდებული მანდილი მო-ჩხუბრებს აჩერებდა.

ქართულ ცხოვრებაში აგრეთვე დიდად ფასობდა მეგობრო-ბის აღათი. რუსთაველის ქარნახი: „ხამს მოყვარე მოყვრისა-თვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ — ქართველი კაცის ზნეობის ღონის შემთხვეველ საზომად გადაიქცა. ერთმანეთთან დამო-კიდებულებაში, სიტყვიერ თუ წერილობით, მეგობარი მეგო-

გარს მიმართავდა, როგორც ძმა ძმას. ხალხური — „ძმა ძმისათვის, შავ დღისათვის“ როდი იყო მაჩევნებელი მხოლოდ ნათესაური განწყობილებისა, არამედ საერთო მეგობრობის აღათის სიმტკიცისაც.

ქართული ეკლესიაც თავის მმართველი წრეებით დარაჯად ეღვა ხალხურ ამ ზნეობრივ ადათთა განმტკიცებას. მას მხარს უმაგრებდა ქართული კანონმდებლობაც.

მეცნიერ იოზევ კარსტის თქმით, „ვახტანგ მეცესის მიერ შეკრებილი და გამოცემული ქართული საკანონმდებლო კრებული განიჩინევა სხვა ერთა კანონმდებლობისაგან თავისი პუმანიურობით, იურიდიული სიბრძნითა და ორმა ფესვებითა, მომდინარე ძველთა ძველ კულტურულ ხალხთა კანონმდებლობიდან“—ო. (Prof. J. Karst. „Code Géorgien du roi Vakhtang VI“, Strasburg, 1934).

კართულ ცეციალურ ფენათა ურთიერთობის საფუძვლები რუსთის გაჩვენამდე საჩართველოში

სტრასბურგელი პროფესორის ი. კარსტის ქართული კანონმდებლობის ანალიზის ამ დასკვნებს საუცხოოდ ასაბუთებენ წარსული ქართული ცხოვრების ცოცხალი მაგალითები, განსაკუთრებით მის სოციალურ ფენათა ურთიერთობის ადათწესები.

კავკასიის გეოპოლიტიკურმა მდებარეობა-მდგომარეობამ ქართველი ხალხის ფენათა ურთიერთობას ძველი დროიდან თავისი საკუთარი დაღი დაასვა: ქართველთა მოდგმის ტომთა ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირება. ეს მოვლენა ბუნებრივიც იყო. კავკასიური ქვეყანა, საქართველოდ წოდებული, შეუჩერებლივ განიცდიდა მოზვავებულ მრავალრიცხვან მტერთა თავდასხმებს. ამის გამო ქართველი ხალხი მუდამ და შოლად იარაღში იჯდა. მისი სოციალური ფენების საქვეყნო წყობაც ერთგვარ მთლიან სამხედრო ბანაკის გარიგებას წარმოადგენდა. ამ წყობის სათავეში იღვა მეფე, როგორც ქვეყნის მართ-

ველი და ჯარის მთავარ-სარდალი; მას მოსდევდა თავადნი და აზნაურნი ჯარის ნაწილთა და რაზმთა სხვა და სხვა ხარისხის უფროსობის სახითა; „ქვეყანის მოქმედი“ (მეათე სუკუნის ტერმინით) ხალხი, ანუ გლეხობა, ითვლებოდა ჯარის კაცობად. ამაზედ აშენდა ქართული ფეოდალიზმიც, რომელიც თავისებურობით განიჩეოდა მონათესავე ევროპის ფეოდალური ყოფა-ცხოვრებისაგან იშვიათი ჰუმანიურობით.

დაწესებული ადათით ქართველი თავად-აზნაურ-გლეხთა წოდებანი შეკრული იყვნენ მტკიცე საურთიერთო ვალდებულებანით. ქართველ ფეოდალს ევალებოდა თავისი წილ გლეხების-ყმების (ე. ი. უმცროსების, სუსტების) პატრიარქობა, ანუ „პატრიონ-ყმობა“. ამ მოვალეობას იგი პირნათლად ასრულებდა; ემარიებოდა გლეხს მოუსახლობაში, სიღარიბეში, ავაღმყოფობისა და სხვა გაჭირვების დღეებში. იცვდა თავისი გლეხის ქანებას, ოჯახს, პიროვნებას სხვისი ძალმომრეობისაგან. თავისი საფასით გამოისყიდვა ხოლმე ომში ტყვედ ჩავარდნილ ყბას. არც თვითონ ძალმომრეობდა საყმო კაცებე, რომელსაც ასე ჩვეული იყო ევროპიელი ფეოდალი, ცნობილი საკუთარი გლეხების ხშირი რჩევითა. ამიტომ იყო ევროპის ფეოდალური ისტორია ხშირი მოწმე მათ გლეხთა იჯანყება-რევოლუციის ამბებითა („უაკერიები“), რომელიც უცნობია საქართველოს შინა ცხოვრებისათვის. პირიქით, დანათესავება თავად-აზნაურ-გლეხთა წოდებათა შორის ცნობილი ქართული „ძიძიშვილობისა“ და „მირონობის“ ადათებით, ერთგვარად აქარწყლებდა ამ წოდებათა შორის არსებულ განსხვავებათა და აერთებდა მათ ერთ საკავშირო წყობაში მაგარი ეროვნული ადათებით შეკრულს. რომელიმე თავგასულ თავადს რომ მოღწლომა დაწესებული ადათის დარღვევა და უმართებულოდ ძალმომრეობისათვის მიმართვა გლეხთა წინააღმდეგ, ის შეიარაღებულ ხალხს უნდა დასტაციებოდა²⁾.

²⁾ აკაკი წერეთელის მოგონებათა გადმოცემით მეცხრამეტე საუკუნის დამლევს „საწერეთლოში“ ამის დამახასიათებე-

თავის მხრივ გლეხიც, თანახმად პირობისა, წესიერად ემსახურებოდა თავის უფროსს და პატრონს ყველა დარგში: მამულდედულის მოვლაში, სახლში, ოჯახში. მისივე მეთაურობით გადიოდა საომრად მტერთან და პატრონისათვის თავის განშირვაც ხშირად მას დიდ სახელად მიაჩნდა. ამაყ ქართველ გლეხს სძულდა ავაზაკობა, რომლის რაზმებით მოდებული იყო საქართველოს მეზობელი ქვეყნები, აგრეთვე — მათხოვრობა. „სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია“—ო, გაიძახოდა იგი. არც შეურაცხებას იტანდა. ამაზედ მან შეიქმნა საკუთარი ანდაზაც: „კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამს“—ო. ხალხის ცხოვრებაში ცემა-ტყეპა ერთმანეთში იშვიათი იყო. ყმის, გლეხის გალაზეა თავადის მიერ დასაგმობ საქციელად ითვლებოდა. საერთოდ, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში „ქვეყანის მოქმედი“ — გლეხი, ყმა, — მუდამ სამღარეველ პატივში იმყოფებოდა. „ძმაო, რა სჯობდა ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა“—ამ სიტყვებით შემოსძახის ძველი კახური სუფრული (Д. Аракчиев. Музыкально-этнографические очерки грузинской народной музыки, Москва, 1916 г., стр. 109).

ეს ზნეობრივი წონასწორობა ქართულ წოდებრივ ფენათა შორის გამომდინარეობდა ქართული ბუნებით შეთასებული აღამიანის პიროვნების შეფასებიდან: „კაცი ჭაცის წამალიაო“.

ლი შემდეგი ამბავი მომხდარა: ერთმა წერეთელმა აიყვანა თავისი ნაყმევი გლეხის ოჯახიდან მისი ქალიშვილი მოსამსახურედ. გლეხს ცოლი მოუკვდა. დარჩა მარტოდ და სთხოვა თავის ბატონს და პატრონს, თანახმად ადათისა, დაებრუნებინა მისთვის ერთად-ერთი ქალიშვილი ოჯახის შესანახვად. წერეთელმა უარი სტკიცა. ახლა მთელმა სოფელმა სთხოვა; არც ამან გასჭრა. მაშინ სოფლის გლეხობა შეიარაღდა, რათა ძალით დაემორჩილებინა წერეთელი დაწესებული აღათის შესრულებისათვის. თავის მხრივ წერეთელმა მოუწოდა თავის საგვარეულოს მოშველებისათვის. წერეთლებმა შეუთვალეს: თუ-

„დავრდომილს წინა კი არა, შველა უნდაო“; „თუ კაცი თვი -
თონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

ამ დამყარებულ ქართულ საზოგადოებრივ თანხმობა-კავ-
შირს ამაგრებდა მუდმივი გარეშე საფრთხეც, დამუქრებული
მცირერიცხვანი ქართული მოდგმის სრული ამოვდებით. ამი-
ტომ იყო რომ ამ ორგანიულად ჩაკირულ ქართულ ერთობას
ვერ მოერია საბოლოოდ აზიური მსოფლიო — ვერც ფიზი-
კურად, ვერც პოლიტიკურად, ვერც ზნეობრივად, თუმცა აზი-
ელმა მტარვალებმა ბევრჯელ ჰგლიჯეს და ფლითეს მისი სხე-
ული.

რუსეთის იმპერიის მიერ განადგურება საქართველოს სამთავროს მოსახლეობა თავისუფალი ეკლესიისა, დევნა ძართული განათლებისა

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ერთორმწმუნე რუსეთის
მიერ მფარველობის დაპირებამ იმედი აღუძრა სისხლდაცლილ
ქართველ ხალხს, რომ ქრისტიანული რუსეთი, რომელიც მას
ევროპილ ქვეყნად ევლინებოდა, მის სახელმწიფოს გაამაგ-
რებდა ეროვნულად, კულტურულად, ქონებრივად. მაგრამ მო-
ნდა წარმოუდგენელი რამ.

მფარველის სახით საქართველოში შემოსულმა, ქრისტია-
ნულ და ევროპიულ სამოსელში გამოწყობილმა რუსეთმა, რა
წამს მოიმაგრა თავისი მხედრული ძალით ფეხი საქართველო-
ში, სწრაფად მოიშორა მიმზიდველი გარევნული სამოსი და
დამკლავებული, რუსული ნაჯახით ხელში, შეუდგა ქართველი
ხალხის მასაზრდოებელი ძირების ჩეხვას ყველა სფეროში: პო-
ლიტიკურში, სარწმუნოებრივში, სოციალურში, კულტურულ-
ში.

მცა ამ საქმეში მართალი არა ხარ, მაგრამ, რომ შეირალებულ-
მა ხალხმა წერეთლებს სილაჩრე არ დაგვწამოს, ჩვენც იარა-
ლით უპასუხებთო. მაგრამ ამ დავაში ჩაერია მღვდელი და ორი-
ვე მხარეს იარაღი დაუყრევინა. ქალიშვილი კი დაუბრუნეს მამას.

თავიდან თავს დაუსხა საქართველოს უძეველეს მეფეთა საგვარეულოს, ვერაგულად წართვა მას 11 საუკუნოვანი სამეფო ტახტზე და მისი წევრები დედა-ბუდინად რუსეთში გადასახლა, რაც არც ერთ აზიელ მპყრობელს არამც თუ უქნია, არც უფიქრია.

ასევე მხეცურად მოექცა ქართულ ეკლესიასაც, ამ მოწინავე მედროშეს და განთქმულ დამცველს ქრისტიანული ცივილიზაციისა მძლავრ და მრისხანე მუსულმანთა აზიის სანაპიროზე.

მეხუთე საუკუნიდან დამოუკიდებელი ქართული ეკლესია, რომელიც მუსულმანთა უმწვავესი ბატონობის ღროსაც არ იყო მოსპობილი, რუსეთმა იოლად მოსპო (1811 წ.). საქართველოს კათოლიკოსი რუსეთში გადასახლა. საქართველოს ეკლესის მმართველად რუსი ევგარჩხოს დანიშნა და დაუქვემდებარა რუსეთის ბიუროერატიულ დაწესებულებას „უწმინდეს სინოდს“. როცა მას ქართველი ეპისკოპოსები და მღვდლები არ დაემორჩილნენ, რუსეთის მთავრობამ მათი მეთაურები, — ორი მიტროპოლიტი, — დაატუსაღა: ერთი მათგანი მოკრა და მეორეს რუსეთში უკრა თავი. ამ გაუგონარმა ველურობამ ხალხის აჯანყება გამოიწვია, რომელიც დიდი სიმკაციონით იქმნა ჩაქრობილი. ქართულ ეკლესია-მონასტრებს საცხოვრებელი დიდიალი მამული და ქონება ჩამოართვა და თავის რუს ხაზინას მიაკუთვნა. გამოაცალა რა ეკლესიას ქონებრივი საფუძველი, ახლა მის ქრისტიანული სულის განვითარებას ყველა გზები შეუკრა. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ქართული ბიბლიის ამბავი. საქართველოში ეკლესია და საზოგადოებაც სარგებლობდა ძეველი და ახალი აღთქმის ხელნაწერებით. სხვა საეკლესიო წიგნები აგრეთვე ხელნაწერებით იყო დაცული. ამ გვარად ქართული ბიბლია დაბეჭდილი და გავრცელებული ხალხში არ არსებობდა. მთხელავად იმისა, რომ რუს მთავრობას მრავალი მილიონად ღირებული საქართველოს ეკლესის სიმდიდრენი ჰქონდა წაღებული, რუსეთის სინოდს თვით აზრადაც არ მოსვლია ქართული ბიბლიის

დაბეჭდვა და გამოცემა. მხოლოდ წარსულ საუკუნისაშე ჩანახებარში, ქართული სამღვდელოების მრავალჯერ განმეორებული მოთხოვნით, თბილისის „სინოდალურმა კანტორამ“ გაიღო მცირე თანხა ქართული ბიბლიის დასაბუჭდად. მაგრამ გამოცემული ბიბლია ეკლესიებში სახმარად სრულიად არ გამოდგა და ქართული ეკლესიები ისევ ძველ ხელთხაწერებით კმაყოფილდებოდნენ. ქართული ბიბლიის მეცნიერულად გამოცემა „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად, 1920 წელს, იკისრა თბილისის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით. მხოლოდ ამ საქმის განხორციელება მას არ დააკალა ბოლშევკური მოსკოვის მიერ თავისუფალი საქართველოს დაპყრობამ 1921 წლის ოქტომბერგალში.

მთელი საუკუნის განმავლობაში რუსული სინოდი თავის რუსი ეგზარქოსების სახით ქართულ ეკლესიასთან გამუდმებით ოშე აწარმოებდა. დაეპატრიონა მის უძვირფასეს ძეგლს—წმინდა ნინოს ბოდებს საგანეს და გადააქცია იგი რუსულ ბუდეთ ქართველი ბავშვების ეროვნული გადაგვარებისათვის. საქართველოს საეკლესიო სკოლებში შემოილო რუსული ენა, რუსული ლოცვები, რუსული წესები. რუს რექტორთა მეთაურობით საქართველოს სასულიერო სემინარიები, რომელთა დანიშნულება იყო ქართველი სამღვდელოების მომზადება, ემსახურებოდა ქართული ეკლესიის მომავალ მწყემსთა სრულ განეროვნებას. ქალაქ-ადგილებში ეკლესიებიდან სდევნიდა ქართულ წირვა-ლოცვას და ზოგან შემოალებინა რუსული წირვა³). იდენტურობით შეურიგებელი ნაწილი ქართველი სამღვდელოებისა.

3). აი რას ეუბნებოდა ამის თაობაზე რუსეთის სინოდის ობერპროკურორის თანაშემწეს, თავად ნ. დ. ევეგახოვს, არქიეპისკოპოსი პ. პიტიორიმი, დანიშნული 26 ივნისს 1914 წელს ეგზარქოსად საქართველოში: „ჩემს შეგნებაში ვერ ეტევა მოთხოვნილება სინოდისა, რომ ვაიძულო ხალხს ილოცოს გაუგებარ ენაზე. უდიდეს ნაწილს ჩემი სამრევლოსი ძლივს ესმის

ქართული ეკლესიის ამბიონიდან შესწყდა ოდესაც გან-
 თქმულ ქართველ მჭერმეტყველ მწყემსთა აღგზნებული ქარ-
 თული ქრისტიანული სიტყვა-ქადაგება. ამას მოჰყვა სამღვ-
 დელოების გავლენის დაცემა ხალხში. დაცარიელდნენ მღვკ-
 ველებისაგან ქართული ეკლესიები. უსაღსრო და უმრցვლო
 ძველი ეკლესიები ინგრეოდა. ახალი აღარ შენდებოდა.

რუსეთის საიმპერიო მთავრობაც ასევე გულმოდგინედ იღვ-
 წოდა ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის, მისი დედა-

რუსული ენა! მით უმეტეს, როგორ უნდა გაიგოს ეკლესიურ-
 სლავიანური ენა?! შეუძლებელია, რომ სარწმუნოება პოლი-
 ტიკის იარაღად, ან უკულმა, იყოს გადაქცეული. ამიტომ მჩევ-
 ლის მოთხოვნილებით ვწირავდი ხან ქართულ, ხან ოსურ ენა-
 ზე და ხალხი დიდიდ მიმადლოდა. უნდა გენახათ, თუ რა ღრმა
 ქრისტიანული რწმენით და სასოებით ლოცულობდა ხალხი
 თავმოყრილი ეკლესიაში! ჩვენს რუსულ სოფლებში და ქალა-
 ქებში ამისთანა სურათებს ვერ ნახავთ. მაგრამ ამ ჩემს შეხე-
 დულებას ყველანი არ იზიარებენ, და მე ჩამოვედი პეტერბურგში ამ საქმეზე, რომ გავფანტო „ეპევები“. მხოლოდ არ ვიცი,
 რით დამთავრდება ჩემი მისია“.

3. პიტირიმი — შენიშვნავს ნ. დ. უევახოვი — გარევეულად
 ეწინააღმდეგებოდა წინამორბედი ევგზარხოსების პოლიტიკას,
 რომელიც იღვწოდნენ ქართული ეკლესის რუსიფიკაციისა-
 თვის და სდევნიდნენ ადგილობრივ სამღვდელოებას მშობლი-
 ურ ენაზე წირვა - ლოცვისათვის. პიტირიმი გამოსთქვამდა
 ღრმა მწუხარებას, რომ რუს ევგზარხოსთა ეს პოლიტიკა ანე-
 ლებდა ქრისტიანული სარწმუნოების სულისკვეთებას ხალხში
 და შიშს გამოსთქვამდა, რომ მან შესაძლოა მწარე ნაყოფი გა-
 მოიღოსთ. — შემდეგში მომხდარ ამბებმა დაამტკიცეს, თუ
 რამდენად მართალი იყო მღვდელთ-მთავარი პიტირიმი, — დას-
 ძენს თავის მოვონებებში რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-
 პროკურორის თანაშემწე თ-დი ნ. დ. უევახოვი (Воспоминания
 товарища обер-прокурора св. синода кн. Н. Д. Жевахова,
 март 1917–сентябрь 1918, ч. I, стр. 126).

ბოძის — დედა-ენის — ამოგდებისათვის.

ამის შესახებ ისტორიული იყ. ჯავახიშვილი მოვეით-ხრობს („საქართველოს ისტორია“, მოკლე მიმოხილვა, საზღვარგარეთული გამოცემა. პარიზი, 1921 წ. გვ. 63-65), რომ „ყოველ სახელმწიფო დწესებულებაში დაყენებულ იქმნენ რუსები და თუ ქართველს მიეცემოდა რაიმე თანამდებობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებდა რუსობისადმი უსაზღვრო ერთგულებასა და განდგომას თავის ერისაგან. ყველგან შემოღებული იყო რუსული ენა — სასამართლოში, ადმინისტრაციაში და ეკლესიებშიც კი ქალაქ ადგილებში. ქართველი კაცი ვერც ვისმე მიმართავდა თავის ენაზე. ვერც რაიმე განცხადებას შეიტანდა. სწავლება პირველ დაწყებითა და სხვა სკოლებში რუსულად სწარმოებდა. მოწაფეებისათვის აღკრძალული იყო ქართული ლაპარაკი, ქართული წიგნის კითხვა, ქართულ თეატრში წასელა. მოწაფეები იღენებოდნენ, თუ ოდნავად გამოიჩინდნენ თავის ეროვნების და თავის სამშობლოს სიყვარულს. ყოველგვარ გონიეროვ-კულტურული მუშაობისათვის შემოღებული იყო ორმაგი და სამმაგი პოლიტიკური კონტროლი და ცენზურა. არსებობდა უსასტიკები ცენზურა წიგნებისა და გაზრდისათვის, ცენზურა თეატრისათვის, ცენზურა ბიბლიოთეკისათვის, ცენზურა საჯარო მოხსენებისათვის, და ლექციებისათვის, ცენზურა უკვე დაბეჭდილი და დაცენზურებული ლექსის წაკითხვისათვის და სხვა. ყველაფერი, რასაც კი რაიმე ქართული, ეროვნული, პატრიოტული იერი გააჩნდა, იყო აკრძალული და დევნილი. საქმე იქამდი მიღიოდა ხშირად, რომ ქართულ გაზეს არ შეეძლო ეხმარა თავის ფურცლებზე სიტყვა „საქართველო“.

ნამეტანი მკაცრი გარუსება ქართველებისა ალექსანდრე მე-სამის მეფობის ხანაში (1881 — 1894) ხდებოდა. თავაღ-აზნა-

ურთა რჩეული ბავშვები ასობით იგზავნებოდა რუსულ კა-
 დეტა კორპუსებში „უფასო სწავლის“ მიღებისათვის. იქიდან
 სამხედრო იუნკერთა სასწავლებლებში იგზავნებოდნენ საი-
 დანაც რუს ოფიცირებად გამოსულნი, მეტნაშილად სრულიად
 ივიწყებლნენ ქართულ ენას და გარუსების გზას აღგებოდნენ.
 (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ,
 1918 წელს, განსაკუთრებული აღწერილობით, რუსეთის ჯარ-
 ში ნამყოფ ამ ოფიცირთა რიცხვი 12 ათასამდე აღწევდა).

რუსული ჭახ-ჭყობილების გადმოწერება საქართველოში და ბრძოლა ერთულ ერთვნების მოღიანებასთან

მთავარი და ძლიერი იერიში შემოსული რუსებისა პირვე-
 ლივე ხანიდან მიტანილი იყო ქართველი ხალხის სოციალურ
 ფენათა შორის არსებულ ეროვნულ ერთობა - მთლიანობაზე.
 1802, 1804, 1810, 1812, 1820, 1841 წლებში საქართველოს
 სხვა და სხვა მხარეში მომხდარმა მძვინვარე აჯანყებებმა რუ-
 სების გაბატონების წინააღმდეგ, საცა რუს ჯარებს გააფთრე-
 ბულად ებრძოდნენ მხარ და მხარ საქართველოს თავად-აზნა-
 ურ-გლეხობა, აშკარად დაანახვა რუს მპყრობელებს, რომ მათ
 აქვთ საქმე მეტად ძლიერ და მათი გაბატონებისათვის სახითა-
 თო მოწინააღმდეგე ძალასთან — ქართველი ხალხის ეროვ-
 ნულ ერთობასთან. ამიტომ რუს მმართველთა უკელა ცდები
 წარიმართა იქითქენ, რომ ქართველ წოდება-ფენათა შორის
 დამყარებულ მთლიან წყობაში მისი გასახეთქი მაგარი რუსუ-
 ლი სოლი ჩაერქო.

ამისათვის რუსი მთავრობა საჩქაროდ შეუდგა საქართვე-
 ლოში თავისი რუსული წესების გადმონერგვას და მათი შემ-
 წეობით შეეცადა თავში ქართველი გლეხობა უფლებრივად
 გაეთანასწორებინა რუს მუჟიქთან, თავისი რუს ბატონის უუფ-
 ლებო მონასთან.

ცნობილია, რომ რუსი გლეხის ყოფა-ცხოვრებას „ცველი დროიდან მუდამ სდევდა ჩაგრა, დამცირება. ჩვეულებრივად მას სახელადაც ერქვა „სმერდი“ (მყრალი), „ხოლობი“ (მონა) და მეცხრამეტე საუკუნეში ის გადინათლა „მუეიკად“. რევოლუციამდე რუსულ საზოგადოებაში ეს სახელიც გინების სიტყვად იყო შემოლებული („აი, შე მუეიკო, შენა!“). გლეხთა განთავისუფლებამდე (1861 წ.) ეს რუსი მუეიკი სრულ საკუთრებად ითვლებოდა თავისი ბატონისა — თავადისა თუ აზნაურისა. ამიტომ ბატონის მიერ ის თავისუფლად იყიდებოდა ოჯახისით თუ ცალ-ცალკე სხვა ბატონებზე, ან იცვლებოდა ჯიშიან ძალზე ან პირუტყვზე. ხშირად ბატონის ქაღალდის თამაშის წაგება-მოგების საგნად ხდებოდა და სხვა. მძიმე დანაშაულისათვის ბატონის ბრძანებით თავგაპარასული ციმბირში იგზავნებოდა. უბრალოსათვის „იროზგებოდა“ (იწყებლებოდა). ზოგჯერ იმდენ „როზგს“ დაარტყამდნენ, რომ იქვე სულსა ლევდა. მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ისიც, თუ მუეიკს მის ქოხში ცულს მოუნახამდნენ. რაღვან სამუშაოს რომ გაათავებდა, იარაღი ბატონის მოურავისათვის უნდა ჩაეგარებინა. რუს მუეიკს უფლება არ ჰქონდა მჭრელი იარაღის ტარებისა, არც შინ შენახვისა.

მეჩვიდმეტე საუკუნის რუსული ცხოვრების მეთვალყურეთა აღწერით, „გლეხი-ხალხის დევნა, აწიოკება და ტანჯვა მებატონეთა, ვოევოდთა და მოხელეთა მიერ აუწერელი იყო. თითქმის ყველ ქალქ-სოფელში არსებობდა „წამების სახლი“ („პიტოჩნაია იზბა“), საიდანაც ყოველ დღე ისმოდა წამებულთა კვნესა დ ყვირილი“—ო. (შ. ნაევინ). მერე ვინ იყვნენ რუსი გლეხების მებატონენი მეფე-თავად-აზნაურობის წოდებისა? ძლიერი ნაწილი მათი ეკუთვნოდა უცხო ტომთა ჩამომავლობას: ნორვეგიელებს⁽⁷⁾ („რიურიკოვიჩები“), შვედებს, გერმანელებს, ლიტველებს, პოლონელებს, მონლოლ-თათართა ხანების შთამომავლობას. „ერთი მეოთხედი რუსეთის თავად-აზნაურობისა თათართა მოდგმისა იყო“—ო, ამბობს რუსი მწერალი ევგენი შუგავი. ყველა ესენი რუს გლეხს უცქეროდნენ, როგორც

უბრალო საქონელს, თავისი პირადი ცხოვრების გამდიდრება-
გაძლიერების საგანს. რუს ჩამომავლობის თავად-აზნაურობაც,
გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ასეთივე დამოკიდებულებაში
იყო თავის გლეხებთან და ევლინებოდა მათ მკაცრ, ულმობელ
მყვლეფავ მებატონედ. ამის გამო რუსი თავად-აზნაურობა ინ-
ტილექტუალურად დაბალ დონეზე იდგა, რითაც აისწება ის
მოვლენა, რომ მის რიგებში ძალიან ნაკლებად ითვლებოდა
ხალხის და ქვეყნის გულშემატკივარი მწერლები, მოღვაწეები
და მთელ თავის სიცოცხლეს იყი გლეხებთან ბრძოლაში ატა-
რებდა.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ამბობს, რომ „თავად-აზნა-
ურთა და გლეხთა ამ ბრძოლამ დიდიწნით შეაჩერა მართებუ-
ლი ზრდა რუსი ხალხის ძალებისა და ამის გამო მემამულე თა-
ვად-აზნაურობამ, როგორც ხელმძღვანელმა წოდებამ, მისცა
უმგვარო, დასახიჩირებული მიმართულება მთელ კულტუ-
რას“-ი (ვ. კლიუხევსკი). ამ გვარად რუს თავად-აზნაურობის
წოდების და გლეხთა შორის ხიდი მუდამ ჩატეხილი იყო. ამი-
ტომ რუს ხალხის წარსული ხშირი იყო გლეხთა ოჯანყებებითა.
მარტო რაზინის (1670-71 წ.) და პუგაჩოვის (1773-75 წ.) ცნო-
ბილ გლეხთა ოჯანყებებმა ორჯელ კინაღიამ არ წალეპეს იმ
საუკუნეების რუსეთის სახელმწიფო.

საქართველოში შემოჭრილი აი ეს რუსობა მეცხრამეტე სა-
უკუნის პირველ ნახევრიდანვე ახვევდა ქართველ ხალხს წმინ-
და რუსული „ბატონ-მონური“ სოციალური წყობის სულის-
კვეთების, თავისი ბუნებით და ხასიათით სრულ წინააღმდეგს
პატრიარქალური და ჰუმანური ქართული „პატრიონ-ყმობის“
წყობილებისა. ასევე ითრევდა და ამწყვევდა თავის უფლებრივ
სოციალურ წეს-წყობილების ჩარჩოში ქართველი თავად-აზნა-
ურობის წრეებსაც, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ
რუს მებატონეთა წოდებასთან.

რუსეთის იმპერატორები, კაცი თუ ქალი, თავისი თავად-
აზნაურთა საგრძნობი ნაწილით ეკუთვნოდა უცხო ტომთა ჩა-

მომავლობას, რის გამოც დაშორებული იყო ჩალის ხალხის ფართო წრეებს და წარმოადგენდა განმარტოებულ ცალკე ფენას. მაშინ, როდესაც საქართველოს მეფეთა საგვარეულო და მოწინავე ქართული წოდება, თითქმის მთლად, ქართულ მოდგმიდან გამომდინარეობდა. „ქვეყნის მომქმედ“ — გლეხთა წოდებიდან გამოსული, იგი ქართველი ხალხის ეროვნული სხეულის განუკვეთელ ნაწილს წარმოადგენდა და გადაკვანძული იყო მასთან სიცოცხლეში და სიკვდილში. საკუთარი ქართული კანონმდებლობა და განსაკუთრებით აღათ-წესები ამაგრებლნენ ამ ქართულ მთლიანობას. გაღმონერგილი საქართველოში რუსული სოციალური ცხოვრების კანონ-ზე-ჩვეულებანი კი ქართულ წრეებს ერთმანეთს უპირისპირებდნენ და მათ სულიერ-ხორციელ ერთობის ძირს უთხრიდნენ.

„კავკასიის არხეოლოგიური აქტების“ მრავალი საბუთები მთლიან სურათს გვიშლიან იმისას, თუ რა მხეცურად ექცეოდა იმ დროში ახლად დამკვიდრებული საქართველოში ჩალის მმართველობა და ჯარისკაცობა ქართველობას. განსაკუთრებით გლეხობას: სარჩო-საბადებელის წართმევა, დაუსრულებელი ბეგარა, სოფლების აწიოკება, ეგზეკუციები, როჩგები, ცემა-ტყება, კაცისა და დედაკაცის უღელში შებმა, ქალების გაუპატიურება, ურჩითა ასობით ციმბირში გადარეკა — ეს იყო მუდმივი მოვლენა მაშინდელი ქართული სოფლის ცხოვრებაში.

რუს ბატონობასთან შეურიგებელ ქართველ თავადაზნაურობასაც რუსეთში და ციმბირში ასახლებდნენ. მათ მამულებს კი რუსული ხაზინა იბარებდა. დანარჩენ თავად-აზნაურებს რუს იმპერატორთა ერთგულებაზე და რუსულ კანონმდებლობისადმი მორჩილებაზე იძულებით ფიცს აღებინებდნენ. ქართველ თავად - აზნაურობას მოსთხოვდნენ თავისი ქართველი გლეხების მიმართ არა მფარველობა-პატრონობის გაწევას, არა მედ რუსულ მსგავს ბატონობისა და გლეხის დამორჩილებას რუს მართველობით შემოღებულ კანონ-წესებისადმი.

დროთა მსვლელობაში ამ რუსული გეზის გავლენამ საქარ-

თველოში საკრძნობი ბზარი დამჩნის ძველ ქართულ საზოგადოებრივი მთლიანობის სხეულზე და მომავალში ქართული შინა ცხოვრების სახითათო-დამამრღვეველ მოვლენად გადაიქცა).

მრავალ საუკუნეთა მანძილზე შეჩვეული ქვეყნისა და ერისათვის თავდადებულ სამსახურს, ესლა საკუთარ ქართულ სა-

4). ღიმიტრი ყიფიანის შესანიშნავი მემუარები გადმოგვცემენ მდიდარ მასალას იმ დროის რუსეთში დამკვიდრებულ და საქართველოში არსებულ თავად-აზნაურ-გლეხობის ურთიერთობის შორის განსხვავებათა შესახებ. და იგი სხვათა შორის სწერს:

„რუსეთში არას დროს არ ყოფილა ფეოდალური წეს-წყობილება და იქიდან მოსულმა მოხელეებმა, რასაკვირველია, ვერ გაიგეს და შეიგნეს ის პირობები და წესები ქართველი ხალხისა, ფეოდალურ ცხოვრებას რომ ეკუთვნოდა და შემოღებული იყო საქართველოში უძველესი დროიდან. ქართულ წოდებათა შორის დამოკიდებულება იყო პატრიარქალური და ოჯახური. რუსებს ფეოდალური წეს-წყობილებისა, საიდანაც გამომდინარეობდა ქართულ წოდებათა დამოკიდებულება, ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ... რუსულმა პრაქტიკამ გამოიწვია ისეთი ამბები, რომელთაც წინაპრები არ მოსწრებიან... ბატონისა და ყმის შორის უწინდელი სიამტკბილობა სიმძლვარედ გადააჭირეს, ისე რომ ბატონის მოკვლაც ხშირი გახდა, ხანდახან, მთელი ოჯახისაც. ამას, რასაკვირველია, მოსდევდა საჩივარი კაცის მკვლელობაზე, მკვლელის დასჯა სხეულით, ჯგუფად გაგზავნა ციმბირში საკატორო სამუშაოზე; ერთი სიტყვით, ოჯახური მდგომარეობა გლეხისაც და მისი ბატონისაც ასის წლობითა რომ მტკიცედ ჰქონდათ დაცული გარეშე მტრისაგან, ახლა მთლად მოისპო, დაერღვათ და დაექცათ ამ ახალი მფარველი ტიტულიარნი სოვეტნიქების წყალობით“ (დ. ყიფიანის მემუარები. სვიმონ ხუნდაძის რედაქციით, გამოცემული თბილისში 1930 წელს).

ხელმწიფოს წართმეული, შექმნილ ახალ ისტორიულ პოლიტიკურ პირობებში ერთი ნაწილი თავად-აზნაურობისა შედის რუს გართველობის სამსახურში, ზოგი მოხელეთა, ზოგი მხედართა და სხვა სახით. შეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე როცხვი ამ ქართველებისა საგრძნობი ხდება და წლიდან წლამდე იზრდება. მათ უკვე ემჩნევათ ჩაბერილი რუსული სული და დაშორება ქართველი ხალხის ცხოვრებისაგან, მის აღათ-ზნე-ჩვეულებისაგან. რუსი მთავრობაც ამ წრის ქართველებს დიდად ხელს უწყობდა სამსახურში წარჩინებითა, დაჯილდოებითა, ფულითა. მხოლოდ დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურობისა მაინც დარჩა მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის ხალხთან, იცავდა ძველ ქართულ ურთიერთობის აღათ-წესებს დამასთან ერთად ვანიციდა უკულმართ ისტორიული ბედის მწარე ხევდრს, გამოწვეულს რუსეთის ბატონობით საქართველოში.

1832 წელს ეს თავად-აზნაურობა აწყობს შეთქმულობას ქართველი ხალხის გასანთავისუფლებლად რუსეთის ბატონობისაგან, მაგრამ შეთქმულება გაცემულ იქმნა და დამარცხდა. წარსულ საუკუნეში ამ წრიდან გამოვიდა მთელი რიგი გამოჩენილ ქართველ მამულიშვილ მწერლებისა და მოღვაწეებისა, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რაფიელ, დავით და გორგავი ერისთავები, გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ივანე ჯავახიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, მამია გურიელი, დურუ მეგრელი, ი. მეუნარგია⁽⁴⁾ და სხვანი. ესენი იყვნენ რომ სიტყვითა, წერითა და საქმით იცავდნენ და ინახავდნენ საქართველოს და ქართველი ხალხის კულტურულ და პოლიტიკური წარსულის მდიდარ მემკვიდრეობას, ამხნევებდნენ ქართველობას მის გასაჭირები, მოუწოდებდნენ მათ ძველ ერთობისაკენ, გაბედულად იცავდნენ მის სახელს შეურაცხება-უსამართლობისაგან და თავსაც სწირავდნენ.

როდესაც რუს ეგზარხოსმა პავლემ დასწყევდლა ქართველი ერი, ქართველი თავად-აზნაურობის წინამძღვალმა დიმიტრი

ყიფიანმა საჯაროდ მოსთხოვა ქართველი ერის დამწყევლელს ჩატარების დაუტოვებინა საქართველო. ამის საპასუხოდ ჩატავრობამ ჩამოართვა დ. ყიფიანს წინამდლოლობის უფლება და დამსახურებული ქართველი მოხუცი მოღვაწე გადა-ასახლა ქალაქ სტავროპოლიში, სადაც ერთ დღეს რუსეთის „უწმინდესი სინოდის“ მსახურმა ბერძა დ. ყიფიანს გაუჩეხა სა-სიკვდილოდ თავი სასწორის ქვითა 1887 წელს.

შემდეგ ასეთივე ბედი წილად ჰქვდა ქართველი ხალხის სულიერ და ეროვნულ ერთობის დამცველს, დიდ მეთაურს, მგოსანს, მოღვაწეს და ქართველ გლეხთა თავ-გამოდებულ დამცველს, 70 წლის ილია ჭავჭავაძეს. რუსეთის რევოლუციის რიერაუზე, 1907 წელს მიმავალი თავის სოფელ საგურამოდან დედა-ქალაქ თბილისისაკენ, გზად მცხეთის ახ-ლოს, სოფ. წიწამურთან, ქართველი ერის ამ დიდი მოამაგის თავიც განგმირულ იქმნა ტყვიით რუს ქვაბში ამოხარშულ, გადაგვარებულ ქართველ ფანატიკოსთა წრის წაქეზებით ავა-ზაფთა ხელით.

რუსული სოლი ღრმად იჭრებოდა ქართველი ერის მთლი-ან სხეულში...

რუსეთის შეიცვის ნაცვლის ი. ვორონცოვ-დავითის მზაკვრიული პოლიტიკა საქართველოში

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ და სხვა დრამატიულმა ამ-ბებმა, დატრიალებულმა საქართველოში, მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსული რევოლუციის პირველ წლებში, აშკა-რად გამოამზეურა საიმპერიო რუსული პოლიტიკის მზაკვრუ-ლი მიმართულება. მისი გამომსახველი და გამტარებელი იყო მეფის ნაცვალი კავკასიაში გრაფი ილარიონ ვორონცოვ-და-შვერი. არსებულ ქართულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ში-ნა დავაში ვორონცოვი მხარში ამოუღვა ახლად ორგანიზაცი-ულად დამკვიდრებულ ქართველ მარქსელების პარტიას. ფლიდ რუს მმართველს კავკასიისა კარგად ესმოდა, რომ ისეთ ტიპი-

ურ მიწადმოქმედთა ქვეყანაში, როგორიც იყო საქართველო, სადაც ორ არსებობდნენ არც ქართველი კაპიტალისტები, ორც ქართველი პროლეტარიატი, „ქლასთა ბრძოლის“ ქადაგება ქართული ცხოვრების სინამდვილეში აშკარად ერთმანეთს დაატაკებდა მხოლოდ მემამულე თავად-აზნაურობას და რუსების წყალობით უმამულოდ და უპატრონოდ დარჩენილ ღარიბ ქართველ გლეხობას⁵⁾.

რუსული პოლიტიკის ამ ანგარიშით ატებილი სამოქალაქო ოში საქართველოში მაგრად ჩაჰკრავდა იმ რუსულ გამყოფ სოლს, რომელიც უკვე კინანია ჩარჭობილა ქართველი ერის სხეულში და რევოლუციის პროცესში საბოლოოდ გახეთქავდა მის მთლიანობას. ამით ქართველი ხალხის წიაღში მეოცე საუკუნის თავში კვლავ აღმოხეთქილს ჩუსეთის იმპერიისათვის სახითათო პოლიტიკურ ლტოლების ქართველებისა ეროვნული თავისუფლებისაკენ, რომლის სულისჩიმდგმელად და მებაირალტრედ ითვლებოდა ეროვნული ტრადიციების მატარებელი ქართველი თავად-აზნაურობის ინტელიგენცია, — ერთობის ძირი გამოეცლებოდა. ამიტომ ვორონცოვის პოლიტიკამ მოხერხებულად გამოიყენა ქართველი მამულიშვილური წერების მოწინააღმდეგე ძალები: პოლიტიკური პირველობის მაძიებელი და „ქლასთა ბრძოლის“ მედროშე ქართველი მარქსელების პარტია; მრავლად მოქალათებული საქართველოში სომხის

5). საქართველოს მეფეთა საგვარეულოს, ეკლესია-მონასტრების მოწინააღმდეგე თავად-აზნაურობისაგან ჩამორთმეულ დიდძალ მამულებში რუსეთის მთავრობამ დაიწყო გამუდმებით დასახლება განსაკუთრებით რუსებისა. 1917 წლის სტატისტიკური ცნობებით, საქართველოში სახმარი ტერიტორიის სივრცე უდრიდა 6.058.000 ჰექტარს. აქედან 2.206.000 ჰექტარი რუსეთის მთავრობას და ნიკოლოზ მეფის ռჯახს ეკუთხნოდა, ე. ი. მთელი საქართველოს სახმარი მიწის 36,5 %, ანუ ერთი მესამედი! (ვ. ნოზაძე, „ქართველი ერი“, № 10-11, ივლისი, 1944 წ., ბერლინი).

დალალობა და შუაგულ ქართლში ქართველების მამულ-დე-
 ლულზე დამიზნებული, ხიზნებად ჩასახლებული ოსობა.

იმ დროს მათ ყველას წინ მიუძღვდა რუსეთის რევოლუ-
 ციის წითელი დროშა, თანხლებით აჯანყებულ რუს მუეიქთა,
 ცნობილ რაზინ-პუგაჩოვის, ძველ ღრიალა შეძახილითა: „დაჰკა
 პომესჩიქებს!“ -ო.

ვორონცოვის უჩუმარი მფარველობის ქვეშ გაღვივებულმა
 ამგვარ „ქლასთა ბრძოლის“ მოძრაობამ საქართველოში გაშა-
 ლა ფრთხები. მას მოჰყვა ზოგიერთ ადგილებში, განსაკუთრე-
 ბით საქართველოს შუაგულში, — ქართლში, ხალხის არეულო-
 ბა და ადამიანთა მსხვერპლი. სწორედ მას შეეწირა საქართვე-
 ლოს დიდი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძეც. მაგრამ ქართველ-
 მა გლეხობამ ამ ტერორისტულ რუსულ ნაკადს თავშივე ბო-
 ლო მოუღო. გარდა ქართლის ერთი ნაწილისა, საქართველოს
 სხვა კუთხეებიდან თითქმის არავინ გაჰყვა რუსეთში აჯანყე-
 ბულ მუეიქთა კვალს. ბოლოს გამოირკეა ისიც, რომ ქართლში-
 აც თავად-აზნაურობის საწინააღმდეგო გამოსვლების მონაწი-
 ლენი ყოფილან განსაკუთრებით არა ქართული მოდგმის მო-
 სახლეობა და მარქსელთა პარტიის ავიტატორები. რაინდმა ქა-
 რთველმა გლეხობამ, „ქვეყანის მოქმედმა“ ხალხმა, არ გასწირა
 თავისი მოწინავე მოძმენი, უძველეს დროიდან ქვეყნისა და მი-
 სი მუდმივი მფარველნი, დამცველნი, შემნახველნი და წინა-
 მძღოლნი სიცოცხლეში და სიკვდილში.

მალე საქვეეყნოდ აეხადა ფარდა ეორონცოვის ამ რუსულ
 პოლიტიკას საქართველოში. კავკასიაში დატრიალებულმა რე-
 ვოლუციურმა ამბებმა მიიზიდეს ყურადღება პეტერბურგში
 ზოგიერთი გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწეებისა. გრაფ ვო-
 რონცოვს მოუვიდა შეკითხვა, თუ რატომ უჭერს მხარს ქართ-
 ველ სოციალ-დემოკრატების (პარტიის⁶). თავის ცნობილ „უქ-

6). იმ წლებში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში იგზა-
 ვნებოდნენ არჩეული ქართველი დეპუტატები მხოლოდ ამ პარ-
 ტიისა. მათი არჩევა, მაშინდელ საარჩევნო კანონთა შეზღუ-

კეშევრდომილეს „მოხსენებაში“ იმპერატორ ნიკოლოზ მეორისადმი (1907 წ.), ვორონცოვმა მოურიდებლად განუცხადა იმპერატორს, რომ ის მხარს უჭერს ქართველ სოციალ-დემოკრატებს რადგანაც ის ერთად-ერთი პარტიას საქართველოში, რომელიც თავისი პოლიტიკური მიმართულებით და გეგმით იცავს რუსეთის იმპერიის მთლიანობას და ებრძევის ქართველ თავად-აზნაურობაში დამკვიდრებულ ქართულ ნაციონალიზმს და რუსეთისაგან ჩამოშორების ტენდენციებს-ო⁷).

ამ მოხსენებას 1909-1910 წ. მოჰყვა რუს უანდარმერიის თავდასხმა ქართულ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაზე და მის მეთაურთა დაჭერა და გადასახლება რუსეთში. მოთავე და სულისხამდგმელი ამ პარტიისა იყო თავად-აზნაურობის რა-დიკალური ინტელიგენცია — არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, კ. გელოვანი, გ. ლასხიშვილი, გ. ზდანევიჩი და სხვანი, რო-მელნიც თავისი მიმართულებით იღვწოდნენ საქართველოს ავ-ტონომიისათვის. მათ თან მოსდევდა მოწინავე ნაწილი ქართ-ველი გლეხობისა და სასულიერო წრეებისა, რომელნიც აგრე-ოვე შეიქმნენ მკაცრი რუსული რეპრესიების მსხვერპლად⁸).

დუღ პირობებში, ბევრად იყო დამოკიდებული სანამესტნიკოს მართველობაზედაც.

7). ამავე ხანებში ვორონცოვის პოლიტიკა ზურგს უმაგრებს სომხების პრეტენზიებს, მიმართულთ აღმოსავლეთ საქართვე-ლოს უძველესი ტერიტორიის ნაწილების მათ სასაჩვენებლოდ ჩა-მოჭრაზე („თბილისის გუბერნიის გადამიჯვნის პროექტი“) და ხიზან ოსების მოთხოვნას ქართულ მამულების ქართლში მათ-ზე საკუთრებად დამტკიცების („ხიზანთა პროექტი“).

8). მაგალითად, წინა წლებში თბილისში მომხდარი ქარ-თული სამღვდელოების კრება, რომელიც მოითხოვდა ქართუ-ლი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, რუს ეგზარქოსის ბრძანებით ყაზახებმა მათრახებით დაშალეს.

ძართულ სოციალურ ფენათა მდგრადადება და ურთიერთ დამოკიდებულება პირების მართვის ობის შინა წლებში

1914 წელს მსოფლიო ომს მომდევარმა საქართველოს სოციალურ ფენათა მდგრადადებამ, შეღარებით წარსულ მეცხრამეტე საუკუნესთან, დიდი ცვლილებანი განიცადა. ეს ცვლილებანი ხდებოდა მშვიდობიანი გარდაქმნის გზითა. ქართველი ხალხი არ აჰყა გაშმაგებულ სამოქალაქო ომის მაგალითებს, რომელთაც პქნონდათ ადგილი რუსეთში 1905-6 წლებში. იმ ხანად ბოლოვდებოდა ქართულ წოდება-ფენათა ერთმანეთში გათქვეფის პროცესი. თითებზე ჩამოსათვლელნი დიდი მემამულენი („ფეოდალები“) დღითი დღე დნებოდნენ და თითქმის გამქრალად ითვლებოდნენ (იხ. „მიწის საკითხი საქართველოში“, ა. ასათიანი). მათ მამულ-დედულს იძენდნენ ქართველი გლეხები. თავად-აზნაურობის საშუალო წრეები სხვა და სხვა მორიგების სახით გლეხებთან ერთად შეუდგნენ ინტენსიური მეურნეობის გაჩაღებას საქართველოს უკალა კუთხეში. უდიდესი ნაწილი კი თავად-აზნაურობისა თავის ხელით ამუშავებდა საკუთარ მამულს და ქონებრივად არაფრით განიჩრეოდა გლეხობისაგან. პირიქით, ამ უკანასკნელთა ლონიერი ნაწილი საგან ბევრად იყო ჩამორჩნილი. ამ გვარად ქართულ წოდებათა ცხოვრებაში ჩაღიკალური ცვლილებანი მათ გათანასწორების პროცესში მიმდინარეობდნენ თავის საკუთარ მშვიდობიან ეროვნულ კალაპოტში. ამაზე სწერდა ერთი რუსი მეოთვალყურე, კარგი მცოდნე ქართული ცხოვრებისა:

„საქართველოში მუდამ ინახებოდა ჩვეულებრივი კავშირი წოდებათა შორის. აქ არ არსებობდა, რუსეთისათვის ტიპიური, მათი დაპირისპირება, გაღაქცეული უფსკრულად პრივილეგიურ ნაწილსა და მასებს შორის... საქართველოში ერთ და იმავე ოჯახის — ერთი ძმა შეიძლება გუბერნატორად ყოფილი-

ყო, შეორე — კბილის ექიმად, მესამე კი თვითონ მუშაობდა მიწაზე. ქართული პატრიარქალური წეს-წყობილება თანდათანიბით, ძალიან ადვილად შესძლებდა ნამდვილ დემოკრატიულ წყობილებად გადაქცეულიყო თანამედროვე ევროპიულ ან ამერიკულ სახისა. იგი უფრო ბუნებრივი და მართებულიც იქნებოდა.

ამისათვის მას არ ესაჭიროებოდა არც სისხლიანი რევოლუციები, არც მარქსის ჩარევა. ჭალარა კავკასიისათვის დიდი ტანჯვაა, — იყოს დამოკიდებული აღრეულ, ჯერ თავისი თავის გამოუცნობელ, რუსეთისაგან“-ო. (ვ. ოლენინ. „კავკაზ“, XII, 1937, № 12-48, პარი).

რუსული კანონმდებლობით მოცემული პრივილეგიური „წოდებრივი სტატუტი“ ქართველმა თავიდაზნაურობამ გამოიყენა განსაკუთრებით ქართულ ეროვნულ-საზოგადოებრივ მუშაობის გაშლისათვის. თავიდანვე მან დააარსა თბილისში ორი საადგილ-მამულო ბანკი, ორი ქართული გიმნაზია და ეროვნული თეატრი. სხენებული ბანკების შემოსავლიდან იგი ინახავდა ქართულ გიმნაზიებს, ქართულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლებს და ემსახურებოდა ქართულ საზოგადოებრივ წამოწყების ყველა საქმეს. თვითონაც იღვწოდა: შეუერთა თბილისი კახეთსა რკინის გზით, მოუმზადა მომავალ ქართულ უნივერსიტეტს შესანიშნავი შენობა და სხვა... და ბოლოს, 1910 წელს მოაწყო განსაკუთრებული „საადგილ-მამულო კომისია“, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა ბრძოლა რუსული კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოში და ქართულ მსხვილ მამულებში უმამულო ქართველი ხალხის დასახლება. სულ მოკლე ხანში ამ „კომისიამ“ მოახერხა ოთხი ათასი გლეხის ოჯახის აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა შხარებში ჩასახლება.

იმავე დროს მისი ახალგაზრდა თაობა გახდა პიონერად სახალხო საკრედიტო, მომხმარებელ და სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციების დაარსებისა ქართულ სოფლებში და მოკლე ხანს მოდებული მთელ საქართველოში. ქართული სოფე-

ლიც სწრაფად ფეხზე სდგებოდა.

პოლიტიკურ პარტიათა მიმართულებათა მიხედვით თავად-აზნაურობის ჩამომავლობის აქტიური ძალები დანაწილდნენ მეთაურობისა და გავლენიან მოღვაწეთა სახით სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიებში.

ამ ახალ ისტორიულ ასპექტში წოდებრივ ფენებზე დაყოფის ძველი ნაშთები „ჩაილურის წყალს“ ეძლეოდნენ. მიწად-მომქმედი ქვეყნის ძველი ქართული პატრიარქალური სოცია-ლური წეს-წყობილება უთმობდა გზას ახალს, შეფარდებულს ქართული მოდგმის ბუნების თვისებებთან — მშვიდობიან დე-მოკრატიულ, სოციალურ და პოლიტიკურ კოოპერაცია-თანა-მშრომლობას.

„მარქსიზმის“ გამარჯვება რუსელ რევოლუციაში

1914 რუსეთის ჩარევით ატენილმა პირველმა მსოფლიო ომმა, ამ ომში რუსეთის დამარცხებამ და მის შედეგად 1917 წელს მოყოლილმა რევოლუციამ, რომელიც რომანოვთა იმპე-რიის დაცემით დამთავრდა, — ქართველი ხალხის შინა ცხოვ-რების ევოლუციური გარდაქმნის მიმდინარეობა ახლა მოაქ-ცია, თავის კალაპოტიდან ამოვარდნილ, გაფარვარებულ რუს-თა რევოლუციის სტიქიონის ტალღებში.

რუსეთის რევოლუციის პროცესში რუს რევოლუციონერთა სხვადასხვა წრეების შინა ბრძოლის შემდგომ, ძალიან მალე და ადვილად საბოლოო გამარჯვება მოიპოვა მარქსის მიმდე-ვარმა პარტიამ მისი ცნობილი („კომუნისტური მანიფესტი“) სოციალურ-პოლიტიკურ გეგმით: იღმოფხვრა ყველა იმ ძირე-ბისა, რომლზედაც მანამდე დაყრდნობილი იყო აღამიანთა და ხალხთა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი, სოცი-ალ-ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების წეს-წყობილება — საკუთრებისა, საჩწმუნოებისა, ოჯახისა, ზნეობისა, კულტუ-რისა.

რუს ხალხში ეს ძირები არასღროს ყოფილა ლრმად გამდგარი. პრიმიტიულ სათემო მიწის მფლობელობას რუს გლეხობისა ჩვენ დრომდე მოუღწევია. გამოჩენილი რუსი რეფორმატორი პ. სტოლიპინი, რომელმაც სკადა რუს გლეხების სათემო წყობილების შეცვლა ევროპიელ გლეხთა მესაკუთრეთა წესზე, მოკლულ იქმნა.

არც ქრისტიანული მართლმადიდებლობის სარწმუნოების გულშოდგინე მიმდევარი იყო რუსობა. მეტად გვიან (მეათე საუკუნის ბოლოში) მონათლულ კერპთ-თაყვანისმცემელ რუსობას, შემდეგ ხანებში თან და თან ემატებოდა ძალით მონათლულნი დაპყრობილნი მრავალრიცხვანი უცხო ტომთა ხალხები თურქმან-მონგოლთა მოდგმისა. რუსულ ეკლესიას ესენი უყურებდნენ, როგორც თვეის დამმონავებელ დაწესებულებას. თვეით რუსი ხალხის საგრძნობი ნაწილი მრავალ სექტების სახითა გამდგარი იყო ოფიციალურ ეკლესიიდან. რუსი ხალხის მასსა გაუღენთილი იყო „სტაროობრიადცების“, „ბეზპოპოვცების“, „დუხობორების“, „მალაკნების“, „ტოლსტოიცების“, „ხლისტების“, „სკაუნების“, „სკოპცების“, „სუბბორნიკების“ და ბოლოს „რასპუტინცების“ სექტანტობის დიდი გავლენით).

9). უკანასნელი ცნობები საბჭოთა რუსეთიდან გვიმტკიცებენ სექტანტობის მოქრაობის გაძლიერებას რუსეთში. ჯერ კადევ მსოფლიო ომის წინა ხანებში მის ცენტრად ითვლებოდა ტამბოვის გუბერნიის დიდი სოფელი რასკაზოვო — „მილაკნების“, „ხლისტების“, „სუბბორნიკების“ სექტების ბუდე. დღეს სოფელი რასკაზოვო, გადაქცეული ქალაქად, გამხდარა მთავარ გავლენიან და გაძლიერებულ ცენტრად ყველა სექტებისა, რომელნიც უარპყოფენ ქრისტიანულ მოძღვრებას. საზღვარ გარეთაც რუსებში გაძლიერდა სექტანტობა, მეტადრე ახალ ემიგრაციაში, გაელენთილი „რაციონალიზმის“ გავლენით. ქ. პარიზის განაპირებში აღმოცენებულნი რუსული ევანგელისტების საზოგადოებანი ცდილობენ ქრისტიანების ჩამოშორებას

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა დიდი უმრავლესობაც იყო გაუნათლებელი და ნამდვილი ქრისტიანული მაღალ სარწმუნოებრივი იდეალების გაფეხბას მოკლებული. რუსი ისტორიკოსი ვ. კლიუჩევსკი ამბობს, რომ

„რუსულ ეკლესიას ჰქონდა ღრი აღეზარდა ხალხი ავის გავებაში და კეთილისათვის სამსახურისათვის, მაგრამ რუსულმა სამღვდელოებამ ათასი წლის მანძილზე ისიც კი ვერ შესძლო, რომ შეესწავლა ხალხი უბრალო წერა-კიონვასა“.

„უწმინდესი სინოდის“ მიერ მოფენილი რუსეთში ე. ჭ. „სასულიერო სემინარიები“ გადაიქცნენ გაქანებულ ურწმუნოთა სანერვეებად. თავის მოვონებებში სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ნ. უვახოვი სწერს:

„სასულიერო სემინარიებიდან გამოსული სემინარიელები ხშირად სრულიად ურწმუნონი არიან... სამღვდელოების შეილებს, შესულთ სასულიერო აკადემიაში, არამც თუ არაფერი სწამლათ, არამედ ამასთანავე მეტად უკმეხად იხსენიებდნენ თავის მამების მღვდლობას. სულიერ-იდეური მოთხოვნილება მათ არ სდევდათ, მხოლოდ არაფრად დაფარული კარიერის ანგარიში“ („გოსპომინანიე ტრივარიშჩა ობერ-პროკურორის სვ. სინოდა“, კნ. ნ. დ. უვახოვა, I, 116-120).

რუსულ ბატონ-მონურ სოციალურ წეს-წყობილებამაც რუს ხალხის ოჯახურ სიმთელე-სიმაგრე-ზნეობას კაი ხანია საძირკველი გამოაცალა, ამიტომ არც მისი სახელმწიფო, მოსკოვის სამეფოს სახით დაარსებული (1462 წ.), იყო ძირმაგარი და გამუდმებით განიცდიდა ხალხის არეულობას და უწესრიგობას.

„ერთი მთავართაგანი მიზეზი ხალხის არეულობისა, აშკარად გამოჩენილი მეოქვეშმეტე საუკუნის ბოლოში, იყო ღრმა სოციალური განხეთქილება მაღალ და დაბალ კლასთა შორის. დაბალი კლასი, მტრულად განწყობილი სახელმწიფო წესშეყობილებისადმი, მხოლოდ ელოდებოდა იმ ხელსაყრელ პირო-

მართლმადიდებელ ეკლესიისაგან“-ო. (П. Ковалевский, Сектанство в России, «Русск. Мысль», № 105, 26. 1, 49, Париж).

ბებს, რომ წამომდგარიყო და თავს დასხმოდა ამ წესწყობილებას გაშმაგებული ბოლმით და სიძულვილით აღსავე” (ნ. ი. პუშკარსკი, „ოჩერეკი პო რუსკო ისტორიი”, გვ. 75). ყველა ზემოხამოთვლილი უდავო საბუთებით უნდა უმთავრესად აიხსნას ის ბუნებრივი მოვლენაც, თუ ამ ჩევნ დროშიც რატომ ასე გატაცებულად აჰყვა რუსების უკმაყოფილო მუშა-გლეხობის სტიქიონი საყოველთაო ნგრევის მოქადაგე მარქსისტ-მოციქულებს და ადვილად გააბატონა მათი უკიდურესი ფრთა „ბოლშევიკურ“ პარტიად წოდებული.

ცნობილი თანამედროვე რუსი პუბლიცისტი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი პროფ. გ. ფედოტოვი თავის გამოკვლევაში „იმპერიების ბედი“, ეხება რუსეთის იმპერიის ბედს და დასძენს:

„იდეოლოგები და ბოლშევიკური პარტიის შემქნელები უმთავრესად რუსობა იყო. ბოლშევიკები ადვილად დამკვიდრდნენ პეტერბურგში და მოსკოვში. ველიკოროსიის ტრადიციებში ალბათ იმალებოდა რაღაცა თვისებები, რომელნიც ასაზრდოებდა ბოლშევიზმს: ბატონ-მონბა, სათემო მფლობელობა, თვითმპურობელობა“ (პროფ. გ. ფედოტოვი, „სუდბა იმპერიი“, ნოვი ურნალ, № 16, 1948, ნიუ-იორკ).

რუსული რევოლუციის გადაონაკაღი საჭართველოში და ქართველი გარემონდის გაბატონება

რუსეთის იმპერიის ნგრევის ხანაში საქართველოს სათავეში მოქექუა პირმშო შეილი რუსეთის რევოლუციისა, თვალსაჩინო წევრი და მონაწილე რუს მარქსისტთა მძლავრი ორგანიზაციისა — ქართველი მარქსელების პარტია.

უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ქართული პატარი იწამლებოდა რუსული სოციალურ-რევოლუციის აზროვნების ნაკადებით. რუსულ უნივერსიტეტებში ნაწილი დიდი ნაწილი ქართველი ახალგაზრდობისა ბრუნდებოდა საქართველოში რუსული რევოლუციური ლიტერატურით გამოკვებული, რუს

რევოლუციონერთა პარტიების და კომიტეტების თვალსაჩინო წევრთა სახით. ეგრეთვე რუსეთში სამუშაოს ძებნაში გასული ქართველი მუშა-ხალხი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან, ეფინებოდა შევი ზღვის სანაპირო დიდი რუსული ქალაქების ნავთსადგურებს, რუსეთის რკინის გზებს და სხვა აღგილებს, სადაც იქლინთბოდა რუსული ამბოხების სულისკვეთებითა, ითვისებდა მის სოციალ-პოლიტიკურ აზრებს, პროგრამებს, რევოლუციურ ორგანიზაციების წესებს და სხვა. ამ რუსულ რევოლუციონურ ნილილისტურ აზროვნების ქვეშ მოქცეულნი, ეს ქართველები, მობრუნებულნი სამშობლოში, უბირისპირდებოდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, მშობლიურ ზნე-ჩევეულებათ. მდიდარ ქართულ წარსულს ორც იცნობდნენ, არც ყურს ათხოვებდნენ, არც არაფრად მიაჩნდათ. „მამულიშვლობას“ რეაქციონურ მოვლენად სთვლიდნენ და რუს მარქსისტთა ბელადების — პლეხანოვ-ლენინის მარქსისტულ რევოლუციურ ლოზუნგებით გატაცებულნი, გააფთრებული იქრიშები მოჰქონდათ საქართველოს მამულიშვილთა წრეებზე.

1904 წელს ამსტერდამის კონგრესისათვის წარდგენილი ცნობებით, მათ უკვე გაიჩინეს საქართველოში თავისი ორგანიზაციებიც, სოციალ-დემოკრატიულ პარტიად წოდებული. „იმ ხანად მთელ რუსეთში არსებობდა 39 ს.-დ. კომიტეტი. მათ შორის თბილისის, ბათომის, სამეგრელო-იმერეთ-გურიის“¹⁰

(Учарк истории В. К. П. (б), Н. Н. Попов, гос. изд. 1929).

რუსული იმპერიის პოლიტიკაც კავკასიაში უჩუმრად ზურგს უმაგრებდა ამ სულისკვეთების მატარებელ ქართულ წრეს, რომელიც, ხსენებული პოლიტიკის ანგარიშით, ძირს უთხრიდა ქართულ განკერძოებას რუსებისა და რუსებისაგან და მიაქანებდა მცირერიცხოვან ქართველ ერს და მასთან ერთად დანარჩენი კავკასიის ერებსაც რუსულ ზღვაში გასათქვეფად.

ამიტომ გასაგებია, რომ ძლევამოსილ რუსთა პოლიტიკურ მაღლა: ერთის მხრივ — კავკასიის რუს მთართველთა მფარველობის წყალობითა და მეორის მხრივ — რუს რევოლუციო-

ნერთა წრეების დაწოლა-გავლენითა, საქართველოში მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წელს გაიზარდა და გამავრდა ქართველი მარქსელების პარტია. ორგანიზაციულად მას არ ჰყავდა მეტოქე საქართველოში. ქართული ეროვნულ-ხალხოსნური⁷ პოლიტიკური მოძრაობის გაშლას რუს მთავრობამ ყოველმხრივ კაიხანია გზები შეუკრა. ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი და მოთავე ილია ჭავჭავაძე 1907 წელს ვერაგულად მოკლულ იქმნა. ამ ოქმა დიდია მიზეზმა შეაჩერა არა-სოციალისტური მიმღინარეობის პოლიტიკურ ორგანიზაციაში დარაზმვა. იგი მხოლოდ რუსეთის იმპერიის დაშლის პროცესში, 1917 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით ჩამოყალიბდა, მაგრამ იგი თავის წყობით ჯერ ნორჩი და სუსტი იყო.

დალა ისტორიის ინიციატივა

წინა თავებში მოკლედ მოთხრობილი და აღნიშნული ლრმა ეროვნულ-კულტურული ძირები ქართველი ხალხისა აშენად სწორიან იმ მოვლენას, თუ რატომ სამი ათასი წლის ისტორიის მანძილზე ქართველი ადამიანის ბუნება არასდროს არ შერიგებია თავის მიწა-წყალზე უცხოელთა ბატონობას, როგორი ძალისა და სახისა ის არ ყოფილიყო შემოსული საქართველოში. ამას უკვე ძველი დროიდან ამოწმებენ უცხოელთა მწერლები, მოგზაურნი და სხვანი. მაგალითად, აი როგორ ახასიათებდა ქართველებს გერმანელი მოგზაური ვილჰელმ ფონ-ფრაიგანგი, ყოფილი საქართველოში 1812 წელს:

„საქართველო, რომელიც თავის მეზობლებისაგან გამუდმებით დევნილი იყო, ხშირად ყოფილა დამარცხებული, მაგრამ არასოდეს დამორჩილებული. ყველა იმ თავდამსხმელ ხალხთა შორის, რომელნიც ამ ქვეყანას უტევდნენ, ქართველების დიდი გამძლეობა ყველაზე მეტად სპარსელებმა იგრძნეს, რადგან ეს უკანასკნელნი ვერ ურიგდებოდნენ მის დამოუკიდებ-

ლობას და მუდამ თავს ესხმოდნენ, რათა არ მიეცათ ქართველებისათვის საშუალება მშეიღობიანი დამოუკიდებელი ცხოვრებისა. მაგრამ საფრთხე აღმაღლებს ხოლმე ვაჟყაცობის სულს! საქართველოს განსაკუთრებით დამხმარე გეოგრაფიულ მდგომარეობას ქართველები უერთებდნენ მამაცობას და სიკარტულს თავისი სარწმუნოებისა და სამშობლოსუდმი; ასეთი სულისკვეთებით აღტყინებული ერი შეიძლება დამარცხებულ იქმნეს, მაგრამ არასოდეს დამონებული^{10).}

ვერ შეპრიგებია ქართველი ერი რუსების ბატონობასაც, რომელიც თავის მრავალრიცხოვან მოდგმის დაბალი დონის თეისებებით მცირე კულტურულ ქართველ ერს სრული გაქრობით ემუქრებოდა. მართლადაც, დღიდან საქართველოში რუსეთის გაბატონებისა, საუკუნეზე მეტია, ქართველობა სხვა და სხვა სახით ეწეოდა მის წინააღმდეგ თავდაცეითი ბრძოლის, მხოლოდ მოქცეული მძლავრი იმპერიის ბრკყალებში, ძველი დროიდან გამობრძმედილი, ეწეოდა ამ ბრძოლის ფრთხილად, იქრებდა ეროვნულ და ეკონომიკურ ძალ-ლონება და ელოდებოდა შესაფერ ხელსაყრელ საგარეო პირობებს, როცა მას შეეძლებოდა თავისი ქვეყნის განთავისუფლება უცხო მოდგმის ბატონობისავან ეს დროიც დაუდგა.

ამტყდარ პირველ მსოფლიო ომში დამარცხდნენ ძველი მოქშე იმპერიები — რუსეთი და ოსმალეთი. 1917 წელს რევოლუციამ აშალა კავკასიის ფრონტზე მდგარი რუსული ჯარი, რომელიც გაეშურა რუსეთისაკენ. დასტოვა კავკასია აგრეთვე მისმა უკანასკნელმა რუსეთის მეფის ნაცვალმა დიდმა მთვარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ და თბილისიდან წასვლისას გადაბარა დროებითი მართველობა ქართველი სოც.-დემოკრატების მეთაურს ნოე ქორდანიას „წეს-რიგის დასაცავად“ (იხ. ალ. ხატისოვის მემუარები). ამგვარად რუსეთის თებერვლის ჩევრლუციის დასაწყისს „ბურთი და მოედანი“ საქართველოში

10). Wilhelm von Freigang, „Briefe über den Kaukasus und Georgien vom Jahre 1812.“ Hamburg, 1817, S. 217.

უკვე ფეხმომაგრებულ, ზურგვამაგრებულ და ორგანიზაციულად უმეტოქეო ქართველ მარქსელთა პარტიის შერჩა, და ის ხდება ფაქტიური გამგებელი იმ ხანის საქართველოსი. თავისი ინტერნაციონალურ - სოციალისტურ - პოლიტიკური გეგმების განხორციელებისათვის მას გადაეშალა წინ ქართული ასპარეზი.

სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ჩამოყალიბებულ „რევოლუციურ სოც.-დემოკრატიის“ სახელით, ქართველი მარქსელების დიდ უმრავლესობას თავიდან უკვე ემჩნეოდა ქართული საზოგადოებრივ-ეროვნული კულტურის საერთო გავლენა. ამ პარტიის გაყოფის ხანაში ის არ აჰყა რუს სოციალისტ უმრავლესობის „ბოლშევიკურ“ მაქსიმალისტურ გეგმებს და ირჩია უმცირესობის („მენშევიკური“) ე. წ. „პროგრამა მინიმუმის“ გზა, რომელიც მას აახლოებდა ევროპიელ ზომიერ სოციალისტური წრეების მიმდინარეობებთან. და როდესაც 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციაში რუს სოც.-დემოკრატების პარტია თითქმის მთლიან შთაინთქა წმინდა რუსული ბუნების ბოლშევიკურ ზღვაში, ქართველი სოციალისტები, გარდა მცირე რიცხვის გაბოლშევიკურ მისი ნაწილისა, გაეცალნენ მას. რუსეთის სოც.-დემოკრატების სათავეში მოქცეულმა კ. ჩხეიძემ და ირ. წერეთელმა მიატოვეს რუსეთი და შეაფარეს თავი საქართველოს¹¹⁾.

ამან ცხადებულ რუსი და ქართველი ხალხის ეროვნული თვისებების, მათი ისტორიის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციათა ძირითადი განსხვავებათა თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც მარქსისტ - ინტერნაციონალისტური მოძღვრების დამფუძნებლებს საქართველოში თავიდან გამორ-

11). იმ დროის ზოგიერთ გადმოცემათა მოწმობით, თვით ლენინიც ურჩევდა რუსეთის სოც.-დემოკ. პარტიის (მენშევიკების) ქართველ ბელადებს:¹²⁾ — ნუ ერვით ჩვენს რუსულ საქმეებში. თქვენ არ იცნობთ რუს ხალხს. გირჩევთ, დაბრუნდეთ საქართველოში და იქ მოუაროთ თქვენი ქვეყნის საქმიანობას-ო.

ჩათ თავისი „მეცნიერული მატერიალიზმის“^(*) „მეცნიერულ“ ანგარიშებიდან.

მართალია, რუსული მარქსისტული აზროვნების, დემაგოგიური ლოპუნგების, რუსული სამოქალაქო ომის მაგალითების გავლენა ქართველ სოც.-დემოკრატიულ წრეებში ჯერ მაგრად ფეხმოკიდებული იყო, მაგრამ ამ რუსულ მემკვიდროებას საქართველოში უპირისპირდებოდა ძალა ქართული ეროვნული ისტორიის ინტერესისა — მისი გარდუეალი ეროვნული მიზნები. ეს ისტორიული ლტოლვა ქართველებისა იმდენად ღრმა და ძალოვანი აღმოჩნდა, რომ მოკლე ხანში მან გადუყირავა სოციალ-დემოკრატებს მარქსისტულ დოქტრინებზე აგებული გეგმები და პირი უბრუნა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ეროვნული მიზნების განხორციელებისაკენ. ქართული ცხოვრების სინამდვილემ გამოაშვარავა ქართული რევოლუციის ეროვნულ-პოლიტიკური ბუნება, მიმართული რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლებისათვის, რომელიც დამოწმდა პირუთვნელი ისტორიული ამბებით, 1917 წლიდან დატრიალებული საქართველოში.

უკეთ საუკუნეებში ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯეთა დამცველმა და მოწინავე მებრძოლმა ქართულმა ექლესი-ამ პირველმა ააფრიალა დროშა უძველესი მართლმადიდებელი ქრისტიანული საქართველოს ეკლესის რუსეთის ეკლესისა-გან გამოყოფისა, ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადებით 1917 წლის 12 მარტს.

ქართულ სასულიერო წოდებას მიჰყვა ქართული თავად-აზნაურობაც. პოლიტიკური გარემოება მოითხოვდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევას. საქართველოს სოც.-დემოკ. პარტიის მეთაური ნოე უორდანია თანხმდებოდა ასეთი ყრილობის მოწვევაზე, თუ მას ამისას უკეთ მიეცემოდა საფუძვლიანი საბაბი, მაგალითად, მისი თქმით: „თუ თავად-აზნაურობა გადმოსცემს ქართველ ხალხს თავის საზოგადოებრივ ქონებას განსაკუთრებითი განაჩენით“-ო.

ქართლ - კახეთ - იმერეთ - გურია - სამეგრელოს წინა-
 მძღოლებმა მოიწვიეს სასწრაფოდ თავად-აზნაურობის საგან-
 გებო ყრილობები თბილისში და ქუთაისში. ამ ყრილობებმა
 ერთხმად დააღინიეს: დაუყონებლივ გადაეცეს ქართველ ხალხს
 თავად-აზნაურობის მისი კუთვნილი საზოგადოებრივი ქონე-
 ბანი: ბანქები, მამულები, სახლები, კახეთის რკინის გზა და
 სხვა, რისთვისაც მოწვეული იქმნას საქართველოს ეროვნული
 ყრილობა.

1917 წლის 19 ნოემბერს ქ. თბილისში, სახელმწიფო თე-
 ატრიში თავი მოიყარა საქართველოს ყველა მხარეთა, წოდება-
 თა, საზოგადოებათა და პარტიათა წარმომადგენელმა ქართვე-
 ლობამ. ეროვნულ ყრილობას თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხერ-
 ძელი. ქართველ თავად-აზნაურთა წინამძღოლებმა, ქონსტან-
 ტინე აბხაზმა და დავით ნიუარაძემ თავის სიტყვაში ეროვნულ
 ყრილობისადმი განაცხადეს, რომ საქართველოს თავად-აზნაუ-
 რობა ბედნიერად სთვლის თავის თავს, რომ თავისი ქონებით
 ის საფუძველს უყრის ქართველი ხალხის ეროვნული აღმოჩი-
 ნების ახალ ისტორიულ ხანას... „როგორც მუდამ, დღესაც
 მზად ვართ ქართველი ერისა და საქართველოს ბედნიერებისა-
 თვის ვემსახუროთ არა მხოლოდ ჩვენი ქონების შეწირვით,
 არამედ ჩვენი თავის განწირვითაც“—ი.

ამ განცხადებას მთელი ეროვნული ყრილობა დიდი აღფრ-
 თოვანებით შეხვდა. ქართველობა ერთმანეთს ულოცავდა ყვე-
 ლა ქართულ წრეთა შორის ძველი ეროვნული სულიერი ერ-
 თობის აღდგენის დიდ ქართულ დღეს. თვით თავად-აზნაუ-
 რობის საზოგადოებაში გაისმოდა გავლენიან წევრთა ხმები:—
 „მრავალი საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წოდება უძლვე-
 ბოდა ხალხს და ქვეყანას. ავად თუ კარგად მცირე ქართულ
 მოდგმას მისი მიწა-წყლის უდიდესი ნაწილით, ქონებითა და
 კულტურით მივაღწევინეთ მეოცე საუკუნის კარამდე. ეხლა
 ხალხს თვითონ სურს აიღოს ხელში საქართველოს მართველო-
 ბის კვერთხი... ღმერთმა ხელი მოუმართოს! ჩვენ კი ჩავდგებით
 მის რიგებში უბრალო ჯარისკაცებად და ძველებური თავგან-

წირვით დავიცავთ ქართულ ისტორიულ მემკვიდროებას გარ-
შემორტყმულ ჯერ კიდევ მრავალი მტრებისაგან“-ო. ამ დღეს
ამოვარდა ქართულ სხეულში ჩარტობილი მისი გამყოფი ძე-
ლი რუსული სოლი. შეიკრა ეროვნული ერთობის ქართველთა
რიგები!

მაგრამ ეხლა საქართველოს სწრაფად უახლოვდებოდა რუ-
სული რევოლუციის აზეირთებული წითელი ტალღები.

1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების გამირჯვებიმ რუს
ხალხის სტიქიონი მიუშვა 300 წლის განმავლობაში ძლიერ და-
ლაგებულ, ევროპიულ მსგავს რუსეთის სახელმწიფოს წესშეყო-
ბილების დასანვრევად. მეოცე საუკუნეში იდეითქა ემელკა პუ-
გაჩოვის დროის ხოცვა-ელეტამ მოწინავე ყველა რუს წრებისა,
კრიმი საკუთრება-ქონების დატაცება — მიწებისა, ქარხნე-
ბისა, სახლებისა და სხვა, მოდერნული მარქსისტული ლოზუნ-
გთა ქვეშ ამოფარებული: „სოციალიზაცია“, „ექსპროპრიაცია“
ლინინის მიერ რუსულ გემოვნებაზე თარგმნილი: „ცარცვე ნა-
ცარცვი“-ო.

ეს რუსული ბოლშევიკური ტალღები, მოახლოვებული კა-
ვებისის ქედს, თავისი ნაკადებით საქართველოში გაღმოვარდ-
ნილნი, სხვა და სხვა სახით იწვევდნენ ამ უკნასკნელში არეუ-
ლობის რომელიც აშკარად ემუქრებოდა სოციალ-დემოკრატე-
ბის („მენშევიკების“) გამგებლობას თბილისში. მით უფრო ეს
საფრთხე იყო აშკარა, რაღაც რუსეთის სივრცეში ბოლშე-
ვიკებმა უკვე მთლად გააქრეს თავისი განაყოფი მენშევიკური
ნაწილი და ეხლა მოიწევდნენ ამიერ-კავკასიისაკენ ქართველი
მენშევიკების გასაქრობად, როგორც „სრულიად რუსეთის სო-
ციალ-დემოკრატიული პარტიის“ ორგანიულ და მეტად გავ-
ლენიან მის ნაწილისა, ლ. ტროცკის მიერ რუსეთის რევოლუ-
ციის „ჟირონდისტებად“ მონათლულთ. ამ მნიშვნელოვან ამ-
ბაება, რუსების მიერ საომარი კავკასიის ფრონტის მიტოვებამ,
თურქთა ჯარის დაწოლამ სამხრეთიდან, ქართველ მენშევი-
კებს შეატრიალებინა კეხი რუსეთისაგან და ინტერნაციონა-

ლურ მარქსელების პარტიამ შეაფარა თავი ეროვნულ საქართველოს. თავდაპირველად გამოეყო „რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიას“, თავისი პარტიული „წითელი გვარდია“ გადანათლა „სახალხო გვარდიათ“, გერმანელების დახმარებით 1918 წლის 26 მაისს საქართველოს პარლამენტის პირველ სხდომაზე აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, აღგენს საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის სასახლეზე მაღლე წითელი დროშის ნაცვლად ააფრიალებს ქართულ სახელმწიფოებრივ ეროვნულ დროშას.

ეროვნული ინიციის შინაგანი რეალური ჩალა

მაგრამ ქართველი მარქსისტების პარტიის ეროვნული პოლიტიკის გზაზე შედგომა მარტო გარეშე მოვლენათა გავლენით არ აიხსნება. მას აწვებოდა აგრეთვე ქართული ეროვნული წრეების სულისკვეთების და განწყობილების არა ნაკლებ ძალოვანი შინაგანი ფაქტორიც, რომელიც ეროვნული ინერციას ასულდგმულებდა, ამოძრავებდა და ქართულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ კალაპორტში აქცევდა. მისი რეალური გამომსახველნი, ახლად ორგანიზაციულად გამოსულნი ქართულ ასპარეზზე, ეროვნული მიმართულების წრეები იყო, — საქართველოს ეროვნულ პოლიტიკურ და კულტურის ისტორიულ ტრადიციათა შემნახველნი, მისი მოწინავე მებრძოლნი და დამცველნი.

საქართველოში მარქსელების პარტიის დაარსებას თან მოჰყვა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაფუძნებაც (1903 წ.). ეს უკანასკნელი წინალუდგა მარქსელების ინტერნაციონელურ იდეოლოგიას და მოქმედებას საქართველოში. ამ პარტიამ თავის პროგრამის პოლიტიკურ ნაწილში წამოაყენა საქართველოს ავტონომიის დებულება რუსეთთან ფედერაციის ჩარჩოში. სოციალურიში კი დაიდო საფუძვლად რუს სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის სოციალისტური

გეგმები. ამ თქ სოციალისტურ პარტიათა ბრძოლის პროცესში ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა ახალი ძალა— არა სოციალისტური, წმინდა ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების დამცველი. მისი სულის ჩამდგმელად და მამა-მთავრად, თავის მიმდევარ თანადროულ ქართველ მოღვაწეთა წრით, ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა. ზაფრამ ეს მიმართულება ორგანიზაციულად ქართულ სარბიელზე გვიან გამოვიდა, რადგან როგორც ზევით ვიხსენიებდით, რუსეთის მთავრობა სასტიკად აღკრძალავდა წმინდა ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციის დაარსებას. მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ვერაგული მოკვლის შემდეგ იწყება სწრაფი ამოძრავება მისი მიმართულების მიმდევრებისა და მათი თავმოყრა და ამოქმედება საქართველოში ხდება პირველ მსოფლიო ომის ხანაში 1914–15 წლებში.

ასე შევვიანებული გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე, ისიც მტკიცარ მსოფლიო ომის განსაკუთრებულ პირობებში, საგრძნობლად დატყო ამ მიმართულების წევრთა რიცხვის და მის მწყობრ მოქმედების გაშლაზე. მით უფრო, რომ მათი მოქიშპე სოციალისტურ პარტიებს უკვე 15 წლის მანძილზე თავისი პოზიციები საქართველოში ორგანიზაციულად მეტად გამაგრებული ჰქონდათ. ჯერ კიდევ ომის წინა წლებში (1912 წ.) თბილისში და ქუთაისში თავისი ახალი პრესით გამოსულ ამ მიმართულებას აშკარად ემჩნეოდა მისი ეროვნულ-პოლიტიკური მისწრაფებათა აღებული მთავარი ხაზები. მის ახალგაზრდა მეთაურთა უმრავლესობა არ მაღავდა, რომ იგი მოელის მხოლოდ ხელსაყრელ საგარეო პირობებს საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. ამ გზით არა ლეგალური საიდუმლო მოქმედება 1914 წლიდან მჭიდროდ გადაება ცენტრალურ ევროპაში დაარსებულ „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან“ მიხეილ წერეთლისა და გიორგი მაჩაბლის მეთაურობით.

რუსეთის თებერვლის რევოლუციის 1917 წელს მოჰყვა ამ მიმართულების მიმდევართა საჯარო ყრილობები და ორგანი-

ზაკოულად დალაგება. რუსეთის იმპერიის ომით გამოწვეულ ნიჩევის დაწყებიდან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით ჩამოყალიბებული, იგი, თავისი მიზნებით და მოქმედებით დაუპირისპირდა „კლასთა ბრძოლის“, „პროლეტარიატის დიქტატურის“ და რუსულ სოციალისტური ექსპერიმენტების გატარება-დაკანონების საქართველოში.

დაყრდნობილი ეროვნულად განწყობილ გავლენიან ქართულ წრეებზე — საეკლესიო, თავაღ-აზნაურ-გლეხთა, ვაჭარ-მრეწველთა, სამხედრო და სხვა, საქართველოს ყველა მხარის წარმომადგენლობაზე, — ეროვ.-დემ. პარტია თავის ამ მრავალფეროვან ქართული წრეებით და საერთო მიზნით გამოსახავდა საქართველოს მთლიანობის, ეროვნული ერთობის და ქართულ ხალხოსნურ ძველ სულისკვეთებას, რომელიც მიისწრაფოდა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის და მის ახალ ცხოვრების მშეიღობიან წესებით გადაშენებისათვის ახალ დროებასთან შეთარდებით.

ამიტომ არც იყო გასაკეირდელი, რომ ქართულ ისტორიულ ძირებიდან წარმოშობილი, მისი ეროვნული თავისუფლების სულისკვეთების მატარებელი, მიუხედავად გარევნულად რიცხობრივ ორგანიზაციული სისუსტისა, ეროვნული დემოკრატია თავისი წრეებით და წევრებით ბევრ შემთხვევაში ხდება ფაქტორი მამოძრავებელი და ხელმძღვანელი იმ ხანის საქართველოში შექმნილი მნიშვნელოვანი ისტორიული ამბებისა და აქტებისა.

სწორედ ეროვნულ-დემოკრატიას მიუძღვის დიდი დამსახურება ეროვნული ინტერიისათვის შინაგანი რეალური საფუძვლის შეყვენებისათვის, რომელმაც ავრეთვე განსაკუთრებული შემწყობი როლი ითამაშა მართველი მარქსელების პარტიის ეროვნულ განმათავისუფლებელ გზაზე შედგომისათვის¹²⁾.

12). ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი წრეების წარსულის ნამოღვაწარის აღწერა ამ მოკლე მიმოხილვის საგანს არ შეადგენს. იგი ცალკე განსაკუთრებულ შრომას მოით-

თუ ჩატომ ასეთი გავლენის მქონე პარტიამ ვერ დაიდო სა-
 თანადო წილი საქართველოს მართვა-გამგებლობის დაწესებუ-
 ლებაში, ამის მიზენებს წინა თავებში აღვნიშნავდით. რევო-
 ლუციამდე მუხრუჭმოჭერილი რუსეთის იმპერიის პოლიტიკით,
 ახლა სოციალისტური პარტიების მეთაურობით ამტკდარი რე-
 ვოლუცია რუსეთში სწორედ ამ მისი ძველი წრეების მოსპობი-
 საქნ მიიმართებოდა. ქართველი სოციალისტები კი, კი ხანია
 ჩრდილოეთიდან ზურგგამაგრებული, ორგანიზაციულად მაგ-
 რად დამკვიდრებული იყო საქართველოში. ამიტომ სოც.-დემ.
 ძალიან აღვილად მოექცა სათავეში ქართულ ეროვნულ დაწე-

ხოვს. მხოლოდ აქ საჭიროდ ვთვლით რამოდენიმე მთავარი ის-
 ტორიული ამბავი აღვნიშნოთ, რომელიც უდავოდ და საყო-
 ველთაოდ ცნობილია და ამ პარტიისა და მის მიმდევართა მო-
 ლვაწეობის ანგარიშს მიეკუთნება:

— პირველი მსოფლიო ომის ხანაში (1914-1917 წ.) დაქავ-
 შირება ცენტრალურ ეკრაპაში დაარსებულ „საქართველოს
 განმათავისუფლებელ კომიტეტთან“ და მასთან ერთად შემზა-
 დება გერმანიის დიპლომატიურ-სამხედრო დახმარების დრო-
 ზედ მოშველებისა საქართველოსათვის (1914-1918 წ.).

— საქართველოს ექლესიის ავტოკეფალიის აღდგენის (12
 მარტს 1917 წ.) და მისი დამოუკიდებლობის პოზიციების პო-
 ლიტეურ ორგანიზაციულად ვამაგრების აქტებში მეთაური
 მონაწილეობის მიღება.

— საქართველოს „ეროვნული ყრილობის“ მოწვევის (19
 ნოემბერი 1917 წ.) საქმეში განსაკუთრებული როლის შესრუ-
 ლება (თავად-აზნაურობის საგანგებო ყრილობების მიერ ერ-
 თობილი დასტურის მიღებაში და სხვა).

— ამ ყრილობის მიერ ახლად დაარსებულ „ეროვნული სა-
 ბჭოსათვის“ პირველი თანხის მიწოდება მოხალისე ქართველ
 ოფიცერთა რაზმის შედგენისათვის და მათი გაგზავნისათვის
 გურია-აჭარის მხარეებზე მოწოლილ თურქთა ბანდებისაგან
 დასაცავად.

სებულებას, „საქართველოს ეროვნულ საბჭოს“ სახელით დაარსებულს ქ. თბილისში 1917 წლის ნოემბერს. თუმცა ეროვნული უმრავლესობა არა-სოციალისტურ წრეებისაგან შესდგებოდა, მარქსელებმა მოითხოვეს ორი მესამედი ადგილი თავისი პარტიისათვის ეროვნულ საბჭოში, ანდა უარს ამბობდნენ „ეროვნული საბჭოს“ დაარსებაზე.

ამის თაობაზე ერ.-დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტ-

— პირველი საინიციატივო ნაბიჯები ქართული მუდმივი სამხედრო ნაწილების შედგენისათვის („ქართული კორპუსი“); პირველი „მოხალისეთა ბატალიონი“ ახალგაზრდა ერ.-დემ. შემდგარი — დამცველი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრისა; „ხევსურთა რაზმი“ და სხვა მხედრული ხასიათის ორგანიზაციები იმ კრიტიკულ ხანაში შინ და გარეთ ფრონტებზე (არსენალის აღება, ჩოლოქთან ბრძოლა და სხვა) მოქმედნი.

— გერმანული ტყვეების დარაზმვა (10-24 მაისი 1918 წ.) და საქართველოს საზღვარზე დაყენება ვეხიბ ფაშის ჯარის შემოსევის შესაჩერებლად.

— გერმანიის სამხედრო-დოპლიმატიურ მისიასთან მჭიდრო თანამშრომლობა ქართული მუდმივი ჯარის დაარსების გეგმა-თა შემუშავებაში.

— სომხებთან ომში ერ.-დემ. პოლიტიკურ-სამხედრო წრეების და წევრების მოქმედების მნიშვნელოვანი როლი ქართული ჯარის გამარჯვებაში.

— არტაან-ართვინის მხარეთა საქართველოსთან შემოერთება

— ეკონომიურ დარგში: ბანკებისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის დაარსება, მწარმოებელ კოოპერატივების (მეხილეთა, მელვინეთა, მეცხვარეთა და სხვა)⁽¹⁰⁾ ორგანიზაციების დაფუძნება.

— ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით 1918 წლის იანვარს თბილისის უნივერსიტეტის დაარსება⁽¹¹⁾

— თბილისის დაცვა. თავდაცვითი ბრძოლები ბათომამდე.

ში ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი სჯა-ბასი გაიმართა. საქართველოს მინისტრი და საგარეო შექმნილი პირობების აწონ-დაწონის შემდეგ, კომიტეტის თითქმის ყველა წევრთა მიერ გამოთქმული აზრები დაახლოებით შემდეგ საერთო დასკვნებში გამოიხატა:

1. ქართველი „მენშევიკების“ ულტიმატუმის არმილებით „ეროვნული საბჭოს“ დაფუძნების დიდად მნიშვნელოვანი საქმე მოიშლება.

2. ბოლშევიკების ოქტომბრის გამარჯვებას რუსეთში თან მოჰყვება ქართველი „ბოლშევიკების“ ფრთის გაძლიერება, რომელიც დიდ ილრევას გამოიწვევს შინ და გარედან მტრების მოწოდებას.

3. საქართველოს მართველი პარტიის პასუხსაგებ მდგომარეობაში კი ყოფნა, „მენშევიკებს“ ქართული ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოში მოაქციეს, თანდათანობით რუსული რევოლუციის გავლენას მოაცლის და ეროვნულ საქართველოსაკენ საბოლოოდ პირს მოაბრუნებინბას.

4. ეროვ.-დემ. პარტიის მხრივ ძალა-უფლების ხელში აღება ჯერ უდრიოთ და უიმედოც, რადგან საქართველო გახვეულია რუსულ რევოლუციურ - სოციალისტურ ორომტრიალში და მისი დაძლევისათვის პარტიის ძალა არ შესწევს. ამ გზას და-ადგება ერ.-დემ. პარტია მხოლოდ იმ დროს, როცა რევოლუციური ქარიშხალი ჩადგება და ხალხიც გამოვხიზლდება სოციალისტ-უტოპისტების ნამოქმედარ მავნე შედეგებისაგან.

5. ამ ხანად ერ.-დემ. პარტიამ უნდა დაიტოვოს ოპოზიციის როლი და მთელი თავისი აქტიური მოქმედება წარმართოს შინ — საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს, ეროვნულ-პოლიტიკური მთლიანობის შენახვას, სამხედრო ძალის შექმნას და სოციალ რეფორმების წესიერ მშეოდნობიან გატარებისათვის, გარეთ — საქართველოს საზღვრების გამთელება-გამაგრებისათვის.

ამ ტაქტიკური ხაზით წარიმართებოდა თავიდანვე ეროვ.-დემოკრატიის მრავალფეროვანი ენერგიული მოქმედება შინ

და გარეთ და ერთსულოვნად მიიყვანა საქართველო მისი გამარჯვების დღემდე — 1918 წლის 26 მაისამდე.

ამ დღეს „ეროვნული საბჭო“ გადინათლა თავისუფალი საქართველოს პარლამენტად და დამინაცვდა თბილისის სასახლეში 113 დეპუტატის შემადგენლობით, პარტიითა შორის ასე განაწილებით: 65 სოც.-დემ., 16 ერ.-დემ., 16 სოც.-ფედ., 12 სოც.-რევ. და 4 უპარტიო. შესდგა კოალიციური მთავრობაც: 4 სოც.-დემ., 2 სოც.-ფედ., 1 სოც.-რევ., 1 ერ.-დემ.; მთავარი სამინისტროები დაირიგეს სოც.-დემოკრატებმა, ერ.-დემოკრატებს მიეცათ საფინანსო პორტფელი. საქართველოს მთავრობის მესაჭიობა ნოე ეორდანიას ჩაბარდა.

ამგვარად ქართული ისტორიულ-პოლიტიკური ამოცანის ვადაწყვეტა მოხდა ყველა პარტიის მიმართულებათა და სოცილურ ფენათა თანხმობით: დაარსდა საქართველოს თავისუფალი სახელმწიფოს საკანონმდებლო უმაღლესი დაწესებულება, რომელიც შეუდგა ქვეყნის საქმეების ერთობით გარიგებას. თავში საჭირო ხდებოდა საჩქაროდ სოციალ-ეკონომიკურ საქმეთა მოვარება და ფეხზე წამომდგარი ნორჩი სახელმწიფოს მხედრულად გამავრება.

არსებულ თავად-აზნაურ-გლეხთა წოდებათა უფლებრივი გათანასწორების საკითხს დავა არ გამოუწვევია. იგი არ იყო უცნობი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის. უკვე მეთორმეტე საუკუნიდან „უგვარო“ და „გვარიანების“ გათანასწორებას ქვეყნის მართვა-გამგეობაში ქართულ ცხოვრებას ამისი ბევრი მაგალითი უჩენებია და „უგვარონი“ ხშირად „გვარიანების“ ადგილს იჭერდნენ, როცა პირველთა განათლება და ნიჭი ამის გზას უხსნიდა. მეოცე საუკუნეში ხომ განათლება ქართველი ხალხისა ყველა ფენებს საგრძნობლად მოედო და ქართული პატრიარქალური წოდებრივი დანაწილება დრომოქმულად ითვლებოდა და თავის თავადაც ჰქონდოდა. რევოლუციის დაწყების თავში, 1917 წელს, ის ფორმალურადაც მოსპობილ იქმნა. ახლა პირველ რიგში იდგა ქვეყნის არსებობის ძირითადი — მიწის საკითხის გადაწყვეტა.

რუსული დამლით დაპრატი

უკვე თებერვლის ჩევოლუციის პირველი დღეებიდან, პეტ-
 არგერადის მსგავსად, თბილისშიც დაარსდა რუსეთის სოც.-დე-
 მოქარისტიული პარტიის განსაკუთრებული რევოლუციური ორ-
 განიზაცია: „ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაც-
 თა საბჭო“. მის მთავარ ამოცანაში შედიოდა რუსულ სოციალ-
 რევოლუციის მონაპოვართა კავკასიაშიც განალდება. იმ ხანად
 ქართველი სოციალ-დემოკრატია რუსეთის სოც.-დემ. პარტიის
 განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და, შემავალი „ამიერ-
 კავკასიის საბჭოში“, მის მთავარ ძალას წარმოადგენდა. მხო-
 ლოდ ჯერ იმყოფებოდა მისი რუსული ნაწილის დიდი გავლე-
 ნის ქვეშ. ამ „საბჭოში“ 1917 წლის მარტ-აპრილში გამოიტანა
 თავისი ცნობილი რევოლუციური დაგენილება მემატულების მიწების ექსპროპრიაციისა, რომელიც შემდეგში (16 დე-
 კემბერი 1917 წ.). გამოიცა დეკრეტის სახით ამიერ-კავკასიის
 კომისარიატის მიერ, მიღებული ქართველი მენშევიკებისა და
 სომხებ დაშნაკელების ხმების უმრავლესობით. ამ რევოლუცი-
 ური ნაბიჯით სოც.-დემოკრატებს სურდათ ბოლშევიკური რუსეთის წინაშე თავისი მარქსისტულ-რევოლუციური სამო-
 სელის სიწმინდის შენახვა, თავის პარტიულ პოზიციების სოფ-
 ლის ხალხში გამაგრება და იმავე დროს აღმოფხვრა ქართულ
 ნიადაგიდან ყოფილ თავად-აზნაურობის ძველი გავლენისა,
 რომელსაც სოც.-დემ. მეთაურები თავის პარტიის დაარსების
 დღიდან „ქლასთა ბრძოლის“ წითელ დროშის ქვეშ, გააფიქ-
 ბულად ებრძოდნენ. რუსული რევოლუციის ამ „მონაპოვა-
 რის“ დასაცავად მათ შეიქმნეს შეიარაღებული პარტიული „წითელი გვარდია“ ძველ ბოლშევიკ ვ. ჯულელის მეთაურო-
 ბით,⁽¹²⁾ რაღვან მოელოდებოდნენ მემამულე წრეებისაგან დიდი
 წინააღმდეგობის გაწევას.

გამოძახილი ქართული წრეების დაკვირვებული ნაწილისა
 ამ ექსპროპრიატულ აქტზე, რომელსაც აშკარა რუსული რე-
 ვოლუციური დამღა ესვა, მეტად დამახასიათებელი იყო ქარ-

თული საზოგადოებრიობის ძველ გამობრძმედილ კულტურულ შეგნებისათვის.

კარლო ჩხეიძემ, ს.-დ. გამოჩენილ მეთაურთავანმა, ქართულ ეროვნულ საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე აფრთხილებდა თავის აწეულ ამხანაგებს: — გაუფრთხილდით ქართულ ღობეებს, ქართველ კაცს ღობე ნამეტად უყვარს.

ხალხში კი ამბობდნენ: — ავაზაკები არა ვართ, რომ სხვის საკუთრებას ძალით და წართმევით დავეპატრონოთ... შევგაძენინონ წესირაღო... — თავადების ღობეებს მოშლით და მერმე ჩვენს გლეხურს მოაღებით“-ო (ეს დეკრეტი“ ბევრ შეძლებულ გლეხობის საკუთრებასაც ემუქრებოდა).

მაგრამ ყველაზე მეტად მარქსელები გაანცვიფრა თავად-აზნაურობის წრეების უმაგალითო სიჩუმემ: არსაიღან არც წინააღმდეგობის გაწევა, არც ხმა პროტესტისა. ზოგი ერთნი სოციალურ ბანაკიდან ამ მოვლენას ხსნიდნენ ამ წრეების „შიშით“ გამარჯვებული რევოლუციისა და წითელი გვარდიის წინაშე. მაგრამ ეს არ იყო მართალი. ნამდვილი სიმართლე იმაღლებოდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის სიღრმეში, რომლისთვისაც უცნობი იყო შინაური სოციალური ომები წოდებათა შორის. ქართველი ხალხის ძველი წინამდლოლი თავად-აზნაურობა ებრძოდა მუდამ გარეშე მტერს და არას დროს, მსგავსად რუსებისა, თავის ხალხს, გარდა საქართველოსაგან გამდგარი მოღალატე რენეგატებისა. ქართული ისტორიის ფურცლებში არ შევინახეს ერთი მაგალითი მაინც, რომ, პირიქითაც, ხალხი დასჯახებოდეს თავის მოწინავე წრეებს. და თუ ამის მაგალითს ჰქონდა აღგილი საქართველოში, ისიც მხოლოდ რუსეთის გაბატონების დღიდან (სამეცნიეროს გლეხთა აჯანყება 1856 წ.), მისი შემოტანილი მზაკვრული პოლიტიკის და მდარე წესებისა გამო, რაზედაც წინა თავებში ხაზს უსვამდით.

ამ ძველ გზას არ უღალატა მეოცე საუკუნის საქართველოს თავადაზნაურობამაც. ამბობდნენ: დავერიოთ ერთმანეთს, რომ ქვეყანა საბოლოოდ დავაჭიროთ? ეს ხომ საქართველოს მტრე-

ბის ხელობა იყო და იქნება. იგი ჩვენს ქართულ წიგნში არ გვი-
 წერია¹³⁾). ამასთანავე, რაღა გვრჩება დღეს გასაყოფი? სამი მე-
 ოთხედი ჩვენი მამულებისა სხვადასხვა შემოღებული კანონი-
 ერი წესით კაი ხანია ქართველი ხალხის ხელშია საკუთრებად
 გადასული. ერთი მეოთხედიც მას ურევოლუციოდაც თანა
 ჰყება. ჩვენი წოდების ძველი მამაპატური, თუ თავზე მოხვეუ-
 ლი რუსული უფლებანი თავის თავიდ მშვიდობიანად ჰქონდო-
 და და ამ ახალ ხანაში ყოველმხრივ ვუთანასწორდებოდით
 ხალხს. ერთი სიტყვით, რუსების წასკლით ჩვენსა და გლეხებს
 შორის გამყოფი წოდებრივ-ქონებრივი მიჯნებიც, ჩვენი ეროვ-
 ნული ერთობის დაუზიანებლივ სწრაფად ილეკებოდა. ამიტომ
 სოციალ-დემოკრატების „რევოლუციური დეკრეტი“ რუსული
 ნაჯახით ქართულ დია კარებში იქრებაო.

ასეთი სულისკვეთებით დაუხვდა ქართველ მარქსისტების
 „რევოლუციური მარქსიზმის მონაპოვარს“ ქართველების ერო-
 ვნული შევნება. მაგრამ იმავე დროს მას სამართლიანად აშინე-
 ბდა, რასაც არ მაღავდა იმ დროინდელი ქართული პრესა, რომ
 რუსული ბოლშევიკური ექსპროპრიატული ხასიათი „დეკრე-
 ტისა“, საკუთრებაზე აგებულ ქართულ საზოგადოებრივ კულ-
 ტურის საფუძველს ძირს ურყევს და ფეხზე წამომდგარ ნორჩი

13). ზოგს ეხსომება იმ დროის ამის დამახასიათებელი ერთი ამბავი: 1907 წელს, როდესაც გენერალ ალიხანოვმა დამსჯე-
 ლი რუსული ჯარით გადასწვა და გაანადგურა, რევოლუცია-
 ში (1905-06 წ.). მონაწილეობისათვის დაბრალებულნი გურიის ზოგი სოფლები, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინა-
 მდლოლმა, გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილმა, მოუწოდა ყვე-
 ლა მაზრების წინამდლოლებს შეეგროვებინათ ფული დაზარა-
 ლებული გურულებისათვის დასახმარებლად და მიაშველა მათ
 საგრძნობი თანხა. რუსეთის მეფის ნაცელის შეკითხვაზე, თუ
 რას ნიშნავს ქართველი თავადაზნაურობის ეს საქციელი, ბაგ-
 რატიონმა უპასუხა: „ჩვენში არ არის ჩვეულება ხალხის უკმა-
 ყოფილებაზე ასეთი გამანადგურებელ წესით პასუხის გაცემაო“.

ქართულ სახელმწიფო სათვისტოს კატასტროფიულ შედეგებს გამოიწვევს. გარდა ამისა, შიშობლენი, რომ ეს აქტი საქართველოს კავკასიელ მეზობლებს და შორებდა, რომელთანაც შექმნილ ახალ პოლიტიკურ პირობებში დაკავშირება მეტად საჭიროდ ითვლებოდა, რომ საკუთრება ამლილ და ლობებებშე-მომტკრეულ საქართველოში რუსთა ბოლშევიკური ურდოები შემოგორდებოდნენ და იმავე ინტერნაციონალური მარქსიზმის წითელი ღროშით წაფარებულნი საქართველოს მიწა-წყალს აღეილად დამთლად დაისაკუთრებულნენ.

მაგრამ ქართველი მარქსელების მეთაურებმა ყური არ ათხოვეს ქართული ცხოვრების ამ მნიშვნელოვან სინამდვილის გამოძახილებას და 1918 წელს საქართველოს პარლამენტის გახსნის პირველივე სხდომაზე მათ შემოაქვთ დასადასტურებლად რუსული დამლით დაკრული თავისი მიწის დეკრეტი, წინა წელში გამოცხადებული „ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭო“-ს მიერ.

საბედისფერო განაჩენი

ეროვნული სახელმწიფოებრივი შეგნება მოითხოვდა ქვეყნისათვის ამ საბედისწერო აქტის დიდი სიფრთხილით და აწონდაწონით გადასიჯვას, ქართული სალი ეროვნული კულტურის აღათებთან შეფარდებას, საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების სარგებლიანობის მიხედვითა და მისი პოლიტიკური შედეგების, შინ თუ გარედან, განსცვრეტას. მაგრამ საქართველოს სოც.-დემ. დეპუტატებისაგან შემდგარიმა უმრავლესობამ, სრულიად მოუმზადებელმა და უვიცმა ქართული ეროვნულ-ეკონომიკურ-პოლიტიკური საკითხების დარგში, რუსული რევოლუციის დემაგოგიური მარქსისტული დამინგრეველი იდეოლოგიის ატმოსფეროში შეზრდილმა, საქართველოში „ქლასთა ბრძოლის“ ნამოქმედარით დაავადებულმა, მიუხედავად ეროვნულ-დემოკრატიის მიერ წარდგენილი გონიერი

საბუთებისა, დააღასტურა ამ „დეკრეტის“ ექსპროპრიატიული და ხასიათი და წვრილი საკუთრების დაცვის მუხლებით ამოფარებული, მიიღო იგი „მიწის რეფორმის“ კანონის სახელითა.

მაღვ იჩინეს თავი ამ საბედისწერო განაჩენის მავნე შედეგებმა მთელი ქვეყნის არსებობისათვის. სანამ ქართული მოსახლეობა ამ კანონისაგან რაიმე სარგებლობას ნახავდა, ს.-დ. მთავრობას უკვე მოუხდა შეტაკება მის ძელ მოქავშირე „დემოკრატებთან“ — ოსებთან და სომხებთან. ეს უკანასკნელი, ჯერკიდევ მეფის ნაცვლის ვორონცოვის მართველობის ხანიდან მხარში ედგნენ ს.-დ. პარტიის საქართველოში და მხურვალედ ეხმარებოდნენ მათ „კლასთა ბრძოლის“ გაღვივების საქმეში (ე. ი. ქართული მამულების მათზე გაღმოსვლისათვის), აძლევდნენ მას თავის საარჩევნო ხმებს და სხვა. და ახლა სოციდემოკრატებს, საქართველოში გაბატონებულთ, სიხოვდნენ მათთვის გაცემული თამასუქების განაღდებას: შუა-გულ საქართველოში, ქართლში, ხიზანი ოსობა მოითხოვდა ქართველი მემამულესაგან ახალი მიწის კანონით ჩამორთმეულ და მათზე, ოსებზე, საკუთრებად გადმოსული მიწების პოლიტიკურ შემოფარგვლის დამოუკიდებელი ოსური რესპუბლიკის დაფუძნებისთვის. ამავე კანონის წყალობით მოიჯარადრე სომხები, ქართული მიწების მესაკუთრებდა გადაქცეული, თავის მხრივ, მოითხოვდნენ ბორჩალო-ახალქალაქის მაზრების სომხეთის, ერევნის რესპუბლიკისათვის მიკუთვნებას¹⁴⁾.

14). იმ ღრივიდან შემონახული საბუთები ამ ამბების თაობაზე მოვეითხოვდენ, რომ სომხის პრეტენზიებს ბორჩალო-ახალქალაქის მაზრებზე სოც.-დემ. თავიდან უჭერდა მხარს. მათი გაზეთი სწერდა: „ტერიტორიალური თვითმართველობის საზღვრები უნდა დაეყაროს ამა თუ იმ ეროვნების რეალურ მოსახლეობის პრინციპზე“ („ბორბა“, №34, 21. 6. 1917, თბილისი). ამავე აზრს იცავდა სოც.-ფედერალისტთა პრესაც, საქართველოს სახელმწიფოს 1918 წლის 26 მაისს აღდგენამ და ეროვნ.-დემოკრატების მკაცრმა ოპოზიციამ სოც.-დემოკრატებს ეს

հոյսեծուն սիրահարո թաշքչեծա-Ըստմահեծուտ Սոմեծեծուն չա-
հուն սուբրուզո თաշօծանեմա (Ըստունուն Ըստմահեծուտ) Սայահուզ-

ժցուլո პահուցուա Շեալուլուզոնա და Սոմեծեծուն մոտեռնաս սահու
Շեստուալո. Օմանչե Սոմեծեծու և վարդունեն: „Վարտուզուլո Կուր.-Ըստ-
կիալեծու, Սուր.-Ըստուրալուն թէծու დա Սոմեծեծուն թարմումալցուն-
լուն թէտանեմլուն յընոցըրագուլ პրոնցութչե. Մատ Մոհուն
ոյս Սիրուլո თանեմոծու ամ პրոնցութչե Սահուլուհեծուն շարտահեծանչե,
Սանամ մատ առ սրալարտես თացուն մերժամուս დա առ մոյսենեն յիրո-
վնուլ-Ըստ-կիալուն անհու, Իրմելուն թինաալմուցու ոյս ծոր-
հալու-անալոյալոյուն մաներեծու դատմոծանչե დա յակուլնոնձունեն
հոյսետ-Սայահուզուլուն Մոհուն 1783 վար დաდրեծուլ եղլՇե-
յիրուլուն անոնինուլ Սայահուզուլուն Սահուլմթութուեծուն-Ըստ-
հութունուալուր Սահուլույնս“. («Արմանո-Գրուզինսկի առաջարկացիոն պարագաներ»). Իзд. Բակինսկու Արմ. Խան. Սուստ, 1919թ.).

Սայահուզու, პարագան հեցուլույնուն (1905-1906 թ.) Մեմքաց
լամգահ հոյսեսուլ հեցույնուն մեծացրո հեցրեսուցու մուսպա Սա-
յահուզուլուն մուսու. մուսու Ծյուրութունուալուր-პոլութույնու լասուսուր-
ծունատցուն հոյսետուն մտացրոծամ յանսայուտուրեծուլ թոմեծուն մոմա-
հուտա. լասուսութուլո հոյսեսուլո „Սացլուեն ծանչու“ Մեսպացաս დա նայուն մո-
վարեծու հոյս յացլուն իսակելուն իսակելուն. օմազու եաննո პէրուցրաւունուն
մտացրոծամ դա յացյասունուն Սանամեսունույուն Մեսպացաս Սամու լու-
ծունու պրոյեկտու: Մուս-ցուլ յարտուլուն մուսութու Ծյուրութունուն յու-
լունուն յահուզուլ մեմամուլութունսացան իսամորութեա դա հոյսեսուլո չա-
հուն դածանակեծունատցուն „Պոլուգոնալ“ յաճախլուցա և կուրուզունուն
պրոյեկտու); Եօնան ույեծունատցուն յարտուզուլ մեմամուլութու մո-
վարեծուն սայուտուրեծալ դամբիյուցեծուս (Եօնանու պրոյեկտու) դա
տօնունուն յալունուն յարտուզուն պրոյեկտու “Սոմեծեծուն Սասա-
ցանցուն. ամ սրանասյենուլ ոռ պրոյեկտու մեսահու յայուրու դա ուսաց-
դա յարտ. Սուր.-Ըստ. Պարտու. մացրամ յայուր ամ պրոյեկտունուն յա-
նալութու Մեսպացա პարագան մետուլուն ոմմա.

ლოს განაპირა პროეციებზე 1918 წლის დეკემბერში და ოსების აჯანყება 1920 წლის ივნისში (ბოლშევიკთა მიხმარებით) ცხადლივ დაემუქრა ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკის არსებობას. ამ ამბებს ემატებოდა მაპმადიან ქართველობის აჯანყება, მომხდარი 1919 წლის მაისში, გამოწვეული აგრეთვე და განსაკუთრებით იმავე მიწების კონფისკაციების კანონით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას უკარგავდა ახალციხე-ანილქალაქის მაზრებს.

აქ მასსენლება იმ ხანის ქართველი მამა-შვილის ერთი დამახსიათებელი მიმოწერა:

— შვილო, ჩამოდი საჩქაროდ. მძიმედ ავადა ვარ, ლოგინს მიყრული. ჩემს დანჯრიდან კი ვხედავ, რომ სახლის წინ „სოციალისტების კამისია“ გვიჭრის შენი შრომით და ფულით აშენებულს, ჩვენს საცხოვრებელ ჩინებულ ვენახსა. მოდი, დაიცავი ჩვენი ოჯახის ლობე, — სწერდა მოხუცი მამა თავის შვილს, ოფიცრად მღვომს თავისი რაზმით საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრის საღარაჯოზე.

— ძვირფასო მამა ჩემო, ვდგევარ საქართველოს ლობის საღარაჯოზე. თუ მტერი ჩვენი სამშობლოს ლობეს წაგვილევავს, ოჯახის ლობეც წაგვეშლება. წაიღოს ჩვენმა ხალხმა, რაცა სურს ჩვენი მამულ-დედულიდან, ოღონდ მას ღონე მიემატებოდეს ჩვენი ძვირფასი სამშობლოს, მუდამ მრავალი მტრებით გარშემორტყმულის, დაცვისათვის. — უპასუხებდა მამას ახალგაზრდა ვაჟი.

— შენ ასეთი ქარგ მამულიშვილად რომ აღგზარდე, არა ვნანობ, შვილო. ნათქვამია, — შვილი მამას უნდა სჯობდესო. მაგრამ ჩვენი მამული აქ, შუაგულ საქართველოში, ოსებს მიაქვთ და იქ, საღაც შენ ეხლა სდარაჯობ ქვეყნის ლობეს, ეს ლობე ამ სოციალისტ კამისიებმა უკვე მოშალეს: უძველესი ქართული მამულები ქართველ პატრონებს ჩამოართვეს და მო-

იჯარადრედმყოფ მოსულ უცხო ტომის ხალხს დაუსაკუთრეს თბილისის ალაყაფის კარის წინ. აბა როგორ და უნდა დაიცვა ასე ქართული ღობემოშლილი საქრთველოთ? ¹⁵⁾).

დიდთათურის გზით

მეოცე საუკუნის ხალხთა ცხოვრების წინსვლა და კერძოდ ქართველი ხალხისაც უკევოდ მოითხოვდა ახალი ხანით მოტანილი, საგრძნობი ცვლილებების შეტანას მის ყველა ფენებში და მათ შორის უფლებრივ-ქონებრივ წონასწორობის დაყარებას. როგორც უკვე ვიხსენიებდით, ქართველი ხალხის ცხოვრების სინამდვილეში იგი უკვე თავისთავადაც ხდებოდა და ქვეყნის მეთაურთავაგანმოითხოვდა ამ ბუხებრივ და საღ პროცესისათვის სახელმწიფოებრივი წესით ხელის შეწყობას, მის გაფართოებას ფრთხილად და მიზანშეწონილად, რათა არ შე-

¹⁵⁾. ქართველი მამა მართალი აღმოჩნდა. 1921 წლის თავში, როდესაც მოსკოვის წითელი ურდოები გარშემოერტყნენ საქართველოს, სწორედ ამ შეტეხილ ქართულ ღობეებიდან მტერი აღვილად შემოიჭრა საქართველოს მიწა-წყალზე. აწ ცნობილი თარების სოფელ „შიხილი“-მ და სომხის სოფელ „უზუნლიარ“-მა, აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებზე მდებარეებმა, ბოლშევიკების წაქეზებით, მოახდინეს აჯანყება საქართველოს წინააღმდეგ და გაუადვილეს მტერს თბილისზე თავდასხმა. იმავე დროს ოსები მასვე უწმენდნენ მამისონის თოვლიან გადმოსავალ გზას ქალაქ ქუთაისში შემოსაჭრელად.

სერვერ ბეგი ქობლიანელი (ჯაყელების ჩამომავალი) თავისი ქართველი მაჰმადიან ძალებით, რომელნიც ვერ ურიგდებოდნენ საქართველოს სოც. მთავრობის მიერ მათი საკუთარი მიწების წარმევის, ძალაუნებურად გამდგარნი საქართველოსაგან, ამ ნაბიჯით ულებლნენ კარს თურქებს ახალციხე-ახალქალაქისაკენ.

ლახულიყო საერთოდ საქართველოს საკუთარი ეროვნულ-ტე-
 რიტორიალური პოზიციები კავკასიაში და არ შერყეულიყო
 მცირე ქართველი ერის ძველი ეროვნულ-საზოგადოებრივი
 ტრადიციული მთლიანობის და საქართველოში მობინადრე
 უცხო ტომთა მოსახლეობასთან მევობრული განწყობილების
 შენახვის დასაყრდენის ძირები¹⁶⁾).

ამის მაგალითს იძლეოდნენ ევროპის სოციალისტების მო-
 ქმედებანი ზოგიერთ პატარა ქვეყნებში — ფინლანდიის, და-
 ნიის, შვეციის და სხვა, საღაც სოციალისტების გაბატონებას
 არ შეურყევია ოვით ერების სოციალ-პოლიტიკური ცხოვრე-
 ბის ძირები და ფრთხილ ევოლუციურ-რეფორმისტულ გზას
 დასდგომიან. ასეთივე გზით სკლა მით უფრო ესაჭიროებოდა

16). ემიგრანტობის ხანაში სომხებთან და ოსებთან შეხვედრების
 დროს გავეცანით იმ ხანის მათი სამტრო გამოსვლების სულის-
 კვეთების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივსაც. ამბობდნენ: ქა-
 რთველი მენშევიკების წარმომადგენელებმა ჩვენ (ოსებს და
 სომხებს) თავიდან ყურები გამოვიჲდეს დარწმუნებით, რომ
 მათი პარტია იბრძვის არა საქართველოს რესპუბლიკის შექმ-
 ნისათვის მის ძველ ტერიტორიალურ-სახელმწიფოებრივ
 საზღვრებში, არამედ სოციალისტურ ეროვნულ კანტონების და-
 წესებით თანამედროვე ეტნოგრაფიულ პრინციპზე აგებული.
 ჩვენ ვართ ინტერნაციონალისტები, სოციალისტები და არა
 ნაციონალისტები. თუ ჩვენს ხელში იქნება ძალა-უფლება, ყო-
 ველ კანტონს მიეცემა თავისუფლება და ვისაც უნდა იმას მიე-
 კედლოს-ო. ჩვენი მოსახლეობის გამოსვლები მენშევიკურ მთა-
 ვრობის წინააღმდეგ უმთავრესად ამ მოცემული პირობის და-
 საცავად იყო გამოწვეული დ არა ქართველი ხალხის მტრობით.
 მათში უკვე დიდი ხანია მშვიდობიანდ გვიცხოვრია და ამ ახალ
 ხანაში სისხლის დაუღვრელად მშვიდობიანად მას მოუცილე-
 ბოდოდით მისი ქვეყნის ძველ ფარგლებშიცა; უფრო მეტი, და-
 ვეხმარებოდით საქართველოს რესპუბლიკის დაცვა-გამაგრების
 საქმეში.

გართველ მესვეურებს ახლად იღდვენილ საქართველოს სახელმწიფოში, რომელიც თავისი განსაკუთრებითი გეო-პოლიტიკური მდებარეობა-მდგომარეობით მეტად გართულებულ და სახითათო პირობებში ფეხს იდგამდა.

რუსული „რევოლუციის მონაპოვარის“ მიწების ჩამორთმევის კანონის პარლამენტში მიღების შემდეგ, მის ცხოვრებაში გასატარებლად სოც.-დემოკრატები თავის პარტიულ შეიარაღებული ძალის — „გვარდიის“ — გადიდებას შეუდგნენ. ამის გამო შეჩერდა დაწყებული მუდმივი ჯარის ორგანიზაციის საქმე და მიიყარეს „გვარდიის“ იარალი, ამუნიცია, ფული და ქვეყნის სურსათ-სანოვაგე. ამ გვარდიის შტაბში თავი მოუყარეს ინტერნაციონალურ შემადგენლობის რევოლუციონერებს, რუსეთზე ნაფიც, მობოლშევიკე ვ. ჯულელის მეთაურობით (იხ. მისი მოვონებები რუსულ ენაშე „მძიმე ჯვარი“).

იმავე ხანაში თავის პარტიის აქციის დაცვას ევროპაში რუს მენშევიკების დიპლომატიას ანდობენ. ცნობილია, რომ იმ დროს სოც.-დემ. ცენტრალურ კომიტეტის საგარეო წარმომადგენლობა ჩაბარებული ჰქონდათ: სკობელევს და სმირნოვს პარიზში; ვლადიმირ ვოიტინსკის — რომში; აიოლოს — პრაგაში. მალე, ორი პირველი, ბოლშევიკურ მოსკოვის მხარეზე მოექცნენ.

გათამამებული თავისი პარტიის გარეგანი სიძლიერით, სოციალ-დემოკრატების მეთაურმა ნ. ეორდანიაშ პარლამენტის ტრიბუნიდან მოურიდებლად განაცხადა: „,საქართველოს წარსული თეთრი დათვაა. ამიერიდან მის ისტორიას სოც.-დემოკრატიის პარტია დასწერს“—ო. ყველა ამ ამბებს თან მოჰყვა ეროვნული ყრილობისაგან ნაკარიახევის, საქართველოს მართვა-გამგების კოალიციური საფუძვლის მოშლა და მენშევიკ მარქსელების მთავრობის დიქტატურის დაწესება თბილისში, მსგავსად მოსკოვში გაბატონებულ ბოლშევიკ-მარქსისტთა მთავრობისა.

მსოფლიო ომის დაბოლოების წელს, 1918 წლის ივნისში. საქართველოში გაჩენილ გერმანულ სამხედრო-პოლიტიკურ

დამხმარე ძალას, რომელმაც შეიჩერა თურქთა ჯარის შემოსევა და გაუმაგრა საქართველოს მისი დამოუკიდებლობის პოლიტიკური პოზიციები, ს.-დ. მთავრობა თავიდან ცივად და უნდობლად დახვდა. განსაკუთრებით გენერალ ფონ-კრესის წინადადება-რჩევას ერთი მთლიანი ეროვნული ჯარის საჩქაროდ შედგენისათვის, ნაცვლად საომრად უვარებისი პარტიული „გვარდიისა“.

— ჩვენ ვართ მოსულნი დროებით და ალბათ მოგვიხდება უკან დაბრუნება. უჯარო თქვენი სამშობლო აღვილად წაილეკება მეზობლებისაგან. ისარგებლეთ ჩვენი აქ ყოფნით, გამოცდილებით, ყოველგვარი დახმარებით და შეაღვინეთ წესიერი მაგარი ქართული ჯარი და გაიმაგრეთ თქვენი ქვეყანაობმოუწოდებლნენ გერმანელი მრჩეველები ს.-დემოკრატების მეთაურებს პარლამენტის სამხედრო კომისიაში. მაგრამ ამით დ. ს.-დემოკრატები უარით დახვდნენ მათ წარმოდგენილ სამხედრო გეგმას, რომელიც მოითხოვდა ერთფეროვანი მუდმივი ქართული ეროვნული ჯარის მოწყობას (როგორც მთავარ ძალოვან ნაწილს მომავალი საერთო კავკასიის ჯარისა) და პარტიული გვარდიის გაუქმებას.

— თქვენი პატარა ქვეყანა ნივთიერად ვერ გაუძლებს ორწყება ჯარის ორგანიზაციის. იმასთანავე ერთმანეთისადმი დაპირისპირებულნი, ქართული სამხედრო ძალის მთლიანობას დაარღვევენ, — ეუბნებოდნენ გერმანელი სპეციალისტები. არც ამ საბუთმა გასჭრა და პარლამენტის კომისია ს.-დემოკრატების ხმების უმრავლესობით, დიდი ჩრეზერვებით, დათანხმდა მცირე რეგულიარული ჯარის დაარსებაზე მათი პარტიული „გვარდიის“ გვერდით თანაბარ პირობებში.

მიზეზი ასეთი გახელებული წინააღმდეგომისა ყველასათვის ნათელი იყო: პარტიული გვარდია მათ ესაჭიროებოდათ დაწყებული მიწების კონფისკაციის საქმის უზრუნველყოფისათვის და მომავალ დამტუბნებელ კრებაში სოფლის ხალხის უმრავლესობის ხმის მიღებისათვის თავისი პარტიული დიქტატურის განმტკიცებისათვის. ამასთანავე მათ ეშინოდათ და ამას

არცა მალავდნენ, რომ ეროვნული ჯარის სათავეში, მათგანმარტინ
რით, „რეაქციონერი“ ოფიციები თავად-აზნაურობის ჩამო-
მავლობისა ჩაუდგებოდნენ.

ომში ღამარცხებულმა გერმანელებმა, მართლაც, მალე მიატო-
ვეს საქართველო (1918 წლის ნოემბერში). საქართველო მხედ-
რულად სრულიად გაუმაგრებელი, მაშინადავე ზედი-ზედ იწ-
ვევს წინა თავში აწერილ აჯანყებებს. ამ განსაცდელის დროს
სამშობლოს სახსნელად მიეშურებიან მცირეოდენი ქართული
ჯარის ნაწილები, თავიდან შედგენილი კიბრების სახით უფროს
ქართველ მხედართა ინიციატივით. მათ მიუძღვით ს.-დ. მთავ-
რობისაგან პატივაყრილი, მამული მორთმეული, „რეაქციონე-
რი“, ყოფილი თავად-აზნაურობის ჩამომავალი ქართველი
ოფიცირობა და ყოფილ ქართველ გლეხებთან ერთად თავგან-
წირვით იბრძვიან, ყველგან იმარცხებენ საქართველოს წი-
ნააღმდეგ ამხედრებულ მტრებსა და გენერალ გიორგი კვინი-
ტაძის სარდლობით გააქვთ ქართული დროშა არტანუჯის სა-
ზღვრამდე... და გადაარჩენენ ნორჩ საქართველოს რესპუბლიკას
და მის სოც.-დემ. მთავრობას დიდ განსაცდელისაგან.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ს.-დ. დიქტატურის ბატონობა
ბრმად მისდევდა თავის აღებულ სექტანტურ გზას. ამ დროის
მანძილზე გარიყავს და ქართულ საზოგადოებრივ-სახელმწი-
ფოებრივ სარბიელს სრულიად მოაშორებს ქართველი ხალხის
ეროვნულ-სულიერად გამაერთიანებელს, მისი თავისუფლების
მუდამ თავგამოდებულ დამცველს ქართულ ეკლესიას თავის
მრავალ მოსამსახურეთა წრეებით. უხეშად ძირს დასცემს
სახელმწიფოებრივ ხალხოსნურ ქართულ ტრადიციებზე აღზრ-
დის და განათლებულ მის ძველ მოწინავე მებრძოლს, ქართველ
თავად-აზნაურობას, რომელიც მისმა მშობელმა „ქვეყანის მო-
ქმედმა“ ქართველმა გლეხობამ მარქსისტთა ტერორის ამოწყვე-
ტისაგან გადაარჩინა.

ახლა ამ დიქტატურის პოლიტიკური ბრძოლის წვერი მი-
იმართა ერთად-ერთ არა-სოციალისტურ, ილია ჭავჭავაძის მე-
მკეიდრე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაშლისათვის.

ՀԱԿՑԱԽՈ ՑՈՂՈՎԱԾՈՒՑԻ ՔՇԽՑՅՈ

յրուցնող - դըմոյրաტիուլո ։ Պահტուս ֆարմացիանունեած Տահլամենտի և մաս գարետ Տ.-Ծ. մարտզելեած միմարտ լուսացնուրո ռաբուժուցուս եանու ճապա մատ սատազըս մասնց ար ամֆուցեած Տ.-Ծ. անունեած դըմոյրատիուլո ։ Տանքատան նշան ճապա գարուցնու գանմիւյնու յարուցել եալեած ։ Ամ Պահტուս մոյր յարուցնու օստրուուլո օտրեած ։ — յրուցնող մտլուսանոմուս, յիստիանու կուլուրուս, յըուլուպուր-դըմոյրատիուլո և հետուրմուստուլո միմարտուլեած ճապա անյարած և նշան գուցեած ըապորուստույնու օյու յարուցնու սինամըցուլու մարմելատ շնուսագու և նամալագուած յարուցել եալեած ։ Տավաչ մոնքուցնու յամունուցելու մարտրուսանունեած ուր օդըուղացաստան — „յլաստա ծրամուլուս“, „Տհուլութահուսաւուս օդյերատուրուս“, „ատյութեանումուս“, „սուպրալութապուս“, „յըսերուպուսաւուս“ և սեցա, նշան մուրտանուլու սայարուցելու հուսետուս հըզուլուպուներու և սուպրալուստան օնդրուցնուստան սամիշարյուլունուն ։ մարյալուցնու յարուցնու արմամենած, հոմ մուժալումումյմեց, սայուտուրեած մոսցարյ, յիստիանու կուլուրուս օդատեթից ալթիւդուլու յայցնու մոսաթլուրեած օդուր սմիսավուլուսուն ։ — յարուցելու ըլլեթեած ։ մատ ժալա-սուգուլեած օդուրուլու բյալս նշան յանուն էն, ու ար օելուտացն ժամեմարյ հուսուլու հըզուլուպուս արուցուս և սահյարու ար հիմաշորեցն ձռուութիւնու յազունուս մի ծանյաս, հոմելու ու տացուս յրուցնու յազմեած յայցնուն ճալեած և եալեած յըլունեած Պարտիան ։ Ճա և ս.-Ծ. դըմոյրատիուլո մուրու ծրամուլուստուս արսենալու ֆարմահու յրուցնու-դըմոյրատիուլուստուս ՊահՏուս օսամլուրեած ։ Ամ ՊահՏուս նորի որշանութեած օստրուուլու սուսերու մեսարյեած ։

յրու տցալսահինու նպալու ամ որշանութեալուս օյու և, հոմ մաս սկզբացնուր ռմուս եանամու սայարուցելուս սեցադասեց կութեունան սիրագաւած տացմուրուլու օսալցանիւր Պարտրութիւն, յրու մանցուս աթլած յաւնունուլու, մոյմեցեած տան և սեցա

მხრივ ნაკლებად ჯერ ერთმანეთს შევუებულნი. იმ დროს, რო-
 ლესაც სოციალისტური პარტიების, განსაკუთრებით, სოც.-დემ.
 მეთაურობა თავისი უმრავლესობით გამოსული ერთ პროვინ-
 ციიდან, ამით ერთმანეთში მჭიდროდ გადაწყვლი, უკვე ოცი
 წელიწადი თავის ორგანიზაციას უძღვებოდა. აგრეთვე ერ.-დე-
 მოკრატიულ ორგანიზაციას ამძიმებდა მისი მრავალფეროვან
 ფენების შემადგენლობა. თუმცა ეროვნულ პოლიტიკური ხა-
 ზების დაცვაში ერთობილად გამოდიოდა, მაგრამ ორგანიზაცი-
 ულ წეს-წყობილებას ჯერ არ ჩეული, მის წიაღში ატეხილი
 აზრთა თუ მოქმედებათა შეჯახება იწვევდა ბუნებრივ შინაურ
 კრიზისებს. ამას ემატებოდა ისიც, რომ ამ პარტიის წევრთა მო-
 ქმედება ეწირებოდა განსაკუთრებით საერთო საქვეყნო აფორი-
 აქებულ ამბებში¹⁷⁾ მონაწილეობის მიღებას და ველარ მისდევდა
 პარტიულ-ორგანიზაციულ საქიანობის სათანადო გამაგრებას.

ს.-დემოკრატიამ ისარგებლა ერ.-დემოკრატების ამ სუსტი
 ორგანიზაციული მხარეებით და თავისი აგენტურით შეიქრა მის
 წრეებში მოქნილი დემაგოგიური იარაღით. თავდაპირველად
 შეეცადა ამ პარტიის გლეხთა სექტორის ჩამოშორებას, რომელ-
 საც, უმთავრესად, ქიზიყის მხარის, კახელები შეადგენდნენ.

— რა გაქვთ საერთო გაქრებისა და თავად-აზნაურების პარ-
 ტიასთან? გამოეცალეთ მას და მომავალ დამფუძნებელი კრე-
 ბის არჩევნებში თქვენ საკუთარ დეპუტატს აირჩივთო. ამ ცბი-
 ერმა ფანდმა გასჭრა და ერ.-დემოკრატებს გამოეყო ეს ფრთა
 „რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის“ სახელით. ჯერი
 მიღვა ერ.-დემ. დანარჩენ წრეებზე. აქ ამჟავდა ს.-დ. მეთაური
 ხალხი და მათი პარტიული პრესა.

— საქართველოს უნდა განაცემდეს ორი სოციალური კლა-
 სი: პროლეტარიატის სოციალ-დემოკრატიული და ბუნებუაზი-
 ულ-დემოკრატიული. ეროვნულ-დემოკრატიამ უნდა გაიწმინ-
 დოს თავისი რიგები თავად-აზნაურ ელემენტებისგანო¹⁷⁾. —

17). ბედის ირონია: თეთი „პროლეტარულ“ ს.-დ. პარტიის
 მეთაურობა ამ წოდებას ეკუთვნოდა: ნ. უორდანია, კ. ჩხეიძე,

ამ მზაკვრულმა დემაგოგიამაც მალე გასჭრა. მას მოჰყვა ხელოვნური გამოყოფა მეორე ფრთისა — პარლამენტში „ეროვნულ ფრაგულიდ“ წოდებული.

1919 წლის მარტის არჩევნებს დამფუძნებელ კრებაში ერ.-დემ. პარტია წარუდგა სამ ნაწილად დაყოფილი. ასე დანაწილებული, არჩევნებში დამარცხდა. ნაცვლად პარლამენტის საერთო 16 დეპუტატისა, შეკვეცილმა ერ.-დემ. პარტიამ გაიყვანა 8 დეპუტატი, ეროვნულმა — 2 და რადიკალ-დემოკრატების გლეხთა სექტორმა — არც ერთი. (საერთოდ დამფუძნებელ კრებაში სოც.-დემოკრატებმა შეიძინეს 105 ადგილი, სოც.-ფედ. — 8, ერ.-დემ. — 8, სოც.-რევ. — 4, დაშნაულებმა — 3, ეროვნულმა — 2).

ომისა და რევოლუციის მძიმე პირობებში აწყობილ ერთად ერთ არა-სოციალისტურ, ეროვნულ ტრადიციათა, იდეათა და საქმეთა მიმდევარ მებრძოლი ორგანიზაციის დაშლა, პირისპირ მოახლოვებული რუსულ-ბოლშევიკური სტიქიონის შემოსევის დიდი საფრთხისა, იყო ლახვარის ჩაცემა ჯერ კიდევ გაუმაგრებელი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს ზურგში. საქართველოს ისტორიული სინამდვილის ჩარჩოში სოც.- დემ. ამ გარენულმა გამარჯვებამ ხელახლა გააშიშვლა ძეველი მწვავე ჭრილობა, საქართველოს ეროვნულ მთლიანობას რომ არა ერთხელ შლილა. იმას იმოწმებენ იმ დროის ქართულ წრეებში ნიადაგ მოყიდებული გამოძახილი, რომელთა შორის მახსენდება ერთი მეტად ცნობილი:

მეორე გაყოფის წინ, ერ.-დემ. ცენტრალერი კომიტეტის დრამატიულ სხდომაზე, მომხდარს 1919 წლის თავში სასახლეში, გრიგოლ ვეშაპელმა, ჩამომავლობით იმერეთის მხარის ღარიბ გლეხმა, გააფრთხილა კომიტეტი: — „მენშევიკების ბანაკიდან ნაკარნახევი ჩვენი პარტიის ეს მეორე გაყოფაც აშკარად

ი. წერეთელი, კ. ანდრონიკაშვილი, ე. გეგეჭკორი, გ. ლორთქიფანიძე და ბევრი სხვებიც.

ლიხის მთის ხაზით ინიშნება. ამას წინ პარტიას გამოეყო კახელ გლეხთა სექტორი, ახლა მას ეცლება ილია ჭავჭავაძის ნამდვილი პოლიტიკური მექანიზმები, აღმოსავლეთ საქართველოს მოწინავე მამულიშვილთა მებრძოლი წრე და ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი ერ.-დემ. პარტიისა. საქართველოს ნიაღავშე მენშევიკური „კლასთა ბრძოლის“ ყალბმა და შხამიანმა ნათეს-მა ჩვენი პარტიის ც. კომიტეტშიც თავი ამოჰყო. გაფრთხილებთ, რომ მისი შედეგი სახელისწერო მოელენად გადაიქცევა აღ-დგენილი საქართველოსათვის, რომლის ბურჯად აქამდე თავის საღ ეროვნულ გეგმებით, მოქმედებით და მთლიანი ორგანიზა-ციის სახით იდგა ჩვენი პარტია. გამარჯვებული რუსული ბოლ-შევიზმი არ მოეცლება კავკასიას და საქართველოს, თუ მას არ დაუხვდებით მტკიცე ეროვნული ერთობით და კავკასიის ერე-ბის ჩვენთან საჩქარო დაკავშირებით. ეს გაყოფა მომაკვდინე-ბელი იქნება ქვეყნისათვის და პარტიისათვის“ – ი¹⁸⁾.

ბოლშევიკური უფსერულისაკვენ

ყველა ამ ნამოქმედარით მარქსის ღოქტრინებზე აგებულ ქართულმა სოც.-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, „მენშევი-კურ“-ად წოდებულმა, დაარღვია მცირე ქართული მოდგმის ოჯახის არსებობის ბუნებრივი კანონი — ყველა მის ფენათა ძალების შემოკრებით, ეროვნულ ერთობით თავის დაცვა მტრი-საგან. და საქართველოს ნორჩი რესპუბლიკა თავის „მენშევი-კური“ მთავრობით „ბოლშევიკური“ უფსერულისაკვენ დაექა-ნა. მათ ნამოქმედარს კვალდაკვალ მოსდევდა მისი განაყოფი, ძელი ნამხანაგარი და იმავე მარქსის სახარების მიმდევარია,

18). ერ.-დემ. პარტიის მთლიანობა აღსდგა მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1921 წლის იანვარში. იგი დაგვიანებული იყო, თებერვალ-მარტში საქართველოს რესპუბლიკა მოექცა ბოლ-შევიკური რუსეთის ბრჭყალებში.

მოქადაგებ ფრთა, ქართველ „ბოლშევიკებად“ ცნობილი, რომელსაც მოხერხებულად იყენებდა ძველი ველიკორუსული შოვინიზმის ბუდე მოსკოვი. საქართველოში ეს უკანასკნელი რიცხობრივად არ იყო საგრძნობი 1917 წლამდე. მაგრამ რევოლუციის დასაწყისში პლეხანოვის მიმდევარ „მენშევიკთა“ პარტიის სრული დამარცხება და ლენინის „ბოლშევიკთა“ პარტიის გამარჯვების და რუსეთის ძალა-უფლების ბოლშევიკთა ხელში ჩიგდების და გამაგრების შემდეგ, ქართველ „ბოლშევიკებმა“ ბრძოლა გაუჩალეს „მენშევიკებს“. საქართველოს ასპარეზზე სხვადასხვა სახით, რუსეთის ძველი სოც.-დემოკრატიული პარტიის ორი მეტოქე — „მენშევიკ-ბოლშევიკთა“ ნაწილთა შორის ომი გაიშალა.

თავის ზურგის გასამაგრებლად ქართველ მენშევიკ მეთაურებმა მოიპატიეს დასავლეთ ევროპიდან მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის გამოჩენლი სოციალისტები, მათ დასაჩვენებლად, რომ საქართველოს მიწა-წყალზე საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეთაურობით ძირი ეყრება სამაგალითო „მუშათა სოციალისტურ რესპუბლიკას“¹⁹⁾.

19). 1919 წელს საქართველოს ეჭვივნენ⁽¹⁴⁾ კ. კაუცი, ე. ვანდერველდე, რ. მაკონალდი, კ. გიუსმანისი, პიერ რენოდელი და სხვანი. ამ გამობრძმედილ ევროპიელ მოღვაწეებს დაწვდით სოციალისტური ექსპერიმენტების გეგმების საცდელ ასპარეზად გადაქცეული — ღობე-აშლილი, ეროვნულ ფენათა შორის მოშლილი ერთობით, უჯარი, უსაღსრო და „მუშათა კლასის“ არ მჰონე პატარა, წმინდა აგრარული ქვეყანა. ამ სტუმრობის შემდეგ ევროპის განათლებული სოციალისტების გამოძახილი არ იყო მენშევიკებისათვის გასახარებელი. მათი ყველასი აზრი გამოსთქვა ევროპის სოციალისტების ავტორიტეტმა კარლ კაუცკიმ 1921 წელს თავის წიგნაკში: „საქართველოს გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა“. ამ სათაურით მან არ სცნო საქართველო არ არსებულ „მუშათა პროლეტარიატის“ დიქტატურის დასაყრდნობ სარბიელად; მარქსისტული დიალექტიკის ჩემუ-

შორეული ევროპის მეორე ინტერნაციონალის სოციალური და კულტურული მეცნიერებების მიიღო-მოიარეს საქართველოს ქალაქ-სოფელები, სადაც ზველგან ქართველობა ხვდებოდა მათ ჩვეულებრივი სტუმართ-მოყვარეობით, მაღლობა გამოუცხადეს ქართველ მესვეურებს, თავისი სოციალისტური წრეების თანაგრძნობის პროპაგანდას დაპერიდნენ და დაბრუნდნენ შინ.

თავის მხრივ ქართველმა ბოლშევიკებმა მოიშველიეს მე-სამე სოციალისტური ინტერნაციონალიტან იმ ხანებში დაარ-სებული აღმოსავლეთ ევროპაში „რ. ს. ჭ. ს. რ.“, ცენტრში მო-სკოვში, თავისი მოყავშირე რუსი ბოლშევიკები.

უტყუარი საბუთებით აეხადა ფარდა იმ ფარულ ზრახვასაც, თუ რატომ ბოლშევიკურმა მოსკოვმა ასე ადვილად სცნო მენშევი-კური საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. 1920 წლის მაისში საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებით მან კარი გაუხსნა თავის ბოლშევიკებს მენშევიკური რეს-პუბლიკის დამოუკიდებლობის დასანგრევად. პირველი შე-დეგი ამ აქტისა იყო, რომ ბოლშევიკური რუსეთის „სოცია-ლისტურმა რესპუბლიკამ“ წარუგზავნა მენშევიკურ საქართ-ველოს „სოციალისტურ რესპუბლიკას“ თავისი ელჩი შეინმანი 300 მოხელეთაგან შემდგარი მისიის თანხლებით. ეს მრავალ-რიცხვანი ბოლშევიკი რუსი „სტუმრები“ თამამად გაიშალნენ საქართველოს მთელ სივრცეზე თავისი ქართულ-ბოლშევიკუ-რი აგენტურით, რომლის მეთაურები სერგო ორჯო-ნიკიძე და საშა გეგეჭქორი ახდილად დათარეშობდნენ, მოს-კოველი წითელი ჯარით 1920 წელს უკვე დაპყრობილი ჩრდი-

ლებრივი მიხეულ-მოხვეული არგუმენტებით კაუცი თავა-ზიანად უარჲყოფს ქართველი მენშევიკების შექმნილ სამაგა-ლითო აბსურდს... და ბოლოს გამოსთქვამს შიშს, რომ ეს აბსუ-რდი („გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა“) განმარტოვე-ბული, სამტრო პოლიტიკური გარემოცვისაგან, შესაძლოა ად-ვილად წაილეკოსო.

ლო-კავკასიისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში²⁰).

ამგვარად ქართველი მენშევიკ-მარქსელების საბატონოს თავს წაადგა მათი დაუნდობელი მოქიშე ქართველი ბოლ-შევიკ-მარქსისტები იდეოლოგიურ-პოლიტიკური ანგარიშების გასასწორებლად. მათ თან ახლდათ დამხმარედ მოსკოვის „წი-თელი არმია“. საქართველოს რესპუბლიკის ბედიც ამით უკვე გადაწყვეტილი იყო და რუსი ბოლშევიკები ადვილად შემოი-ჭრნენ საქართველოში მარქსისტების მიერ გატკეპნილი გზით.

რუსეთიდან გადმონერგილი ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის დამშლელი, ახალი რუსული „ქლასთა ბრძოლის“ ვარიანტი ეროვნული ნიკილიზმის თანხლებით, საქართველოს საზოგადოებრივ-ხივთიერი ცხოვრების აშლა-დაშლით მენშე-ვიკებმა ქართველი ხალხის ეროვნულ ფენებს გამოაცალეს ყო-ველი ძალ-ღონე. ქართველ ხალხს აღარ შეეძლო საჭირო სი-მთელე-სიმაგრით, თავგამოდებით დახვედროდა თავისი ქვეყ-ნის მტრებს. თუმცა 1919 წელს „მიწის რეფორმის“ თვალთ-მაქტა ფსიქოლოგიურმა გავლენამ, განსაკუთრებით პარტიის აპარატის დაწოლამ, მენშევიკებს შეაძენინა დამფუძნებელი კრების არჩევნებში ხალხის ხმის უმრავლესობა, მაგრამ ქვეყ-ნის მძიმე უამისათვის იგი ფუჭად აღმოჩნდა.

ამ უმრავლესობას, ყოფილ გლეხობას, ჩაყუდებულს მიწე-ბის გაყოფა-გამოყოფის რთულ საღავიდარაბო ამბებში, აღარ სცალოდა მტრებისაგან ქვეყნის დაცვისათვის. თანაც ეს „მტრე-

20). თავისი მენშევიკური „სოციალიზმის სამყაროს“ ამშენე-ბლობის იდეით და პროექტებით დატვირთული, პარტიის დიქ-ტატურის დაცვისათვის შეფიცულნი, საქართველოს რესპუბ-ლიკის მეთაურნი მეზობელ კავკასიის ერებს უნდობლად ეპ-ყრიბოდნენ, როგორც მათ იდეოლოგიის მოწინააღმდეგებს და ერიდებოდნენ მათთან მტკიცე დაკავშირებას, კმაყოფილდებო-დნენ „დიპლომატიური“ მეზობლური ურთიერთობით. ამიტომ არც მოხმარებიან ჩრდილო-კავკასიის ხალხებს, არც აზერბაი-ჯანელებს მათ ბრძოლებში ბოლშევიკებთან.

ბი“, იგივე მარქსისტ-ბოლშევიკები, პპირდებოლნენ მათთვის უფასოდ საკუთრებად დარიგებას იმ ბალ-ვენას- მინდვრებისაც. რომელსაც მენშევიკების მიწის რეფორმა მცირე „ნორმების“ სახით უტოვებდა ძველ პატრონებს. მან არ მისცა მენშევიკურ მთავრობას არც მიღებულ ახალ მიწებში დაწესებული ფული, არც მეომარი ძალა მიაშველა. ამ უკანასკნელის მხრივ იგი ხელავდა, რომ სოციალისტური მთავრობა გაუჩინდა ნამდვილი ქართული ჯარის შექმნას გამოცდილ სარდლობით სათავეში. ომისათვის გამოუსადევათ პარტიულ გვარდიას იგი არ ენდობოდა. მას სთვლილნენ პარტიის პოლიციად. სოჭ. გურჯაანში 1919 წელს მომხდარ საარჩევნო მიტინგზე (დამფუძნებელი კრებისათვის) ერთმა დარბაისელმა, სომხებთან ომში ნამყოფმა გლეხმა ოხუნჯურად მიაძახა გვარდიელებს: ნეტა ასე მაგრად გაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის მტრები, როგორც ეხლა ჩვენ გვერდით საარჩევნო ყუთებისაკენ.

ფუჭიად გამოდგა აგრეთვე იმედი რეალური პოლიტიკის მოანგარიშე ეროვნის სოციალისტებისა და მთავრობების დახმარებისა ბოლშევიკურ მაგარ კლანჭებში უკვე მოქცეულ მენშევიკ-სოციალისტური რესპუბლიკის ხსნისათვის.

— რატომ უნდა გაბრძოლო ჩვენი ფრანგი ჯარისკაცები და ვალერევინო ფრანგული სისხლი, როდესაც თქვენმა მთავრობამ, რომელსაც შეეძლო 200.000 ქართველი მეომარი გამოეყანა, მისი ერთი-მეოთხედიც არ გამოუყვანია თავისი სამშობლოს დასაცავადო, — უპასუხა საფრანგეთის რესპუბლიკის დიდმა სამხელრო პიროვნებამ საქართველოს მთავრობის კაცს დახმარების თხოვნაზე...

და საქართველო ჩაექანა ბოლშევიკურ უფსკრულში.

გუარე ბოლო

1921 წელს თებერვალში შემოსეულ მოსკოვის წითელ ჯარისაგან თბილისის კარს თავდადებით იცავდნენ გენ. გიორგი კვინიტაძის სარდლობით მცირე ქართული ძალები — ქართველი იუნკრებისა და რამოდენიმე ბატალიონი (არა სრული შემადგენლობისა) ქართული ჯარისა, ყოფილ თავად-აზნაურთა ჩამომავლობის მხედართა უფროსობითა²¹⁾. დახვევის დროს თბილისიდან ეს მუჭა მხედრობა ერთი თვის განმავლობაში ბრძოლებით იცავდა საქართველოს რესპუბლიკის ნ. ეორდანის მთავრობას და უვნებლად მიიყვანა ბათომამდე და გაისტუმრა იგი სამშვიდობოში საზღვარ-გარეთ.

ფეხზე წამომდგარ, გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოს ასეთი მოქლეხნიანი (სამი წელიწადი) თავისუფალი არსებობის და მისი ასე სწრაფი დამხობის ამბავი მრავალ საუ-

21). ცნობილია, რომ მტკვრიდან მოყოლებული კოჯრიმდე, ამ მნიშვნელოვან მარჯვენა ფრთას თბილისისა გენერალ გორგი მაზნიაშვილის მეთაურობით იცავდნენ: გენ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი თავისი იუნკერთა სკოლით; პოლკ. ნიკოლოზ ვაჩაძე ასპინძის ბატალიონით, პოლკ. ლავით (ყაფლანის ქე) ვაჩაძე საყარაულო ბატალიონით და პოლკ. იასე ვაჩაძე მე-შვიდე ბატალიონით. მათ სამჯერ უკუაგდეს რუსები და 1200 ზე მეტი ტყვე ჩაიგდეს ხელში.

გერმანელების დროს მიღებული სამხედრო პროექტები — ორი ქვეითა და ერთი ცხენოსანთა დივიზიის შექმნა მოხდა ნაწილობრივ არა სრული შემადგენლობით და ცხენოსანთა დივიზიის მთლიანად გამოკლებით. ამის მიზეზი განმარტა ცნობილმა მენშევიკმა ზაქარია გურულმა: ცხენოსანთა დივიზიია გადაიქცევა თავად-აზნაურობის საჯირითო სარბიელად და ჩვენ არ გვესაჭიროებათ.

კუნივანი მებრძოლი ქართული ისტორიისათვის გაუგონას შა-
გალითად ჩაითვლება.

შორეულ საუკუნეებში მას ვერ მოპრევიან მთლად ვერც
არაბების, ვერც ბიზანტიელების, ვერც სელჯუკ-სპარსელების
და ვერც ყოვლად შემძლე, მრისხანე მონღოლთა იმპერიები.
უფრო მეტი: მონღოლთა შემდეგ დანაწილებულ საქართველო-
საც ვერ მოპრევიან ირან-ოსმალთა ძლიერი სახელმწიფონი.
მხოლოდ მეოცე საუკუნეში, შავი ზღვიდან განჯის კარამდე
ფეხშე წამომდგარი, მთლიანი საქართველოს რესპუბლიკა სამი
წლის არსებობის შემდეგ, იმ ხანად ჯერ ნაკლებად ძალოვანმა
ბოლშევიკ-რუსების შემოსეულმა ბრძოებმა ერთ თვეში გააქ-
რეს!

თავისუფალი საქართველოს ამ არა-ჩეულებრივი დაცემის
ერთი დიდ მიზეზთაგანი იყო ისიც, რომ მას ამ ბრძოლაში და-
მხმარედ არც ერთი კავკასიელი მეზობელი ერთ არა ჰყავდა.
წარსულ თავდაცვით ბრძოლებში საქართველოს სხვა და სხვა
დროს გვერდში ამომდგარი ჰყავდა ვინმე თავისი კავკასიის მე-
ზობელთაგანი — სომხი, შირვანელი თუ ჩრდილო-მთიელი.
ამ ჩეენს დროში საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობამ ვერც ერთი მეზობელთაგანი ვერ მიიყენა, მიუხე-
დავა იმისა, რომ მის თვალშინ ბოლშევიკური რუსეთი მათ
ქვეყნებს ცეცხლითა და მახვილით მიაღდა. მან ვერ მიიზიდა
მეგობრობა ვერც მეზობელ კავკასიის ხალხებისა, ვერც ნდობა
მოსაზღვრე მუსულმანური ქვეყნებისა. მათი ხელმძღვანელი
წრეების აზრით, თბილისის მარქსისტ-მენშევიკთა მთავრობა
ითვლებოდა მოსკოვის ბოლშევიკ მარქსისტთა მთავრობის ში-
ნა პარტიულ ოპოზიციად²²).

²²⁾. იმ ხანებში ანგორაში საქართველოს რესპუბლიკის ელ-
ჩალ გაიგზავნა სეიმონ მდივანი. თავის მხრივ მოსკოვმა გაგზავ-
ნა რუსეთის ელჩად მმა სეიმონისა — ბულე მდივანი. გაკვირვე-
ბული თურქები ეკითხებოდნენ: რომელ ძმას დაუჯეროთ — ბუ-
ლუს, რომელიც დიდ რუსეთს წარმოადგენს, თუ სეიმონს —

მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკის გამგემ, ინგლისელმა მეთაურმაც ლოიდ ჯორჯმა, გაშიფრა რა ეს ქართული რებუსი, არაფრად ჩაგდო მისი დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობის — 1921 წლის 27 იანვარი⁽¹⁵⁾ — საბუთი და რუსულ ხერიყები მიჰყიდა საქართველოს დამოუკიდებლობა მოსკოვის ბოლშევკიებს.

დაავადებული რუსული სოციალისტური რევოლუციის მუნიც, 1921 წლის თებერვალში საქართველოს რესპუბლიკის მენშევიკური მთავრობა უცბად დამარცხდა თბილისის კართან. მას თან გადაჰყვა ქართული ისტორიის მეოცე საუკუნის პარალექსიც — ქართველ მარქსელთა მენშევიკური პარტიაც.

ამჟამად ქართველი ერი მთლიანად და უშუალოდ წარუდგა და დაუპირისპირდა თავის ძეელ მრისხანე მტერს — ნიღაბ-ახდილ, ნაცნობ რუსულ ნაციონალ-ბოლშევიზმს, ამ ხანად გაწოთლებულს.

მცირე ერი, „შემქმნელი ერთი უძველესთაგანი კულტურისა ევროპაში“, მთელი თავისი ბუნების არსით, ისტორიით, კულტურით და ძირმაგარი ეროვნული ტრადიციებით, პირველთაგანი მსოფლიოში გაბედულად გადაელობა და შეებრ-

პატარა საქართველოს ელჩისა? ან როგორ გავიგოთ ეს უცნაური ქართული რებუსი: რომ ერთი ე. გეგეჭკორი საქართველოს საგარეო მინისტრია, მეორე, მისი ნათესავი საშა გეგეჭკორი, მოუძღვება ბოლშევიკურ რუსებს? ერთი ელიავა საქართველოს დიდი კაცია, მეორე კი — რუსეთისა? ალბათ ქართველი მენშევიკები და რუსი ბოლშევიკები „ბიძაშვილები“ არიანო! ბოლოს ოურქებმა იმ ძმას დაუჯერეს, რომელიც მოსკოვიდან იყო გაშოგზავნილი, კარგა ბლობად რუსული ოქროს თანხლებითაც.

ამით თუ აისნება, რომ საქართველოდან ოსმალეთში გამოკცეულ ქართველებს თურქები ძველებურად „გურჯებს“ კი აღარ უწოდებდნენ, არამედ „მენშევისტებს“.

ძოლა კაცობრიობის კულტურისა და ციფრიზაციის დამქვეცვა,
 უშველებელ ძალა მქონე, მეოცე საუკუნის სკვითების გაბა-
 ტონებას ქავებასთაში.

ქართველთა მოდგმის სახეს მოეხსნა მისი დამამახინჯებელი
 ჩოფურა ნიღაბი, აკრული უცხო გაველურებული მოძღვრების
 დაბრმავებულ დამქაშთა ქართველ ფანატიკოსთა წრის მიერ.
 და თავიდან იმ სასტიკ ბრძოლაში, რომელიც მას გადაუხდია
 მახვილით და ტერორით საქართველოში გამატონებულ რუს
 ბოლშევიკურ ურდოთა წინააღმდეგ და სხვა და სხვა სახით იხ-
 დის დღემდე, ქართველმა ერმა გამოამზეურა თავის მოდგმის
 უძველესი პოლიტიკურ - საზოგადოებრივი კულტურის ცხო-
 ველმყოფი და უკვედავი ეროვნული თვისებები.

მოკლე მოთხრობით გადავშალოთ ეხლა ქართული სისხ-
 ლით გაუღენთილი, ჩვენი დროის ეს უტბუარი და ჯერ დაუთა-
 ვებელი ქართული ბრძოლის ეს დრამატიული ფურცელიც.

II

ჩართველი ხალხი წითელი რუსთის ლოდის ქვეშ

ჩართული სიციალისტური პარტიის დაგნევა

მეორე მსოფლიო ომის დათავებისას, მიმდინარე თანამედროვე საერთაშორისო ამბების ასპექტში, სავსებით გაღმოიშალა რუს ხალხის სტიქიონის ბუნების თვისებები, რომელნიც რუსული კომუნიზმ-ბოლშევიზმის სახით მთელ განათლებულ მსოფლიოს, მათ ქვეყნებს და ერების კულტურა-კიფილიზაციას სრული წილებით დაემუქრა.

თვითმპყრობელი დესპოტიური მონარქიისა და ეკლესიის ისტორიით აღზრდილ რუსთა მოდგმის თვისებებს, შეჩვეულს მეზობელ ხალხების დაპყრობას, მათ ეროვნობის ხეპრულ გათლა-გაშალაშინებას, ქართველობას თავის თავზე განუცდია უკვე წინა საუკუნეში მისი საქართველოში გაჩენის დღიდან.

ამ ჩვენს საუკუნის ხანაში, საერთოდ, დიდი უმრავლესობა მოაზროვნე, დაკვირვებული ქართველობისა აშკარად გრძნობდა, თუ რა უბედურება მოელოდებოდა მის ქვეყანას ჯებირებაშლილ, მოზეავებული რუსობის სტიქიონისაგან, მარქსის კომუნისტური მანიფესტით და სისხლიანი წითელი დროშით ახლად შემოჭრილისა საქართველოში.

მათი შემოსევის პირველ დღეებში თბილისის კედლებზე გაკრული მომაკვდავი ლენინის განკარგულება ქართველების და მათი ქონების ხელუხლებობის თაობაზე არავის არ ამშვიდებდა. მართლადაც, მალე საქართველოს ქალაქებში ყველა სავაჭროები მიიკეტა და დაცალიერდა. მათი საქონელი მთლად იშიდებოდა დამშეულ რუსეთში. იდგილობრივ მცხოვრებლებს ურიგებდნენ უანგიან რუსულ სელიოდეკებს. „ბურუუების“ დასაშინებლად თბილისში დახრვიტეს რამდენიმე ცნობილი ვაჭარი. ბოლშევიკი სალდათები უკვე შეესივნენ სოფლებს და

დაუწყეს ძარცვა-გლეჯა შეძლებულ გლეხებს. ამას თან მოსალევდა შემაძრწუნებელი აღამიანთა მკვლელობანი და უზნეო, გამხრწნელი ქადაგება. ქართულ სოფლებს ლელვა მოედო. გლეხობა აწმუნდებოდა, რომ რუსული ბოლშევიკური წესწყობილების ფეხის მომაგრება საქართველოში ემუქრებოდა მისი საკუთრების ღობებს და სარჩო-საბადებელსა, რომ ოჯახისა და სარწმუნოების წინააღმდეგ ბოლშევიკური უზნეო ქადაგება და მოქმედება ყირაზე აყენებდა მის ჩვეულ კეთილ-პატიოსანი ცხოვრების აღამიანთა ზნე-აღათებსა.

ახალ მოსულ რუს ჯარების მომატებით ბოლშევიკურმა მთავრობამ რომ მოიმაგრა ფეხი თბილისში, გააწყო „ჩეკა“-ს მრავალრიცხოვანი საჯაშუმო აპარატი, მოსკოვიდან წარმოგზავნილი დახელოვნებული მრავალი „ჩეკისტებით“. ამ უკანასკნელთა აგენტურა მოედო ყველა ქართულ დაწესებულებებს და დღითი დღე მუხრუჭს უჭერდა, თავისუფალი ქართული ცხოვრებისაგან გადარჩენილ უკანასკნელ ნაშთებსა.

ქართულ სასწავლებლებში შეიჭრნენ ახლად დაარსებული „კომსომოლი“-ს ჯაშუშები. ქართულ უნივერსიტეტში გაჩნდნენ „ჩეკას“ აგენტები, რომელნიც უჩუმრად აღგენდნენ არასაიმედო სტუდენტების სიებს. ქართული პოლიტიკური წრეების ფენებში დაძვრებოდნენ მაბეზლარა ქართველი რენეგატები და გზას უტკეპნიდნენ კომუნისტურ მართველობას რეპრესიების შემოღებისათვის.

ქართულ პაერს ჯანყის სუნი ედებოდა. მღელვარე სოფელთა კაცები გაჩნდნენ თბილისში ძველი პარტიების. მოთავეებთან დასაკავშირებლად. ამ მხრივ თბილისი ძველი სოციალისტური მეთაურებისაგან დაცალიერებული დახვდათ. სოც.-დემოკრატიული პარტიის მთავარი ძალები, ყოფილი მთავრობით, მათი აპარატის ღიღეცაცებით, პარტიული „გვარდიის“ მოთავენი და სხვ. განიზნულნი იყვნენ საზღვარ გარეთ და პარტიის აქტიური წევრთა დიდი უმრავლესობა, მიმალულნი თავის სოფლებში. საერთოდ მენშევიკების ფართე ფენებს მოედო დიდი დაბნევა და ერთ ნაწილს კი, თავის მონათესავე — ოჯახობი-

ბითა, მარქსის საერთო შემეცნებითა და რუსოფილური მიღრე-
 კილებით — ქართველ ბოლშევიკებთან შერიგების ტენდენცი-
 ები დაეტყო ²³⁾). მართალია, მის წევრთა შემაღვენლობის სა-
 გრძნობი ნაწილი, მოსკოვის ცენტრიდან დანიშნულ ქართველ
 ბოლშევიკებისაგან შემდგარ მთავრობისადმი შეურიგებელი
 რჩებოდა, მაგრამ იგი მათთან საერთო სოციალისტურ მარქსის-
 ტული დოგმებით გადაწყნული, შებრძოლების უნარ-გამოცლი-
 ლი იყო. ეს მენტევიკ-ბოლშევიკური შეურიგებლობა ძველ ში-
 ნა პარტიულ, პიროვნულ მეტოქეობას უფრო წააგავდა, ვიდრე
 ლრმა ეროვნულ პოლიტიკურ მიმართულების დაპირისპირების
 შედეგსა.

სოციალ-ფედერალისტთა პარტიაც თავის პროგრამის “სო-
 ციალისტურ-ფედერატიულ” დებულებისა გამო, რომელიც
 უახლოვდებოდა „რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიულ რე-
 სპუბლიკის“ პოლიტიკურ ფორმულებს და მის გადმოსროლილ
 თვალთმაჯუც საპროპაგანდო ეროვნულ ლოზუნგებს—ფაქტიუ-
 რად ნეიტრალიზაციის სფეროში მოექცა. მისი აქტიური მეთა-
 ურთავანი, ცნობილი მწერალი იოსებ გედევანიშვილი პირვე-
 ლი წითელი ქართველი გენერლის სახელით ოფიციალურად
 თბილისის ბოლშევიკურ მთავრობას მიემსრო.

მესამე, მცირერიცხვანი ქართველ სოციალისტ-რევოლუცი-
 ონერთა პარტია ხომ სრულიად გაქცერა.

ამგვარად ბოლშევიკების გაჩენის პირველ წელს ქართული
 სოციალისტური პარტიები მიმქრალად ან სრულიად გამქრა-
 ლად ითვლებოდა. და ქვეყანას საყოველთაოდ მაგრად წავთა-

23). მიუხედავად საქართველოს დამოუკიდებლობის გამო-
 ცხადებისა, მენტევიკური პარტიის ერთ ნაწილში პოლიტიკურ-
 რუსოფილური მიღრეკილების ტენდენციები მუდამ ბუღლობ-
 და. ეს მოვლენა აახლოვებდა მათ ბოლშევიკებთან. საქართვე-
 ლოს ოკუპაციის პირველივე ხანაში თბილისში ხმა იყო გავრ-
 ცელებული, რომ მენტევიკების ერთი ნაწილი ურიგდება და
 სცნობს ფ. მახარაძის ბოლშევიკურ მთავრობას.

რა სისხლიანი წითელი დროშით და რუსული წითელი ჯარით სოციალისტ-კომუნისტური ბოლშევკური პარტია.

შინაური ბრძოლის ფრონტზე მის პირისპირ, მთლიანად შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ, დარჩა ქართველი ერის მედროვე და მოწინავე მებრძოლი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. იგი დაუხვდა დედა-ქალაქ თბილისში, მაშველ ქართველ მეთაურობის ძებნაში სხვა და სხვა მხრიდან ჩამოსული გაჭირვებული ხალხის წარმომადგენლებს და გაუწოდა თავისი ხელი.

ეროვნული ბრძოლის დროშით

1921 წლის იანვარში თბილისის თვითმართველობის დაბაზში 400 დელეგატისაგან შემდგარ კონგრესზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დარღვეული ნაწილები კვლავ გამოიწვია დანენ ერთ ორგანიზაციაში „საქართველოს დემოკრატიული პარტიის“ სახელით. მას შეუერთდნენ უპარტიოთა წრეები კ. აბხაზის, ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის და სხვათა მეთაურობით.

1919 წელს მომხდარ მის ხელოვნურ დაყოფას ახლა ყველა მის ეროვნული ფენის ბუნებრივი გამოელება მოჰყვა. სოკ.-დემ. მთავრობის დიქტატურა, დაშინებული ბოლშევკი ჯარების მიერ ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანის და სომხეთის დასრულებული ოკუპაციით (1920 წ.) ხელს აღარ უშლიდა ეროვნული ძალების გამოელებას, რომელსაც წინა წლებში ასე ხელაღებულად ანგრევდა. მაგრამ ამ მნიშვნელოვანმა აქტმა ვეღარ მოასწრო თავისი დადებითი ნაყოფის გამოლება თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკისათვის. შემდეგ, თებერვალში მოხდა თავდასხმა წითელი რუსეთის ჯარებისა და ქვეყანა, დაავადებული „დღასთა ბრძოლის“ ნამოქმედარით, მხედრულად მოუმზადებელი, ადვილად დაეცა. თუ რამდენად მნიშვნელოვნად სთვლიდა მტერი ამ პარტიის ეროვნულ-ხალხოსნური წრეების გაერთიანებას, მოწმობს მისი შემოსულის დღეებში

თბილისის კულტურული რესული წითელი სამხედრო შტაბის გაზეთის „ქრისი კონი“-ის მსხვილი ასოციაცია აწყობილი განცხადება სათაურით: „რატომ ვეშურებოდით საქართველოსაკენ?“ მის ქვეით აღნუსხვის მეორე რიგში ეწერა: „ქართველი რეაქციონერების გაერთაინების გამო“-ო.

მტრის შიში უსაბუთო არ ყოფილა. მისი გაჩენის დღიდან საქართველოში სრული სამი წელიწადი ამ პარტიის გაერთიანებულ ეროვნულ ძალებს მოუხდათ შეუწყვეტელი ბრძოლა და გაძლოლა ამ წლებში მომხდარი ქართველი ხალხის ყველა აჯანყებათა. პირველ წელს ამ პარტიის წრეების მეთაურობა არ გახიზნულა უცხოეთში, თითქმის მთლად დარჩა დაპყრობილ საქართველოში და მაშინადევ შეუდგა საბრძოლო გეგმების შემზადებას. გამოიშველ „კლასთა ბრძოლის“ ნათესთა შედეგი უცხად გაჰქინენ. ძველებური ეროვნული ერთობით ქართველობამ შეჰქრია პირი ველური მტარვალებისაგან თავისი სამშობლოს ხსნისა. ქართული ბრძოლის ასპარეზზე გამოჩენილ მისი ძველი მოწინავე ფალავანნი: საქართველოს მთის ხალხი თავისი ძველი წინამდლოლებით, შემნახველნი და გმირი-დამცველნი ქართველთა მოდგმის ეროვნული თავისუფლების ძირებისა. გაიშალა ეროვნული ბრძოლის დროშა. მისი მთავარი მედროშე იყო „საქართველოს დემოკრატიული პარტია“ (გაერთიანებული: ეროვ.-დემოკრატიული, ეროვნული, გლეხთა რალიკალ-დემოკრატიული და უბარტიოთა ნაწილები).

სპასის აჯანყება

1921 წლის მაისში თბილისში ჩამოსულნი სვანების წარმადგენელნი მოსესტრო დადეშეკელიანი და პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხახე შეხვდნენ დავით გაჩენის ბინაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილს და პოლკოვნიკ გიორგი თუხარელს. მსჯელების შემდეგ, როგა გამოიჩკვა, რომ საქართველოს მთის ხალხები მზად არიან იარაღით აუჯანყდნენ ბოლშევიკურ ძალაუფლებას, მოთათბირეებმა დაისახეს საერთო ბრძოლის გეგმა:

სეანები დაუყონებლივ უნდა შესდგომოდნენ იარაღის შეძენას, მეტრძოლ მთიელთა აზმების დაგროვას და მთაში გამაგრებას. ამავე დროს ჩოლოყაშვილი შეუდგება თუშ-ფშავ-ხევსურთა ხალხის შემზადებას და ამ მხარეების პარტიზანული აზმებით მოფენას. როცა დამთავრდებოდა ორივე მხარის მომზადება მთაში, მათი მეზობელი მხარეებიც რაჭა-ლეჩხუმის და კახეთის მოსახლეობაც თან ასაყოლად მოემზადებინათ. დანიშნულ ხელსაყრელ დროს პირველები გამოვიდოდნენ სვანები, დაეშვებოდნენ მთებიდან და მოადგებოდნენ ქუთაისს. რუსების სამხედრო ძალები (ჯერ ნაკლებად გამაგრებულნი ამიერ-კავკასიაში) გაეშვრებოდნენ დასავლეთ საქართველოსაკენ აჯანყების ჩასაქრობად. ამით ისარგებლებდა ჩოლოყაშვილი და თავის ძალებით შეუტევდა ობილისა. ამ ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო ხდებოდა რუსების საარტილერიო ნაწილების ხელში ჩაგდება. ეს კი მოითხოვდა ქუთაის-ობილიში კარგი ფარული ორგანიზაციების მოწყობას, რომელიც ბოლშევიკური „ჩეკის“ საჯაშუშო ძლიერი პარატის გარემოცვაში არ იყო აღვილი. ამიტომ ყველა მოთათბირე დაადგა იმ აზრს, რომ ჯერხნობით შეუდგნენ შემზადებით მუშაობას პარტიზანული რაზმების დაარსებისათვის, მათ მთაში გამაგრებას და ქალაქებში დამხმარე საიდუმლო ორგანიზაციების მოწყობას რუს გარნიზონების ნეიტრალიზაციის მოსახლეობად.

მხოლოდ ამ მომზადების გეგმის დასრულების შემდეგ დაინიშნოს დროც გამოსვლისა.

მაგრამ ზაფხულს უკვე გამოიჩინა, რომ სვანეთის მხარეში რუსებმა ისეთი მდგომარეობა შეჰქმნეს, რომ გაჭირვებულ სვანების აჯანყება მხოლოდ ორიოდე თვის საქმედ ითვლებოდა. მათ სათავეში ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი ბიძინა პირველი იღვა. თბილისში კულავ ჩამოვიდნენ მ. დადუშკელიანი და ნ. გარდაფხაძე: — სვანეთის ხალხი ვეღარ უძლებს მხეცურ ბოლშევიკურ ძალმომრეობას. ამ შემოდგომის აჯანყება მისი აუცილებელია. მას ვეღარ შევაჩერებთ. გვაქვს იმედი, რომ სვანურ-ლეჩხუმური ძალებით განვიარაღებთ რუსულ ნაწი-

ლებს, დაბანაკებულს ჩვენს მხარეში. გვესაჭიროება მხოლოდ საღსარი.

- მაგრამ მარტო სვანური ძალებით ხომ ვერ შესძლებთ თქვენი დაგეგმილი მთავარი გამოცანის განხორციელებას — ქუთაისის აღებას? — დაეკითხა მათ ერ.-დემ. კომიტეტის წევრი.
- შესაძლოა, რაჭა-ლეჩხუმის ხალხიც გვერდში ამოვეიდგენ და მაშინ ამ ამოცანასაც დავსძლევთ. ჩოლოყაშვილსაც გაუადვილებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთის ხალხის სწრაფად ფეხზე დაყენებას და თბილისზე გამოლაშქრებას.
- რომ დამარცხდეთ?
- ქართველი ერის და საქართველოს ნამდვილ სახეს ხომ მაინც დავანახვებთ შსოფლის — იყო სვანების მეთაურთა პასუხი⁽¹⁶⁾. ქართლ-კახეთის მწარმოებელ კოოპერატივთა კავშირმა⁽¹⁷⁾

24). ბოლშევეკების შემოსევამდე თბილისში უკვე კაიხანია არსებობდა ქართლ-კახეთის მწარმოებელ კოოპერატივთა კავშირი „წარმოკავშირის“ სახელწოდებით. ამ კავშირში შემოდიოდნენ ცნობილი კოოპერატიული საზოგადოებანი: მეცნახე-მელვინეთა, მეხილეთა, მეცხვარეთა და სხვა. ანალი ქართველი კომუნისტური მართველობა თუმცა აღმაცერად უყურებდა ამ ორგანიზაციის, მაგრამ პირველ ხანებში ანგარიშს უწევდა მის გავლენას სოფლის მწარმოებელ კოოპერატიულ წრეებზე და ხელს არ უშლიდა მუშაობას, მით უფრო, რომ მისი გაფართოება უკვე შეკვეცილი იყო კომუნისტური მძაფრი ფისკალური რეჟიმით.

მჭიდროდ გადაწყველი ქართულ სოფელთან, „წარმოკავშირი“ ცოცხალი გამოძახილი იყო სოფლის ხალხის სულისკვეთებისა და ანალი ჩუქუმისადმი უკმაყოფილების ზრდასთან ერთად „წარმოკავშირი“ მალე გადაიქცა ფარულ დასაყრდნობ დამხმარე ბურჯად ბოლშევეკების მოწინააღმდეგე აქტიური ეროვნული ძალებისა 1921-22 წლებში.

„წარმოქავშირმა“, რომლის სათავეში ეროვ.-დემ. პარტიის წევრები იდგნენ, მააშველა სვანებს ათა მილიონი მანეთი.

1921 წლის სექტემბერში აჯანყებულმა სვანებმა პიძინა პირველის, მოსესტრო დადეშველიანის, ნესტორ გარდაფხაძის მეთაურობით დაამარცხეს და განაიარალეს აღვილობრივად მდგარი წითელი რუსული ჯარის ნაწილები და ექვსი თვე მამაცურად იგერიებდნენ მრავალრიცხოვან ახალ რუსულ ჯარს, გამოვზავნილს სვანეთის დასამორჩილებლად. უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა სვანების ბრძოლა, ვიდრე მათ შიგნით არ გაჩნდებოდნენ შეგზავნილი ქართველი ბოლშევიკი აგენტები, რომლებმაც მაცდური დაპირებებით სვანებს იარაღი დაყრევინეს.

შეშინებულნი ახალი მებატონეები თბილისისა, საქართველოს დაპყრობის წლისთავზე, თავს დაესხნენ ქართულ პოლიტიკურ ინტელიგენციას და 1922 წლის 10 თებერვლის ღამეს დაატუსალეს და ციხეებში ჩამწყვდიეს 3 000 კაცამდე. ამის საპასუხოდ ახლა დაიძრა აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთა ხალხი.

1922 წლის აჯანება²⁵⁾

აქაც პირველი ამოძრავდა ხევსურეთის მთის მამაცი ხალხი და ჩაიყენა მოთავედ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (ქაქუცა), ჩამომავალი იმ პოდპოლკოვნიკ ივანე ჩოლოყაშვილისა, რომლის მეთაურობამ მეამბოხე ხევსურეთისა 1802 წელს დიდ ხიდათში ჩაავდო მეფეთა რუსეთის ძალმომრე ბატონობის დამკვიდრება საქართველოში პირველ წლებში.

25). იხ. ამავე სათაურით დაწვრილებითი აღწერა ამ აჯანყებისა ჩემს მოთხრობაში ურნალ „მხედარში“ №14-15, პარიზი, 1933 წ.

მთის მოძრაობას ბანი მისცა ბარმაც — კახეთის განაპირობებული აღმოსავლეთ მხარემ, ქიზიყმა, თავისი მოსახლე თავისუფალი გლეხობით, ძველი დროიდან ცნობილი მეომრებით, რომელსაც მოთავეობდა ქვემო-მაჩხანის გლეხი ვასო თამაზაშვილი.

1922 წლის გაზაფხულიდან ქ. ჩოლოყაშვილის საერთო ბეჭდობით შემდგარმა პარტიზანულმა რაზმებმა თავისი მეთვალყურეობის ქვეშ დაიყენეს ყველა მიმოსვლის გზები თუშ-თუშავ-ხევსურეთისაკენ. აქა-იქ დაიწყო შეტაკებები ბოლშევიკურ შეიარაღებულ ძალებთან კახეთში — სიღნალის, თელავის და ალაზნის გაღმა მიღამოებში²⁶⁾.

კახეთს გამოეხმაური ქართლიც. კავთის-ხევში გლეხ შიხეილ ლაშქარაშვილის ხელმძღვანელობით დაგროვდა მაგარი რაზმი, რომლის რიგებში მონაწილეობდა ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი სვიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი. აღმოსავლეთ საქართველოში სწრაფად იზრდებოდა პარტიზანული მოძრაობა. როგორც მუდამ მისი შემადგენელი, მამოძრავებელი და ძალის მიმცემი იყო საქართველოს მთა-ბარის მოსახლე „ქვეყანის მოქმედი“ ქართველი გლეხობა.

სვანეთის აჯანყება, პოლიტიკური ინტელიგენციის მასიური დაჭერა და ხალხის ანტიბოლშევიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში იწვევს აგრეთვე ქართული პოლიტიკური ბანაკის — პარტიების და წრეების ამოძრავებას.

26). მათ შეეწირა პირველი მსხვერპლნი ქართველი მხედრებისა და ბრალებულნი პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის: პოლკოვნიკები—ლეკვინაძე ლადო, სტროგი (მფრინავი); როტმისტრები—სოლომონ („სუსლიკ“) ანდრონიკაშვილი, სუმბათაშვილი ალექს, ვაჩნაძე შაქრო, ფავლენიშვილი პეტრე, ფავლენიშვილი შალვა; ლეიტენანტები—ვაჩნაძე დავით (სიკოს ძე), ვაჩნაძე არჩილ; იუნკერი—გ. ძამასპიშვილი; ვახმისტრი—ა. გელაშვილი; უნტეროფიცერი ფავლენიშვილი გიორგი, — დახვრეტილნი „ჩეკას“ მიერ 1922 წ. ზაფხულში.

1922 წლის თავში (მარტ-აპრილში) მეტების სატუსაღოში და მის გარეთ ხანგრძლივ მოღაპარაკების შემდეგ ხდება შეთანხმება ქართული პოლიტიკური პარტიებისა, განსაკუთრებით სოც.-დემ. და გაერთიანებული ერ.-დემოკრატების შორის. არსდება „პარიტეტის“ საფუძველზე საერთო პოლიტიკური ორგანო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ („დამკომი“) ს.-დ. ნიკოლოზ (კოლა) ქარცივაძის თავმჯდომარებით. ამავე დროს გენ. ალექსანდრე ანდრონიქაშვილის მეთაურობით და მაღალხარისხოვან, გამოჩენილ უფროს ქართველ მხედართა მონაწილეობით ეწყობა ფარული „სამხედრო ცენტრი“.

გაერთიანებულ ეროვ.-დემ. ც. კ. ფარულ ცენტრს თავმჯდომარის სახით უძლვება კონსტანტინე აბხაზი. მოსწავლე ახალგაზრდობაც, ერ.-დ. სტუდენტების თაოსნობით, აარსებენ მებრძოლ კომიტეტს.

ყველა ეს ფარული ორგანიზაციები ბუნებრივად მოელოდნენ არსებულ შეთანხმებულ „დამოუკიდებლობის კომიტეტი-საგან“ დაწყებული ეროვნულ-ხალხოსნურ განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის ხელის შეწყობას, მის კონსოლიდადაციას და ხელმძღვანელობას. მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდა სულ საჭინააღმდეგო.

შეჩვეულნი თავის ძელ მონობლიურ თაოსნობას საქართველოში, მოწამლული გამთიშველი „ქლიათა ბრძოლის“ იდეოლოგიით და საქმიანობით, ს.-დ. ც. კ. წევრების უმრავლესობა მეტად მტრულად დაუხვდა ხალხში აღმოხეთქილ მოძრაობას, რომლის ხელმძღვანელობა მათ ხელთ გაეცალათ და ერ.-დემ. პარტიის პოლიტიკურ-სამხედრო წრეების მეთაურობის ქვეშ მოექცა. განსაკუთრებით ერ ურიგდებოდნენ ქ. ჩოლოყაშვილის სახელის და გავლენის ზრდას სოფლის ხალხში.

კ. აბხაზმა, რომელიც „სამხედრო ცენტრის“ თავმჯდომარის ამხანაგიც იყო, მიიღო რა ყოველ მხრივან ამის ცნობები, დაიბარა გენ. შტაბის პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, ამავე „სამხედრო ცენტრის“ წევრი, რომელსაც ჯერ არ გაუქ-

მებული „წითელი ქართული დივიზიის“ შტაბის უფროსის თანამდებობა ებარა და იყალა მოსალოდნელი აჯანყების სამხედრო-ორაპერატიული შემზადება.

პოლკ. რ. მუსხელიშვილმა მოახსენა კ. აბხაზს შემდეგი:

— მე დანამდვილებით ვიცი, რომ საოპერაციო მთავარ მაზრაში, როგორიცაა დუშეთის მხარე, პოლიტიკური პარტიების გავლენა დიდია. ვშიშობ, რომ მათმა უთანხმოებამ ხელი არ შეგვიშალოს. გთხოვთ დაარწმუნოთ ქართველი პოლიტიკის მეთაური ხალხი, რომ შეიარაღებული ბრძოლის ხვედრს ვერ გაექცევიან. აჯანყება მაინც მოხდება და თუ აქედანვე ყველანი ერთად სამზადისს შევუდგებით, გავიმარჯვებთ. საბჭოთა ჯარი ამიერ-კავკასიაში დღეს — 19 000, ამდენივე — ჩრდილო კავკასიაში. თავის წითელ ჯარს კავკასიაში მოსკოვი დღეს ვერ დაეხმარება ვერც ერთი ზედმეტი წითელი არმიელით. მან უნდა „გაიმარჯვოს ან გაწყდეს“, როგორც სწორენ მოსკოვიდან აქაური ჯარის შტაბის უფროსს პუგაჩოვს. უკანასკნელ შემთხვევაში მოსკოვი მზადაა საქართველოშე სრულებით ხელი აიღოს, ამიტომ გთხოვთ სათანადო გავლენა მოახდინოთ თბილისის პოლიტიკურ წრეებზე.

კ. აბხაზმა მოიწვია ერ.-დემ. პარტიის ცენტ. კომიტეტის საგანგებო კრება. სწორედ იმ დროს (ივლისში) კახეთიდან დაბრუნებულმა გიორგი წინამდვრიშვილმა ჩამოიტანა მრავალი დამარწმუნებელი ცნობა აჯანყების დღის მოახლოების შესახებ.

— ხალხი ღელავს. ნამეტანად მთიელნი. სთხოვენ ჩოლოყაშვილს: „მოთმინების ფიალა აგვევსო. ბოლშევიკების სიმხეულეს ვეღარ ვიტანთ. შენს შენახვასაც დღითი დღე გვიძნელებენ. გაგვიძეხით და მტერს შევუტიოთ -ო. ქაქუცას მდგომარეობა ლია“ კახეთში ხომ მეტად გაძნელდა. იგი იძულებული იქნება მაღლ თანამდებობის დაწყების თავის მოყრა დაიწყება. ეს კი მის გარშემო ბუნებრივად მთიელების თავის მოყრა დაიწყება. ეს კი ბრძოლის დაწყების მომასწავებელია. ჩემი დაკვირვებით, აჯანყება ერთ-ორ თვეში იგრიალებს, — დასკვნა თავისი მო-

სსენება კომიტეტში მისმა წევრმა გ. წინამძღვრიშვილმა. — თავმოყრისა

კოტე აბხაზი ეკითხება იასონ ჯავახიშვილს, წარმომადგენლს ერ-ლემ. პარტიის „პარიტეტულ ცენტრში“, იცის თუ არა ყველა ეს ამბავი პოლიტიკურ ცენტრში?

იასონ ჯავახიშვილი: დიალ, იცის, მაგრამ შეიარაღებულ გამოსულის წინააღმდეგია.

ქ. აბხაზი: დალოცვილები, სულ იმას გაიძახოდნენ, ხალხი, ხალხთანაო... ერთობა, ბრძოლაო... და ახლა ნამდვილ ხალხურ ბრძოლას კი გაურბიან?

მიხეილ იშჩელი: თქვენ, ბატონო იასონ, ამ საკითხში რა პოზიციას იცავთ ცენტრში?

ი. ჯავახიშვილი: ვიბრძებ შეთანხმებისათვის. ჩვენი სეპარატიული მოქმედება დაანგრევს ქართულ ძალთა პოლიტიკურ ერთობას და ზიანს მიაყენებს მთელ ქართულ საქმეს. ეს არის ჩვენთვის საანგარიშო.

გ. წინამძღვრიშვილი: ამ ანგარიშის მოლოდინში ქართული ბრძოლის საქმე რომ ნალღად დაინგრეს, მაშინ რაღაც და ვიღასათვის საჭირო იქნება ეს დაგვიანებული, კბილებ ჩალეჭილი ერთობა პოლიტიკური პარტიებისა?

დავით ვაჩინაძე: ჩოლოყაშვილის მოქმედება არ არის სეპარატიული. იგი ხალხოსნური მოძრაობის გამომსახველია. ჩვენ მასთანა ვართ და დავრჩებით. პოლიტიკურმა ცენტრმა ესეც უნდა იანგარიშოს.

ი. ჯავახიშვილი: თუ ყველანი ამ აზრისა ბრძანდებით, ნება მიბიძეთ ჩემი თანამდებობიდან გადავდგე, რადგან სხვა პოზიციას საერთო ცენტრში მე ვერ დავიცავ.

ქ. აბხაზი: თქვენი გადაფომა საჭირო არ არის. მხოლოდ კი გთხოვთ გადასცეთ „ცენტრს“ გ. წინამძღვრიშვილი მოხსენებასთან ერთად ჩვენი აქ მოყვანილი საბუთები და სურვილიც შეთანხმებისა კარზე მომდგარი ბრძოლის საქმის წესიერი გაძლოლისათვის. ჩვენ დავუცდით თქვენი მოხსენების შედეგებს.

მაგრამ, საუბედუროდ, დრო აღარ იცდიდა. ახალი მოვლენები სწრაფად ვითარდებოდნენ. ყაზბეგიდან შიკრიკი ჩამოვიდა: ხალხი ირაზმება, სამხედრო გზაზე შეიარაღებული მთიელთა ჯგუფები გაჩნდნენ. ჩოლოყაშვილი თიანეთისაკენ მოდისო ხევსურეთი ფეხზე დგებათ.

თელავიდან საგანგებო კაცის პირით საქართველოს კათოლიკოსსაც თავის მხრივ მოვეიდა ასეთი ამბავი, რომ ხალხი დღე-დღეზე გამოსვლას აპირებს; რომ ჩოლოყაშვილი გადადის ხევსურეთში. ყოვლადსამღვდელო ამბროსი ამასთან ერთად ატყობინებს ერ.-დემ. ცენტ. კომიტეტს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ხალხის ამ გამოსვლაში მოხაწილეობა მიიღოს და ითხოვს, რომ ეს მისი სურვილი ეცნობოს ქ. ჩოლოყაშვილს და ეთხოვოს მას, თუ შესაძლოა, გამოსვლის დღე ალავერდობის დღეს (27 სექტემბერს, ახალი სტილით) შეიუფარდოს. — ამ დღეს მე ვიქნები ალავერდში და წმიდა ნინოს ჯვრით დავლოცავ და ვაკურთხებ მებრძოლ ქართულ რაზმებს და თვითონ გავყვები მათ ბრძოლაში. რჯულისა და ერისათვის სიკვდილი მწყურია. ვეღარ ვიტან ამ შეგინებულ, ნაძრას ქართულ სიკოცხლეს -ო, უთვლიდა ქართველ მამულიშვილთა ბანაკს თბილისში კათოლიკოსი²⁷⁾.

27). როგორც მუდამ, ამ დროის დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველი ეკლესიაც მხარში ედგა მშობელ ერს. საქართველოს მწყემსმა „კათოლიკოსმა ამბროსიმ, მიუხედავად ბოლშევკიების მხრივ მოსალოდნელ შურიძიებისა, გაუგზავნა „ერთა ლიგას“ გენუაში (1922 წ. აპრილს) თავისი ცნობილი მოწოდება-კონდაკი⁽¹⁸⁾ 52 ერის წარმომადგენელისაგან შემდგარმა მსოფლიო ქრებულმა ფეხზე ადგომით მოისმინა ძველი ქრისტიანი ერის მთავრის ლირსებით აღსავსე ცხარე პროტესტი მოსკოველთა ძალადობის წინააღმდეგ და ვეღრება შველისა.

ხმები გამართლდა. აგვისტოს ბოლო ჩიცხვებში ჩოლოებული თავისი რაზმით გაჩნდა დუშეთის მიღამოებში, დაცა დუშეთის ციხეს და გაანთავისუფლა პოლიტიკური ტუსაღები. ბოლშევიკური ძალა-უფლებაც შეინძრა. თბილისიდან საჩქაროდ გაიგზავნა კომუნისტებისაგან შემდგარი შეიარაღებული დიდი რაზმი და სოფ. ეინვანთან თავს დაესხა ჩოლოყაშვილს. მაგრამ ძლეული იქმნა და 80 მკვდარი დასტოვა ბრძოლის ველზე. ომი დაიწყო. კომუნისტურ თბილის მოედო პანიკა. დაიწყო საჩქაროდ დაგროვება ჯარისა დუშეთ-თიანეთისაკენ გაგზავნისათვის. მათ შორის ქართული „წითელი დივიზიისაც“. საექსპედიციო ჯარის უფროსად დაინიშნა ამ დივიზიის შტაბის უფროსი, მეამბოხეთა შეთქმული, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი.

— რა ვწნათ?! თუმცა ჯერ მზად არა ვართ, არც პოლიტიკური პარტიების შეთანხმება მიღწეული, თანაც ჩოლოყაშვილიც ნააღრევად ითრევა ბრძოლაში, მაინც სწრაფად უნდა ავმოქმედდეთ. პუგაჩოვის ბრძანებას რუს ჯარების დაგროვებისათვის თბილისის ბაზაზე ხელოვნურად ვაჩერებ. მივიღე სანუგეშო ცნობები, რომ შალვა ფავლენიშვილი, სეიმონ ჭაბრიშვილი და სხვები დუშეთის ტყეებში მოზრდილ რაზმს აგროვებენ. ჩოლოყაშვილი ხევსურეთში მაგრდება. სანამ წითელი რუსი ჯარები თავს მოიყრინ დუშეთ-თიანეთის ხაზზე, ჩევნი ზურგის დამკერელი რაზმიც მზად იქნება. ქართლიდანაც მას მიეშველება მიხეილ ლაშქარაშვილის რაზმი. გავაპი მათთან მჭიდრო კავშირი. იმედი მაქვს, ჩემი გეგმაც სავსებით განვახორციელო და ბოლშევიკური ჯარის ალყა გავანადგურო. გეთაყვა, უპატრიონეთ ამ ჩევნს მხსნელ ზურგის ძალას. პარტიების უთანხმოებამ იყი არ მოგვიშალოს. ამ დღეებში მივდივარ ფრონტზე — განშორებისას უთვლიდა დავით ვაჩნაძეს როსტომ მუსხელიშვილი.

რა მონდა ამის შემდეგ? აჯანყებულები ქ. ჩოლოყაშვილის ბელადობით გამაგრდნენ ხევსურეთის მთებში. მისი მოწინააღმდეგი რუსი ჯარი მუსხელიშვილის გეგმით ლაგდებოდა და ემწვდეოდა თანანეთ-დუშეთიდან მისავალ ხევებში. მალე ჩოლოყაშვილის რაზმელები ჩაეტნენ ბრძოლაში რუსების მოწინავე ნაწილებთან. თბილისელები დღე-დღეზე ელოდებოდნენ დამზადებული ყუმბარის გავარდნას. გაიარა დრომ. არავითარი გამოძახილი ფრონტიდან, გარდა წითელი არმიის ოფიციალური ცნობისა — „ნელ-ნელა წინ ვიწევთ“-ო. უკურად ხმა გავარდა: დუშეთის რაზმი დაიშალაო.

იმავე დღეებში დუშეთიდან და ფრონტიდან თბილისში გაჩნდნენ სვიმონ ჭიაბრიშვილი და პოლკოვნიკი ალექსანდრე მაკავარიანი. მათ დაამოწმეს ეს საბედისწერო ამბავი:

— ყველაფერი დალუპულია! ჩვენი მთავარი იმედი — დუშეთის ზურგის დამკვრელი რაზმი გაითანტა. ეხლა პუგაჩოვი გაჩნდა ფრონტზე, თავს დაადგა მუსხელიშვილს და მოსთხოვს მას ენერგიულ შეტევას. კავკასიის გადაღმიდანაც, ქ. გროზნიდან, დაიძრა რუსული ჯარი აჯანყებული ქართველებისათვის ჩრდილო-კავკასიელებთან გადაბმის გზების გადასაჭრელად. მუსხელიშვილის გეგმა დაინგრა, ჩოლოყაშვილის ბრძოლაც აწ განწირულია. დიდი გამარჯვების საქმე წაგვიხდა, ძალიან დიდი! — მწუხარებით მოუთხრობდნენ ხსენებულნი პირნი თბილისის შეთქმულ ბანაკს ამ დიდი მარკების ამბავსა.

- ვინ დაშალა ეს რაზმი? — დაეკითხნენ ჩამოსულებს.
- თბილისიდან მოგზავნილმა კაცებმა.

მათი ნამბობი საესებით გამართლდა: სექტემბრის ბოლო რიცხვებში შალვა ფავლენიშვილის მეთაურობით დუშეთის მაზრაში შემდგარი დიდი რაზმი უკვე მზად იყო. ქართლიდან მასთან შესაერთებლად მოეშურებოდა ლაშქარაშვილის რაზმი. ფავლენიშვილი ელოდებოდა მხოლოდ მუსხელიშვილის ბრძანებას ფრონტიდან. ამ დროს თბილისიდან ჩამოვიდა სამი კაცი და მიმართეს რაზმელებს შემდეგი სიტყვებით:

— ჩვენ გამოგვგზავნეს თბილისის პოლიტიკურმა ორგანიზაცი-

ებმა, რომ შეგაჩეროთ საშინელი ავანტიურისაგან. სად მიღინართ? რისათვის? საერთო გამოსკლის დღე ჯერ არ არის დანიშნული. ჩოლოყაშვილის მოქმედება კერძოა, თავადური. მას ქართველი ხალხი არ გაჰყვება. ამიტომ უსათუოდ დამარცხდება. დაბრუნდით შინ და ელოდეთ იმ დღეს, როდესაც თბილისიდან მოგივათ წინადადება ასეთი გამოსკლისათვის, რომელ-შიც ხალხი მიიღებს მონაწილეობას. გირჩევთ ეხლავე დაიშალოთ, რომ ტყუილ-უბრალოდ არ დაიღუპოთ და არ დაღუპოთ თვეენი ცოლ-შვილი. — ამ აგიტაციაშ ნაყოფი გამოიღო. სამი დღის შემდეგ დუშეთის რაზმი განახევრდა. დანარჩენებიც ნელ-ნელა წავიდ-წამოეიდნენ. პოლკოვნიკ მუსხელიშვილის შიკრიკს დუშეთის ტყეში თავდადებული შალვა ფავლენიშვილი რამდენიმე კაცით-ღა დახვდა.

დასასრული ამ უკვე წაგებული ბრძოლისა ასეთი იყო:

რუსის ჯარებით გარშემორტყმულმა ჩოლოყაშვილმა, მუსხელიშვილის დახმარებით, გაარღვია მტრის რკალი და სამშეიდობოს გამოვიდა. შალვა ფავლენიშვილმა, დაბრუნებული ჩუმად თბილისში, ავადმყოფი ლოგინში მწოლარე თავის ბინაზე გუნიბის ქუჩაზე, „ჩეკის“ ჯარით გარშემორტყმული, არ დანებდა და თავი მოიკლა. აკლებული ხევსურეთი მიწყნარდა. 1922 წლის აჯანყება დამარცხდა.

ახლა საქმეს შეუდგა მოსკოვის „საგანგებო კომისია“ („ჩეკა“). მტრის ოფიციალურ საბრალმდებლო დასაბუთებას არ გამოეპარა დასახული გეგმა და მიზეზი ამ აჯანყების დამარცხებისა („საგანგებო კომისიის“ განაჩენი, გახეთ „კომუნისტი“, № 115, 26 მაისი, 1923, თბილისი). თავის ამ განაჩენის განმარტებაში იგი ამბობდა: „საქართველოს საყოველთაო აჯანყების გეგმა მოკლედ გამოიხატებოდა შემდეგში: ჩოლოყაშვილი აწყობს აჯანყებას დუშეთის მაზრაში და ხევსურეთში. ფავლენიშვილი და ლაშქარაშვილი კი ზურგიდან ესმიან ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარს“.

მტერი ახდილად იხსენიებს აჯანყების მარცხის მთავარ მაჟურსაც: „გამოაშეარავდა, რომ პარტიათა შორის საბოლოო შეთანხმება არ ასევებობდა. პირიქით, მათ შორის შულლი მივიდა იქიმდე, რომ მენშევიკური და ეროვ.-დემ. პარტიის სამხედრო ორგანიზაციები მუშაობდნენ ცალ-ცალკე თავისი ცენტრალური კომიტეტების დარექტივების მიხედვით. ეს უთანხმოება ღიდა აქტიურ ძალას ართმევდა მათ საქმეს და მით საერთოდ ასუსტებდა ანტისაბჭოთა ფრონტს“.

შალვა ფავლენიშვილის „ზურგის ჩაზმის დაშლის ამბავსაც ბოლშევიკური გამოძიების დოკუმენტი ასე აღნიშნავს:

„ენერგიისთვის მიწურულში ფავლენიშვილთან შესაერთებლად ქართლიდან მიმავალ ლაშქარაშვილის ჩაზმა, სვიმონ ბაგრატიონის მეთაურობით, მიიღო გზაში წერილი თბილისიდან, რომელშიაც მოკლედ აუწყებდნენ, რომ ფავლენიშვილის ჩაზმის ლიკვიდაცია მოხდა და ამიტომ ლაშქარაშვილის ჩაზმიც უნდა დაიშალოს“²⁸.

თბილისში აღარავისათვის დამალული იყო, თუ ვინ იყო ნამდვილი ავტორი მებრძოლი ეროვნულ-ხალხოსნური ძალების გათიშვისა და დაშლისა. უკვე ზევით აღვნიშნავდით, რომ ჩოლოყაშვილის მოთავეობით დაწყებულ ანტიბოლშევიკურ აჯანყების მენშევიკური პარტიის ც. კ. უმრავლესობა მეტად მტრულად დახვდა და თავისი აგენტურით ცდილობდა მის შეჩერებას და მოშლას. იმ ხანებში საზღვარგარეთიდან ფარულად ჩამოვიდა ნ. ხომერიე. თბილისში ხმა გავრცელდა, რომ ის მენშევიკური მთავრობის და პარტიის მიერ გამოვზავნილია, განსაკუთრებით იმ მიზნისათვის, რომ ამ მოძრაობას მოაშოროს ერ.-დემ. პარტიის და ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობა. ან და შეაჩერებინოს შეიარაღებული გამოსვლები²⁹.

²⁸⁾. ნ. უოდრანიან- რამიშვილის მიერ 1927 წლის ივნისში პარიზიდან გავზავნილი საიდუმლო წერილები საქართველო-

ამის თაობაზე მოხდა ფარული შეხვედრა „პარიტეტის გრუნტის“ თავმჯდომარის ნიკ. ქარცივაძის და ერ.-დემ. ც. კ. წარმომალგენელის დ. ვაჩინაძის შორის მატინოვის ქუჩაზე:

- რა დავალებით ჩამოვიდა პარიზიდან ბ. ნოე ხომერიკი? — დაეკითხა მას დ. ვაჩინაძე.
- აქაურ ს.-დ. ც. კომიტეტთან და „პარიტეტულ“ ცენტრთან დასაკავშირებლად, — უპასუხა ნ. ქარცივაძემ.
- ერ.-დეამ. პარტიის წრეებს აქვთ ზოგი ერთი საბუთი პარიზში მყოფთ თქვენ მეთაურთა მტრული განწყობილებისა ჩოლოყაშვილის მოქმედებისადმი და რომ ნოე ხომერიკს დავალებული აქვს მოსპოს ან შეაჩეროს მისი მოქმედება.
- ეს არ არის მართალი. თუ გნებავთ, შეგახვედრებთ მასთან და ამაში დარწმუნდებით.
- შეხვედრა არ არის საჭირო. მით უფრო, რომ მისი ზეპირი გადარწმუნება არ კმარა, რადგანაც ჩვენთვის არ არის უძვი დამალული თქვენი ც. კ. წევრთა საწინააღმდეგო მოქმედება. მხოლოდ გოთხვთ გადასცეთ ნ. ხომერიკს, რომ თვითონაც ხელი აიღოს და თქვენ ც. კ. წევრებსაც ხელი ააღებინოს წინააღმდეგობის გაწევაზე ქართველი ხალხის დაწყებული ნამდვილი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. ეს დალუპას საქართველოს განთავისუფლების საქმეს და თვით თქვენს პარტიასაც.

თუმცა მალე მოვიდა ნ. ხომერიკის „დამამშვიდებელი“ პასუხი, მაგრამ სინამდვილეში ის არ გამართდა. ხევსურეთის აჯანყების მზადებული ჩაშლის და რუს ჯარების მიერ მის ად-

ში, აღმოჩენილნი საზღვარზე დაჭერილ ეანო ქარცივაძეზე და და ფოტო-ასლების სახით გამოქვეყნებული თბილისის გაჩეო „კომუნისტში“ 19 და 26 ივნისის 138, 144 ნომრებში, ახდილად ამოწმებდნენ ემიგრაციაში მყოფ მენშევიკ მეთაურთა ამ განწყობილება- მოქმედებას ერ.-დემ. სამხედრო-პოლიტიკური წრეების წინააღმდეგ.

ვიღ ჩაქრობას მენშევიკური პარტიის ფენებს დაემჩნა გახრწნა და გადარჩენა გამარჯვებულ ბოლშევიკთა ბანაკში. დაიწყო ზოგიერთების „მონანიებით“ გამოსვლები კომუნისტურ პრესაში, სხვების დაბეჭდების ცდითა. პეტრე გელეიოშვილმა („ყარაბი“) და ბიქტორ თევზაიამ დაბეჭდეს წერილები — პირველმა რუსულ „ზარია ვოსტრუკა“-ში, მეორემ ქართულ „კომუნისტში“, საღაც ახდილად ბრალსა სდებენ ამ აჯანყების მეთაურობაში ფარულ „სამხედრო ცენტრს“. თევზაია კი პირდაპირ უთითებდა მის არსებობაზე და მოქმედებაზე. მათ მაგალითს სხვებიც აჰყვნენ²⁹⁾. და ბოლოს მოსკოვის მტარვალებს ეს დიდმიშვნელოვანი ძალოვანი ქართული მამულიშვილური ორგანიზაცია მაღლ გაანადგურებინეს.

„ფარული სამხედრო ცენტრი“, დაარსებული 1922 წლის მარტში, შესდგებოდა შემდეგ მხედრებისაგან: გენ. შტაბის გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (თავმჯდომარე), გენ. კონსტანტინე აბხაზი (ერ.-დემ. ც. კ. თავმჯდომარე), გენ. ვარდენ წულუკიძე, გენ.-შტ. პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი (წითელი ქართული დივიზიის შტაბის უფროსი), პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი და პოლკოვნიკი ნარეკილაძე (სოც.-ფედ. პარტიის წევრი).

ხევსურეთის აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ „სამხედრო ცენტრმა“ უფრო მეტი ენერგიით და აჩქარებით განაგრძო საქართველოში საყოველთაოდ თავისი მხედრული გეგმების შემზადება. იმ დროს პარტიზანული მოძრაობა ედებოდა მთელ ქვეყანას. თუმცა „ცენტრი“ ძალიან კონსპირეტიულად მოქმედობდა, მაგრამ მოღალატეთა წყალობით მასაც მაღლ ბოლო მოეღო.

²⁹⁾. ცნობილ ბოლშევიკ საშა გეგეჭიორის აგენტურის ქსელში გაება ახალგაზრდა ერ.-დემოკრატი კალე მისაბიშვილიც. მას დავალებული ჰქონდა ფარული „სამხედრო ცენტრის“ აღმოჩენა. შემჩნეული ამაში ის მოკლულ იქმნა ამხანაგების მიერ.

1923 წლის მარტში „ჩეკა“-მ „სამხედრო ცენტრის“ ყველა მონაწილე წევრები დაატუსალა. მისი უშუალო გამცემი აღმოჩნდა ამ „ცენტრის“ მონაწილე პოლკოვნიკი ნარეკილაძე, ქარი კბილის ექიმის ქალის საყვარელიძისა, რომლის საკუთარ სახლში გუნიბის ქუჩაზე იმართებოდა კრებები „სამხედრო ცენტრისა“. ეს დამტკიცდა შემდეგი ამბით: როდესაც დაჭრილი „ცენტრის“ წევრები შეიყვანეს „ზაქ.-ჩეკას“ ოთახში, მათ დაახვედრეს მთელი ის ავეჯი და მოწყობილება, რომელიც ნარეკილაძის ბინაზე იდგა. „ზაქჩეკას“ მეთაურმა, მოგილევსკიმ, გარშემორტყმულმა ჯალათებით — პანკრატოვ, აშუკინ, პეტროსიან და ქართველ იუდა კვანტალიანის თანადასწრებით, მიმართა დაჭრილ წევრებს ამ სიტყვებით:

— ბატონებო, დაბრძანდით იმ აღილებზე, რომლებიც მუდამ გატირათ თქვენი კრებების დროს! თავადო აბხაზო, აი თქვენი აღილი! თავადო წულუკიძე — იქეთ, ეს არის ხომ თქვენი საჯდომი? ყველა მიხვდა, რომ გამცემი იყვნენ „შიგნიდან“ და რომ ეს გამცემი იყო მათი მონაწილე და მესაიდუ მლე პოლკოვნიკი ნარეკილაძე.

1923 წლის 19 მაისს ერთი უდიდესი ქართველი მოლალა სერეგატის, სერგო ორჯონიქიძის ხელმოწერით თბილისში 1 - საფრებულმა მოსკოვის ჯალათებმა დახოცეს 15 გამოჩენილი ქართველი მხედარი და მამულიშვილი, რომელთაც ბრალდებოდათ ქართველი ხალხის დაწყებული ეროვნული აჯანყების შემზადება-მონაწილეობა. გამცემი პოლკოვნიკი ნარეკილაძე კი გააპარეს სადღაც რუსეთის მიყრუებულ მხარეში. „ჩეკას“ განაჩენი ამ სიაში ჩამოთვლილ მსხვერპლთა შორის ათ დაღუპულს ერ.-დემ. პარტიის წევრად აღნიშნავს (იხ. გაზ. „ქომუნისტი“ № 115, 26 მაისი, 1923 წ.). დახვრეტილ იქმნენ ამ განაჩენის ოფიციალური განცხადებით შემდეგი პირნი:

გენ. შტაბის გენერალი ანდონიკაშვილი ალექსანდრე 51 წ.,
 გენ. წულუკიძე ვარდენ 57 წ., გენ. აბხაზი კონსტანტინე, ყოფილი მარშალი, საქ. ერ.-დემ. პარტიის თავმჯდომარე 55 წ.,
 გენ. შტაბის პოლკოვნიკი მუსხელიშვილი როსტომ 35 წ.; პოლ-



კოვნიეთ ხიმშიაშვილი გიორგი 31 წ.; პოლქოვნიკი მაჭავაძე¹⁰⁾ ანი ალექსანდრე 51 წ.; პოლქოვნიკი გულისაშვილი ელიზბარ 32 წ.; პოლქოვნიკი ჩრდილელი დიმიტრი 29 წ.; ლეიტენანტი ბაგრატიონ - მუხრანელი სემონ 27 წ.; ოფიცერი ყარალაშვილი ფარნაოზ 24 წ.; ოფიცერი კლიმიაშვილი ლევან 26 წ.; სამხედრო მოხელე ზანდუკელი მიხეილ 39 წ.; კერქესელიძე იასონ 32 წ.; ბეითალი ქუთათელაძე ივანე 40 წ.; ჭიაბრიშვილი სიმონ 42 წ.

თუ რა სიტყვებით დაუხვდნენ თავის მკლელებს, როდესაც ამ გმირ მამულიშვილებს წაუკითხეს სასიკვდილო განაჩენი, მას მოგვითხრობენ იმ დღეების მოწმე მემატიანენი¹¹⁾:

კონსტანტინე აბხაზი: „მე ვკვდები სიხარულით, რადგანაც ლირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზეარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“

ვარდენ წულუკიძე: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს და ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლებს.“

გიორგი ხიმშიაშვილი: „ჩვენ ვიცით, რისთვის გვკლაეთ, თქვენც იცით კარგად, ვინცა ნამდვილად ვართ... გაუმარჯოს საქართველოს!“

ელიზბარ გულისაშვილი: „ნუ გვაშინებთ თქვენი განაჩენით. მივდივართ შეუძრექლად, რომ საქართველოსათვის მოვადეთ“.

დიმიტრი ჩრდილელი: „წალით და უამბეთ რუს ხალხს, როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის!“

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი: „სახეზე გეტუობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე... იქნება ქართველები ყვე-

¹⁰⁾ „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას“, ქართველ მხედართა კავშირის გამოცემა, სტამბოლი, 1923 წელი. საბჭოდავი ქართველთა კათოლიკე სავანისა.

ლა ამისთანები გეგონათ (მიუთითებს კვანტალიანზე). მრავალი ათასი, ჩვენზე უკეთესნი ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს“.

დახოცილ დიდ ქართველ მამულიშვილებს და თავის ქრისტიანულ სამწყსოს ერთგულ წევრებს მაღვ თან გადაჰყა ქართველი ხალხის მწყემს მთავარი კათოლიკოსი ამბროსიე. გენუის კონფერენციაზე მისი პროტესტის გახმაურების შემდეგ მოსკოვის ბრძანებით საქართველოს ეკლესიის მთავარი დატუსაღებული იყო და გადაცემული დასასჯელად „ჩეკას“ საგანგებო ტრიბუნალისათვის. ტრიბუნალმა გამოუტანა სიკვდილის განაჩენი, მაგრამ არ მოიყვანა სისრულეში, შეშინებულმა ხალხის დიდი აღშფოთებით. ბოლოს დიდად ნაწამები გამოუშვა ციხიდან. მაგრამ ყოველგვარად დატანჯულმა და სიმშილით ნაწამებმა დიდმა მოხუცმა მაღვ მიაბარა თავისი წამებული დიდი სული ღმერთს და მამულიშვილური გული მშობელ მიწას 1927 წლის ივნისში.

ქრისტიანულ ისტორიას შერჩა მისი უკანასკნელი სიტყვა მიმართული უღმერთო ბვლშევეიური ტრიბუნალისათვის: „ნუ მაშინებთ სიკვდილით. ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული ჩემს სამშობლოს და ჩემს ნაშთს კი რაც გინდოდეთ, ის უყავით“—ო.

ამ ტრალიზმით აღსავსე ამბებით დამთავრდა 1922 წლის ავანენიების დიდი მარცხი, გამოწვეული ეროვნული მთლიანობის დამანგრეველი შინა ქართული ძალებით. მათ მოჰყევა კატასტროფიული მარცხიც ორი წლის შემდეგ მომხდარ 1924 წლის საყოველთაო ამბოხებაში. რაღაც მეტროლმა საქართველომ უკვე დაჰყარგა თავისი ნამდვილი გამარჯვების 1922 წლის ხელსაყრელი დრო და საქართველოს მხედართა ბანაქმა თავისი გამოჩენილი დიდი მეთაურობა.

1924 წლის საცოველთაო აზბონება

1922 წლის აჯანყების ჩაქრობას თან მოჰყვა საგრძნობი გაძლიერება მოსკოვის წითელი ჯარების კავკასიაში, წითელი ქართული დივიზიის დაშლა და მოსკოვის მიერ ყველგან თავისი რუსული გარნიზონების გამრავლება და გამაგრება განსაკუთრებით იმ აღვილებისა, რომელიც აკავშირებდნენ საქართველოს მეზობელ კავკასიელ ერებთან. მრავალრიცხოვანი ყოფილი ქართული ოფიცრობა თავის „ჩეკას“ კონტროლის ქვეშ მოაქცია. ამის გამო მისმა აქტიურმა ნაწილმა ირჩია არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლა.

1923 წლის ივლისის რიცხვებში ნიკოლოზის ქუჩის საიდუმლო ბინაზე თავი მოიყარეს ერ.-დემ. ც. კ. ფარული კომიტეტის წევრებმა: იასონ ჯავახიშვილმა, ვიორგი წინამდლვარიშვილმა, მიხეილ იშხნელმა, ი. ც-მა, მიხეილ ჯავახიშვილ-ადამიშვილმა, დავით ვაჩნაძემ.

ამ კრების ბჭობის მთავარ საკითხს შეაღვენდა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმის გაგრძელება. მოგვყავს ამ კრებაზე დამსწრე წევრთა გამოთქმული აზრები და დასკვნები, რომელიც იკვლევდნენ გამოსავალ გზებს ბრძოლის გაგრძელებისათვის 1922 წლის მარცხით შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან. ამავე დროს არკვევდნენ ამ ბრძოლის გაგრძელების ხასიათის ძირითად საკითხს: იგი მოხდეს საკოველთაო ამბოხების სახით, თუ პარტიზანული გაძლიერების საშუალებით გაგრძელდეს²¹⁾.

^{21).} დ. ვაჩნაძე. „მოგონებათა რევეული: ერ.-დემ ც. კ-ს 1923 წლის ფარულ კრებაზე, ნაწილი მეორე, ფ. 149-152, 1924, არტაანი“.

გ. წინამძღვრიშვილი: შარშანდელ ქ. ჩოლოყაშვილის ფულადი მოსვლის დამარცხებისა და ახლახან გამოჩენილი ქართველი მხედრების დალუპვის შემდგომ ჩვენი ბრძოლის ფრონტი ნა-მეტნავად შესუსტდა. ჩოლოყაშვილს თავისი მცირე რაზმით რუსები სასტიკად სდევნიან. სოფლებთან დამოკიდებულება შეუწყვიტეს. ჩვენც მისთვის მისაშეელებელი საღსაჩი გამო-გველია. თუ გარედან არ დაგვეხმარებიან, ბრძოლის საქმე წა-გებულად უნდა ჩავთვალოთ.

ი. იშხნელი: საჭიროა საქართველოს გაიგზავნოს საზღვარ-გა-რეთ დახმარების გამოსანახად ჩვენი ც. კ. რომელიმე წევრი. ჩემი აზრით, ამ დავალებით უნდა წავიდეს გ. წინამძღვრიშვი-ლი ან დ. ვაჩნაძე.

გ. წინამძღვრიშვილი: არაფერი მაქეს საწინააღმდევო, მხო-ლოდ თქვენდა საყურადღებოდ მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენ მიერ უკვე დანიშნულ ვარ საორგანიზაციო საკითხების მოგვა-რებისათვის „პარიტეტულ“ კომიტეტთან. ვფიქრობ, ამ დავა-ლებას უკეთ შეასრულებს ც. კ. ძეველი წევრი დათა. მით უფ-რო, რომ მისი აქ ყოფნა საშიში გახდა. ალექსანდრე ახმეტე-ლი „ჩეკადან“ იტყობინება, რომ დ. ვაჩნაძის გარშემო უკანა-სკნელ დროს „ჩეკამ“ ისეთი ქსელი გააბა, რომ დღეს-ხვალ მის კვალს მიაგნებენ და დაიჭირენ -ო.

ი. ჯავახიშვილი: თანახმა ვარ დათას წასვლაზე, მხოლოდ სამი თვით. ამის შემდეგ უნდა უსათუოდ მობრუნდეს.

დ. ვაჩნაძე: მართალია, ჩემი ყოფნა ქალაქში გაძნელდა, მა-გრამ არც გასვლა აქედან არის დღვილი. ხიდათის მხრივ ყვე-ლანი ვართ ერთ ქვაბში ჩაყრილნი. ამისი ანგარიში განზე გა-დავდოთ. თუ საჭიროება მოითხოვს, მზად ვარ წავიდე. ამისა-თვის აქედან გარკვეული ამბავი უნდა წავილო და ისეთი დავა-ლებაც მომცეთ, რომ მისი შესრულება შესაძლებელი გახდეს.

მ. ჯავახიშვილი-ადამაშვილი: მთავარი გასარკვევია თურ-ქეთის დამოკიდებულება საქართველოს განთავისუფლების სა-ქმისაღმი. თუ დადებითია, მაშინ ეთხოვოს მას დახმარება იარა-ლითა და ფულითა.



ი. ც. ეს სწორე აზრია. სწორედ ამაზე მითვლიდა უცხოურებულის ში გამგზავრების წინა დღეს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. იგი ამბობდა: ევროპიელები თავის საქმეებში ჩაეყუდნენ. ჩვენ-თვის ვინ იცის, როდის მოიცლიან. მოხმარებით თუ მოგვეხმა-რება, — ეს თურქეთია. მას ბევრი რამ შეუძლიან. გარდა ია-რალისა, მას შეუძლიან საქართველოს საზღვრის ახლოს საი-დუმლო ბინა მიგვიჩინოს თავის ტერიტორიაზე, სადაც ფარ-თოდ დავაწყობთ ჩვენს ახალ პარტიზანულ რაზმებს. სხვანაი-რად მარტოდ ვრჩებით და ვერაფერს გავხდებით-ო. მეცა მვა-ნია, რომ დათამ თავშივე უნდა სკადოს ამ მიმართულებით თურქებთან რამე გააწყოს. ყველაზე ნამდვილი დახმარება დღეს ეს იქნება. მარტო ფულით დახმარება არ კმარა რუს ბო-ლშევიქ ჯარების მოსარევად.

გ. წინამძღვრიშვილი: თურქები არ მოგვეხმარებიან. საქარ-თველოს გულისათვის ბოლშევიკურ მოსკოვთან მათთვის სა-სარგებლო კავშირს არ გასწყვეტენ. ჩვენი ბედის გამგებელნი ჩვენევ ვართ. მწამს, რომ ქართველი ხალხის ეროვნული დინა-მიზმი იმდენად მძლავრად დაგროვილია, რომ ერთსულოვანი ამბოხების შემთხვევაში ბევრ ჯებირს მიანგრევს და მაშინ თა-თარიც და არა-თათარიც მოგვეშველება რუს ბოლშევიკების წინააღმდეგ. საჭიროა მხოლოდ ამ ამბოხების კარგი შემზადე-ბა. ამისათვის ჩვენ გვაკლია საღსარი. თუ ფული გვექნება, ია-რალსაც გავიჩენთ და მაგარი ორგანიზაციებით მოვფენთ ქვე-ყანას. საქართველოს აჯანყება თუ ორიოდე თვე გაუძლებს მტერს, მერმე გარედან დაინტერესებული მაშველი ძალებიც გაგვიჩნდებიან.

დ. ვაჩნაძე: საერთო ამბოხების აზრს არ ვიზიარებ. საქართ-ველოს განთავისუფლების საქმისათვის დღევანდელი საგარეო პირობები მეტად უნუგეშოა. უეჭვოა, რომ მოსკოვი და ანგო-რა მჭიდროდ გადაბმულნი არიან და დღეს ქემალისათვის^ო სა-ქართველოს ამბოხება არც ხელსაყრელია. შარშანდელ აჯან-ყების ამბავშა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი კავკასიელი მაპმადი-ანი მეზობლები თუ არ მოგვეხმარნენ, ეს თურქების მოთხოვ-



ნისა გამო. ეხლაც ასე მოხდება. ამ პირობებში ამბობება წარინათია და წინვე დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ თავიდანვე მე მუდამ წინააღმდეგი ვიყავი საყოველთაო ამბობებისა და მომხრე პარტიზანული მოქმედებისა. პირველის დამარცხებას, რაც ახლანდელ საშინაო და საგარეო პირობებში აუცილებლად მოხდება, თან დაატყდება მთელი ქვეყნის განადგურება და ხალხის ბრძოლის უნარის დიდი ხნით ჩიქობა; მეორე შემთხვევაში კი — ამისი აცდენა. პარტიზანული თავდასხმით მტრის შესუსტებაც მოხდება და ამასთანავე მებრძოლ ხალხს შეუნახავს მის ბრძოლის დინამიზმსაც, ვიდრე არ დალგებოდეს ხელსაყრელი საგარეო პირობები. ასე იქცეოდნენ ჩვენი ბრძენი წინაპრები და თუ შეგვინახეს ქართველობა ზღვა მტრებში, მხოლოდ ამგვარი ბრძოლის ხერხით. ამჟამად გვესაჭიროება შიგნით ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული მოძრაობის გაფართოება მთელ საქართველოს სივრცეზე და ამავე დროს გარედანაც ვეტადოთ, თავში, მეზობელ თურქეთის თანაგრძობის მოპოვება და გამოყენება.

8. იშხნელი: დათას აზრს სავსებით ვემხრობი. მაგრამ საქითხავია, — ბოლშევიკურ მხეცურ რეჟიმს ჩვენი ხალხი გაუდლებს? ვაი თუ გამწარებული სოფელი სტიქიურად თითონ დაიძრას და არეულად ეძეეროს მტრს. ეს ხომ შესაძლებელია... მაშინ რა კნათ?

9. ც. მოთავეების ვალია, ეს მოწოდილი ხალხის უქმაყოფილების ტალღა არხებში და რუებში მიუშვას. ამის როლს პარტიზანული ორგანიზაციები შეასრულებენ, რომელნიც დაინაწილებენ მის ძალოვან სვლას და მეტ სარგებლიანად ქვეყნის ბრძოლის საქმეს გამოაყენებენ. მხოლოდ საქართველოს ერთი კუთხის შარშანდელი, შინ და გარედან მოუმზადებელი ამბოხება, რა ძეირად დაუჯდა ქვეყანას? დავკარგეთ საუკეთესო უფროსი სამხედრო ძალები! ჯერ მოვფინოთ საქართველოს ყველა კუთხეები პატარა რაზმებით. დაარსებულნი გადავაბათ ერთმანეთში და მერმე დავინახავთ თუ როგორ მოვიქცეთ. ამიტომ ჩვენი ზრუნვაც ამ გეგმის განხორციელები-

სათვის უნდა იყოს მიპყრობილი. ამ გვარ ფრთხილ და გონიერ მოქმედებას იქნებ ფარულად თურქეთიც მიემსროს. აღმათ მის დავთარში სახვალიო ანგარიშისთვისაც ფურცელი ექნება დათმობილი.

ი. ჯავახიშვილი: მე მომხრე ვარ ასეთი ფრთხილი მოქმედებისა შინ. ვეცადოთ ოსმალეთშიაც, ვიმუშაოთ ამ მეზობელ ქვეყანაშიც. თუ დღეს არ გამოგვადგება, იქნებ სამერმისოდ გამოგვადგეს ჩვენი ცდები მის მეგობრობის მოსაპოვებლად მიმართული. ყოველ შემთხვევაში თურქები ველარ დაგვაყველოთ, რატომ სხვაგან მირბოდით და მე არ მომმართეთო^{22).}

²²⁾). 1923 წ. აგვისტოდან გასული თბილისიდან, დიდი თავ-გადასახეალის შემდევ („მოგონებათა რვეული“ — „გზა დევნისა“, ფ. 159-197), დ. ვაჩინაძე ვაჩინდა სტამბოლში მხოლოდ 1924 წლის აპრილში. მაშინადევ მ. წერეთლის შემწეობით, მან მიმართა ქართველების მეგობარს, უკანასკნელი სულთანის ყოფ. მინისტრს და გავლენიან კაცს თურქეთში, მახმუდ ფაშას (თავდგირიძეს), რათა მას ეშუამდგომლა ანგორის მთავრობის წინაშე ქართველთა განმათავისუფლებელი საქმისათვის. დახმარების აღმოჩენისათვის. მახმუდ ფაშამ დიდი ხალისით იკისრა ამ შუამდგომლობის გაწევა და შეხვდა ანგორის მთავრობის მინისტრს, რომელსაც წარუდგინა ქართველ მებრძოლ ბანაკის თხოვნა. მაგრამ დიდი მობოლიშებით მიიღო მისგან ციფი ური:

— გადაეცით ქართველ მებრძოლთა დესპანს, რომ ჩვენ დღევანდელ რთულ მდგომარეობაში, როდესაც ინგლისელებს ვედავებით მოსულის საკითხში, მოსკოვის დახმარება ჩვენთვის შეტად ძვირფასია, ამიტომ ქართველების თხოვნას ვერც გავეკარებით-ო.

ამავე დროს სტამბოლის ქართველობაში ხმა გავრცელდა, რომ საქართველოში მზადდება ახალი აჯანყება და რომ პარიზიდან ყოფილი ს.-დ. მთავრობა თავის კაცებს ფარულად აგზავნის თბილისში.

ამგვარად ერ.-დემ. ც. კომიტეტი წინააღმდეგი იყო საყოველთაო ამბოხებით ბოლშევიკურ რუსეთთან შებმისა და ინტევდა ბრძოლის გაგრძელების პარტიზანული რაზმების გამოვლება-გაძლიერების საშუალებით. ამავე ხაზს აჯანყების გეგმათა შემზადებაში აღვნენ სამხედრო მოღვაწენიც ყოფილ „ფარულ სამხედრო ცენტრისა“.

მაგრამ 1924 წელს მოხდა ამ გეგმის „საყოველთაო აჯანყებაზე“ შეცვლა და აგვისტოში მის ღროშის აფრიალება, რომელსაც თან მოჰყვა დიდი უბედური შედეგი. ამის მიზეზს ფარდა ახალა 1924 წლის ამბოხების მონაწილემ, სამხედრო მოღვაწემ, პოლკოვნიკმა სოლომონ ზალდასტანიშვილმა თავის მემუარში „მთავარი მიზეზები აგვისტოს აჯანყების მაჩუნებისა“, დამტკიცილში 1930 წლის ოქტომბრის № 8 პარიზის ურნალ „სამშობლო“-ში. აი რას მოვითხრობს თავის ობიექტი-ურ აღწერაში ს. ზალდასტანიშვილი ამის თაობაზე. მოგვყავს მისი მთავარი აღვილები:

„როგორც პირი, რომელიც ახლო უდექი აჯანყების ტენიურ მხარეს, მის მზადებას და დეტალებს, როგორც წევრი „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ცენტრალური სამხედრო კომისიისა, რომელიც ამ საქმეს განავებდა, ჩემს თავს მოვალედ ვთვლი მივუთითო ვითარების იმ ზოგიერთ მოვლენებზე, რათა ქართველ კაცს სწორი წარმოდგენა ჰქონდეს აგვისტოს აჯანყების მარცხის მიზეზებზედ.

აგვისტოს აჯანყებსათვის ორნაირი მუშაობა იყო საჭირო: საგარეო და შინაგანი. პირველზე, ანუ დიპლომატიურ შემზადებაზე უნდა ეზრუნა ემიგრაციაში მყოფ სათანადო ორგანოებს. მეორეზე — „დამოუკიდებელ კომიტეტს“ ხალხის დარაზ-მისათვის და აჯანყებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისათვის საქართველოში. აჯანყების მომენტი მხოლოდ იმ დროს შეიძლება ჩათვლილიყო დამდგარად, თუ ეს ორგვარი მუშაობა თანაბრად და მართლაც იქნებოდა შესრულებული. მაგრამ როგორ იყო საქმე ამ მხრივ?

1924 წლის მაისში „დამოუკიდებელ კომიტეტს“ ტეხნიკური მუშაობა უკვე დამთავრებული ჰქონდა. აი ამ ღროს ჩამოვიდნენ სწორედ ემიგრაციიდან ბ. ბ. ნოდია (რომელიც საგანგებოდ იყო გაგზავნილი თბილისიდან პარიზში ცნობისათვის, თუ რამდენად საერთაშორისო მდგომარეობა ხელს შეუწყობდა აჯანყებას საქართველოში), ჩხიფვიშვილი, ვ. ჯულელი, ცინკაბაძე და ცენტრაძე, რომელთაგან „დამოუკიდებელმა კომიტეტმა“ მოისმინა, რომ გარეშე პირობები ხელს უწყობენ აჯანყების დაწყებას და „დამ. კომ“-ს მეტი არა დარჩენოდა, რომ აჯანყების გეგმის განხორციელებას შესდგომოდა...

... აჯანყების დღედ ინიშნება 17 აგვისტო. გამოსვლა უნდა დაწყებულიყო ერთ დღეს, ერთ საათს ყველგან და უეცრივ. ასეთი იყო ვითარება 1 აგვისტოდან 6 აგვისტომდე, როდესაც „ჩეკამ“ ვ. ჯულელი დააპატიმრა. ამ დღიდან იწყება ტრალიკული პერიოდი აჯანყების წინა ხანისა, რასაც მოჰყვა გეგმის შეცვლა, აჯანყების გაცილებით ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში დაწყება, დასასრულ, თვით აჯანყების მარცხიც. როგორც უკვე ცნობილია, ვ. ჯულელს „ჩეკაში“ აჯანყების დღეც კი ათქმევინეს...

საბჭოთა ხელისუფლება ახლა რეპრესიებს მიმართავს. მანიოვრებზე მყოფი ჯარი თბილისში და სხვა ცენტრებში გადაჰყავს. თბილისის გარშემო გზებსა პკრავს. ქუჩებში თავისი პარტიული რაზმები გამოჰყავს და ამაგრებს ქალაქის მნიშვნელოვან პუნქტებს. ამავე დროს ბათუმში ატუსალებენ გენ. ყარალაშვილს, დანიშნულს გურიის აჯანყებულთა ხელმძღვანელად. ატუსალებენ ბათომის კომიტეტს და ბათომის სამხედრო ხელმძღვანელად დანიშნულს გენ. ფურცელიძეს. ასეთ პირობებში თბილისის და ბათომის გამოსვლა აღარ ხდება. ამ თა ქალაქში, თუ შეიძლება ასე ითქვას, აჯანყებას თვით საბჭოთა მთავრობა აწყობს, მაგრამ უკვე ჩეკებს წინააღმდეგ და თაოსნობა მის ხელში გადადის. ასეთი ფაქტების შემდეგ „დამ-კომი“ იმ აზრს აღდება, რომ აჯანყების ცენტრად თბილისი მიუღებელია და ცენტრად ხდება ჩოლოყაშვილის ბანაკი, როგორც ძა-

ლა ბოლშევიკური ტერორისაგან და გამცემლობისაგან დაცული და მიუვალი. მაგრამ ამ გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღებისათვის თვით ჩოლოყაშვილის აზრის გავება იყო საჭირო, რომელიც თავისი ძალებით თბილისის ახლო, 20 ვერსის მანძილზე, იყო დაბანაკებული. ჩოლოყაშვილთან „დამკომი“ მე მეზავნის. 16 აგვისტოს მას ვხვდები. მან გაიზიარა „დამკომის“ აზრი, მაგრამ ასეთი პირობა დაიყენა:

— ხომ ხედავ, ხალხი თავს იყრის. მალე მღვდელიც მოვა აჯანყებულთა დასალოცავად და თუ ღროჟე გამოვედით, იმედი მაქვს, ხალხს ბევრს მოუყრი თავს. მაგრამ თუ გამოსელა ამ სამდღეში არ მოხდა, ტყეში და ქალაქთან ასე ახლო ამდენ ხალხს ვერ შევინახავ. სანოვაგე მაკლია და თუ ეს ხალხი ისევ სოფლებში გავისტუმრე, ახლო მომავალში მათი თავისმოყრა აღარ იქნება. სანამ გლეხებაცი პურსა და ლეინოს არ დააბინავებს, აღარ გამოვა. თუ საჭირო ხდება მაინც დღის გადადება, გონიერება მოითხოვს აჯანყება სამი თვით გადაიდოსთ.

ამ დროს ჩოლოყაშვილს უკვე 600 კაცი უგროვდებოდა. ამ პასუხით და ცნობებით დავბრუნდი იმავე დღეს თბილისში და მოვაწვევინე „დამკომის“ კრება. მას დაესწრენენ: კ. ანდრონიკაშვილი, შ. ამირეჯიბი, ი. ჯავახიშვილი, გენ. ს. ჭავჭავაძე, დონიაშვილი და სხვ. გავაცანი კომიტეტს ჩოლოყაშვილის საქმის ვითარება. მაგრამ სამწუხაროდ აჯანყება სამი თვით კი არ გადაიდო, როგორც ჩოლოყაშვილი მოითხოვდა, არამედ 11 დღით. 24 აგვისტოს „დამკომმა მიიღო დადგენილება ამ კომიტეტის გადასვლაზე ჩოლოყაშვილის ბანაკში. 26 აგვისტოს დაღის 5 საათზე „დამკომმა“ დასტოვა თბილისი და ვაკეს გზით ჩოლოყაშვილის ბანაკში გადაიდნენ. გამართლდა ჩოლოყავილის ნათქვამი. 29 აგვისტოსათვის ხალხის შეკრება ძნელი იღმოჩნდა. 600 კაცის ნაცვლად მას მხოლოდ 140 კაცი შერჩა. ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მანგლისიდან ბოლშევიკური ჯარის ნაწილები გაიქცნენ და ცეიხვაუზი შეიძლებოდა აჯანყებულთა განკარგულებაში მოქცეულიყო, ხალხის რიცხვი არც მანგლისის შესარჩენად გამოდგა.

საკმაო და მით უფრო ფართო ოპერაციების წარმოებისათვეში ამას დაერთო უფრო დიდი შეცდომა: რალაცა მიზეზით ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლით, ბოლშევიკებს მიეცათ საშუალება აჯანყებულებს უფრო ადრე გასწორდებოდნენ, ვიდრე აჯანყება დაიწყებოდა. ამის წყალობით, მაგალითად, ქახეთში ყველა ორგანიზაციები და მათი ხელშძლვანელები ერთი დღით ადრე იქმნენ დატუსაღებულნი. ჯავშნიანი მატარებლების, ავტომანქანების და თვითმფრინავების დახმარებით ბევრ ადგილას ბოლშევიკების ტერორი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე აჯანყებულები თავის საქმეს შეუდგებოდნენ.

აი ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყეს, რომ ავგისტოს აჯანყება მარტით დამთავრებულიყო“, ასკვნის თავის მართალ მოთხრობას 1924 წლის ამბოხების ერთი მთავარი მონაწილეთაგანი სოლომონ ზალდასტანიშვილი ³³⁾). მისი ეს მოყვანილი ამბები თავის დროზე დამოწმებული იყო ამ აჯანყებაში მონაწილე და ბოლშევიკური ტერორისაგან გადარჩენილ პირთა მიერ და აგრეთვე „დამკომის“ წევრების გასამართლების პროცესის დროს თვით ბოლშევიკური ხელისუფლების მხრივ. ამიტომ იგი ამ დროის ერთ-ერთ ისტორიულ დოკუმენტად ჩაითვლება.

ახლა კვლავ ამჟავდა მოსკოვის „ჩეკა“. მან აწამა და დახუცა 5 000 -ზე მეტი მოწინავე ქართველობა და უფრო მეტი გადაღუპა ციმბირის უდაბნოებში. მათი რიცხვის დიდ უმრავლესობას ყოფილი გლეხობა შეადგენდა. თითქმის მთლად მას გადაჰყვნენ მისი ძეველი ერთგული პატრონნი — თავადა-აზნაურობა და სამღვდელოება. მათ ზედ დააკლეს მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკური ინტელიგენციისა, რომელთა შორის ბრალიანი თუ უბრალონი ბევრი მენშევიკიც მოჰყვა, რომლებსაც მათი მოქიშე ქართველი ბოლშევიკები გაშმაგებულად

³³⁾. იხ. წიგნად გამოცემული მისი მოგონებანი: სოლომონ ზალდასტანიშვილი. „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, მიუნხენი, 1956 წ.

ძეელ პიროვნულ-პარტიულ ანგარიშებს უსწორებდნენ.

ამგვარად რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ მიმართული 1924 წლის ამბოხებაც ღალატით და გაცემებით აშლილდაშლილი, წინდაწინვე აღვილად დამარცხდა ქართველი ხალხის ეროვნული ელიტის შეწირვით. ამ დიდმა კატასტროფამ თან სამუდამოდ წალეკა მენშევიკური პარტიის საბედისწერო წაჯეზუავების პოლიტიკური მეთაურობის ისტორიაც საქართველოში, ნაშობი რუსეთის მარქსისტული „ქლისთა ბრძოლის“ ჩეკოვლუციის მღვრიე ტალღებში.

მართალია, 1921-24 წლების აჯანყებათა მარცხის შედეგი უდიდეს საფასურად დაუჯდა ქართველ ერს, მაგრამ მან ქართველ მომდევნო თაობებს დაუტოვა მრავალ ქართველ მამულიშვილთა თავგანწირვის სამაგალითო ფურცლები, რომლებმაც დაპფარეს ამ აჯანყებათა მარცხის მიზეზთა შინაური შავი მხარენი.

რუსეთის მტარვალი ბატონობისაგან თავის სამშობლოს განთავისუფლებისათვის მათმა უხვად გაღებულმა სისხლმა ქართველი ერის სახელი გაიტანა მეოცე საუკუნეში შორს მსოფლიოში და კველა განათლებულ ქვეყნებში მოუპოვა სათანადო ყურადღება და პატივისცემა საქართველოს ეროვნულ უფლებებისადმი.

დაუსრულებელის დასასრული

ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო ქართველი ხალხის დაუსრულებელი ფიზიკური, სულიერი და ეროვნული დევნა-განადგურების შედეგთა სრული აღწერა. მაგრამ ისიც კმარა, რაც ამ სამი ათეული წლის მანძილზე გარკვეულა, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა დასასრულს უმშადებს ქართველ ერს და საქართველოს სოციალიზმ-კომუნიზმის სახით გაბატონებული მის მიწა-წყალზე წმინდა რუსული ნაციონალბოლშევიზმი.

ამთავად და განსაკუთრებით ყველაზე მაჩვენებელი ის ამ-
ბავია, თუ რა დაემართა რუსულ ხიშტებზე დაყრდნობილ და
დანდობილ ქართულ კომუნისტურ გამგებლობას საქართვე-
ლოში.

მათ „ბატონობის“ ათი წლის თავზე ვწერდი:

სტალინ-ჯულაშვილის ქართველი კომუნისტური ჯგუფის
გრანდიოზულ ავანტიურის შეეწირა ქართველი ერის თავის-
უფლება, მის მრავალ შეილთა სისხლი, სოფლის დანგრევა და
მისი ცხოვრების აშლა-დაშლა. და თუ ბედმა გაუღიმა რუსულ
შავ რეაქციას, მისი პირველი მსხვერპლი კვლავ დაგლეჯილ-
დაფლეთილი, უღონო სქართველო შეიქმნება. მას კვლავ და-
არბევენ, კვლავ გაძარცვამენ. რუსული „წითელ დროშიანი კა-
ვკასიის არმიაც“ ამ დარბევაში შეასრულებს თავის როლს და
თავში დააყრევინებს თავებს თავგასულ უგუნურ ქართველ
კომუნისტებს“ („სტალინის მემკვიდროება“, ეურ. „სამშობ-
ლო“ №11, აპრილი, 1932 წ. პარიზი).

ეს პროგნოზი გამართლდა. მოსკოვის ტერორის აპარატმა
წლიდან წლობამდე სრისა და ბოლოს თითქმის მთლად გაანა-
დგურა და მოსრისა ქართული კომუნისტური პარტიის მოთავე
წრები თავისი ხელმძღვანელი ხალხით: მთავრობები, მინის-
ტრები, პარტიის ც. კ. მდივნები, აღმინისტრატორები — თით-
ქმის ყველა დაბრალებული ეროვნულ „გადახრებში“.

შემოღებულ წესისამებრ მოსკოვი ათასობით აყოლებდა
მათ მიმდევარ-ამხანაგ-ნათესავებს ციმბირში და თურქესტან-
ში გადასახლებით. ამ ჩევნს ხანამდე „ჩევას“ მიერ დახოცილ,
საკატორო ლაგერებში გადალუპულ-გადასახლებულ ქართვე-
ლობის ჩიცხვი, საერთოდ ორას ათას სულზე მეტი ითვლება.

დღეს საქართველოში ნიღაბახდილად გაბატონდა რუსუ-
ლი მთავარსარდლობა და გავარვარებული ველიკორუსული
შოვინიზმის პოლიტიკის მატარებელი რუსი წარმომადგენლო-
ბა და აღმინისტრაცია. სოციალიზმ-კომუნიზმით ღობეაშლილ,
ეროვნული და კერძო საქუთრების უფლება წართმეულ ქართ-
ველ ხალხს — მის მიწა-წყალს, ქონებას, შრომის ნაყოფს უხე-

ში ძალით და თავისი ძველი, ისტორიულად ჩვეულ „ბატონ-მონურ“ წესით ნამდვილად მოსკოვი დაქატრონა. ქართველი ხალხის არსებობის სვე-ბედი კი რუსეთს მუდამ იმდენად აწუხე-ბდა, რამდენად იგი ელობებოდა ველიკორუსულ ექსპანსიას კავკასიის შუაგულ საქართველოში მის ჩასახლება-დამკვიდ-რებისათვის. ამ უკანასკნელის ცდებს უკვე ბევრი მაგალითე-ბი გამოულია ჯერ მეფეთა ხანაში. საქართველოს რუსულ გუ-ბერნიებად გამოცხადებას ეს საჩიულიც ედო, რადგან იგი უა-დვილებდა იმპერიის მთავრობას მის კოლონიზაციას. ახლაც მოსკოვის ბოლშევიზმის ფარული ზრახვაც ამ გზის აღდია. სა-ქართველოს ეძლევა ახალი სახელი: „საბჭოთა კავშირის სანა-ტორიუმი“, და ამ სახელით იგი შეტანილია ახალ გერმანულ ენციკლოპედიაშიც (Georgien. 76,200 qkm; 3.6 mil. Einw. (1939) „Sanatorium der Sowjet Union“. Der Neue Herder. Verlag Herder. Freiburg 1951).

ეს არის ერთ-ერთი ახალი ეტაპი რუსების ათასობითი გა-დასახლება-ჩასახლებისათვის მოსკოვის მიერ საკუთრებააყრილ საქართველოს „სოციალიზმის სამოთხეში“. რაც ვერ მოასწრო ქრისტიანული ჯვრით და ხმლით მეფეთა რუსეთმა, ახლა ცდი-ლობს ეს ძველი ნანატრი რუსული იმპერიალისტურ-კოლონი-ალური გეგმა განახორციელოს მისმა მემკვიდრემ მარქსის სო-ციალისტური დროშით და იმავე რუსული ხმლით საბჭოთა რუსეთმა.

აი ნამდვილად რა მოუტანა და რა მოაქვს საერთოდ რუსე-თის ბატონობას საქართველოსათვის, ამ შემქნელის „ერთი უძველთაგანი კულტურისა ევროპაში“. პატივცემულო რუს პროფესორო ბატონო კ. ბაზილევი!

მისი დამანგრეველი ცხადად ორივე რუსეთი გამოდგა. პირ-ველმა—ამ „კულტურისა“ და მისი მატარებელი ხალხის ეროვ-ნული დანგრევისათვის მზაკვრულად „ქრისტეს ჯვარი“ გა-მოიყნა და მეორემ — „მარქსის სახარება“...

ამ მკაცრმა სინამდვილემ ქართველობა განურჩევლად მი-მართულებისა, სქესისა თუ ასაკისა საბოლოოდ გაანთავისუფ-

ლა იმ ძველ დიდად მავნე ისტორიული ილუზიისაგან, რომელიც რუსეთი თავისი ყოველი ფერის მართველობით ქართველ ერს, ქართულ კულტურას, ქართულ ეროვნულ განვითარებას და მხმარე მფარველად ოდესმე მოევლინებოდეს. პირიქით, მეფეთა და საბჭოთა რუსეთის მათი საერთო შოვინისტურ-იმპერიალისტური ბატონობის ნამოქმედარმა კავკასიაში და საქართველოში, საბოლოოდ დაუდასტურა ქართველ ერს მისი გზა, რომელსაც იგი დაადგა 1918 წლის 26 მაისს: საქართველოს რუსეთისაგან პოლიტიკური დამოუკიდეაბლობის გამოცხადებით და საკუთარი სახელმწიფოს აღდგენით.

საუკუნე-ნახევარ მეტ მანძილზე მისთვის ქართველმა ხალხმა გაიღო ზღვა სისხლი. დღესაც ახალი ქართული თაობა უხვად იღებს მას და კვლავაც ერთობილად გაიღებს, სანამ არ დაასრულებს ქართველი ერის საარსებო ეროვნულ ამოცანას, ისტორიით ნაკარნახევს: საბოლოოდ განთავისუფლებას რუსეთის ბატონობის გამსრეს ლოდისაგან.

რედაქტორის პომატები

- (1) დავით ვაჩინაძე, ცხადია, დიდად აიდეალებს ბატონ-ყმობას საქართველოში.
- (2) „ნორვეგიულების“ ნაცვლად უნდა იყოს ნორმანები.
- (3) იულიისმება „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“.
- (4) ავტორი სცდება, როცა იონა მეუნარებას თავად-აზნაურობის ფენიდან გამოსულად მიიჩნევს.
- (5) ავტორი უთუოდ ვარლამ გელოვანს გულისხმობს.
- (6) სოციალ-დემოკრატების გურიის კომიტეტი ცალკე არსებობდა.
- (7) ტერმინი „ხალხოსნური“ ავტორს ნახმარი აქვს ხალხურის, სახალხოს მნიშვნელობით.
- (8) ზუსტად ქართველი მეშევეების ბელადებს კი არა, არამედ ნოე ჟორდანიას. ეს დოკუმენტურადაც გახლავთ დადასტურებული. იხ. ნოე ჟორდანია, ჩემი ნარსული, თბილისი, 1990, გვ. 56.
- (9) „მეცნიერული მატერიალიზმი“ აშეარად უხერხული, მცდარი გამოთქმაა.
- (10) თბილისის უნივერსიტეტის მთავარი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი არ ყოფილა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ასევე აშეარა გადაჭარბებაა უნივერსიტეტის დაფუძნება მხოლოდ აღნიშნული პარტიის წევრებსა და მიმიმდევრებს მივაწეროთ.
- (11) აშეარა გადაჭარბებაა ქართველ თავად-აზნაურთა დამსახურების ხაზებას თბილისის დაცვასა და თავდაცვით ბრძოლებში ბათუმამდე (1921 წელს).

(12) უნდა იყოს „ამიერკავკასიის სეიმი“. ამჯერად მცდაზაგადობითი რია ვალიურ ჯულელის „ძველ ბოლშევეებ“ მოხსენიება. უფრო სწორად იყო ნაბოლშევეერი, ბოლშევიცეოფილი იყო.

(13) ავტორი გულისხმობს გურიას.

(14) ევროპული სოციალისტების ლიდერები საქართველოს 1919 წელს კი არ ენვიონენ, არამედ – 1920 წელს.

(15) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოურიდიული აღიარებას ადგილი პჟონდა 1919 წლის 26 იანვარს, 27 იანვარს კი შესაბამისი გადაწყვეტილების ოფიციალური დადასტურება ეცნობა იმუამად პარიზში მყოფ ვევენი გეგეჭორს (საგარეო საქმეთა მინისტრს) და ჩვენთან – საქართველოს მთავრობას.

(16) ჩანს, მ. დადეშველიანისა და ნ. გარდაფხაძის ერთობლივი განცხადება.

(17) სიტყვა „ღიაში“ იგულისხმება ვაკე, გაძლილი.

(18) კათალიუოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაიმ) თავისი ცნობლი წერილი 1922 წელს „ერთა ლიგას“ კი არ მიმართა, არამედ – გენუის კონფერენციას. 96-ე გვერდზე ეს სწორადაა აღნიშნული.

(19) ამ ინიციალების ქვეშ ჩვენი ზრით იგულისხმება ქართლ-კახეთის კომისარატივთა გერთიანება „ნარმოკავშირის“ თავმჯდომარე ივანე ციციშვილი.

(20) იგულისხმება ათათურქი.

შიდაარსი

ლირიკას სოფია პიროვნება III

I

შესავალის მაგიერ. ერთი უცნაური დასკუნის გამო	3
ქრისტიანობის დამკეთრების ხასიათი საქართველოში	7
ქართველი ერის იდეალები და ზნეობრივი კანონები	8
ქართულ სოციალურ ფენათა ურთიერთობის საფუძველები	
რუსეთის გაჩენამდე საქართველოში	13
რუსეთის იმპერიის მიერ განადგურება საქართველოს სამეფოსი,	
მოსპობა თავისუფალი ეკლესისა, დევნა ქართული განათლებისა ..	16
რუსული წეს-წყობილების გადმოწერება საქართველოში და	
ბრძოლა ქართულ ეროვნულ მთლიანობასთან	21
რუსეთის მეფის ნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშეოვის მზადერული	
პოლიტიკა საქართველოში	27
ქართულ სოციალურ ფენათა მდგომარეობა და ურთიერთდამოუ-	
დებულება პირველი მსოფლიო ომის წინა ნლებში	31
„მარქსიზმის“ გამარჯვება რუსულ რევოლუციაში	33
რუსული რევოლუციის გადმონაცადნი საქართველოში და	
ქართველი მარქსულების გაბატონება	36
ძალა ისტორიის ინერციისა	38
ეროვნული ინერციის შინაგანი რეალური ძალა	44
რუსული დამღა დაკრული	51

საბედისწერო განაჩენი	54
დიქტატურის ქიმით	58
ლახვარი მთლიანობის ზურგში	63
ბოლშევეკური უფსკრულისაცენ	66
მნარე პოლო	71
 II	
ქართველი ხალხი ნითელი რუსეთის ლიდის ქვეშ. ქართული	
სოციალისტური პარტიების დაბნევა	75
ეროვნული ბრძოლის დროშით	78
სეანეთის აჯანყება	79
1922 წლის აჯანყება	82
1924 წლის საყოველთაო ამბოხება	97
დაუსრულებელის დასასრული	106
 რედაქტორის კომენტარები	XI



David Vachnadze

GEORGIAN NATIONAL AFFINITIES AND
THE RUSSIAN BOLSHEVISM

(Brief Survey)

ARTANUJI Publishers
Tbilisi

საგამომცემლო პრეზიდი:

ეთერ ბაიდომვილი
ბუბა კუდავა
ვიოლა ტულუში
ილია წელაია

გამომცემლის არტისტები

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17 ბ. 25-05-22, 8(99) 25-05-22, 8(93) 25-05-22.
artanuji@telenet.ge

